

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მასტერი

675-9/2
1981

ფილოსოფია
ფილოლოგია
სერია

4. 1981

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,
ფილოსოფიისა და ფილოლოგიის სერია, 1981, № 4

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე




ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

17054

ფილოსოფიისა და
ფიქტლოგიის
სერია

СЕРИЯ
ФИЛОСОФИИ И
ПСИХОЛОГИИ

ურნალი დარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца



4. 1981

გამოცემობა „მიცნიერება“
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

თბილისი
ТБИЛИСИ

ვ. შარიანი საბ. სივ.
სახელი ვთ რესპუბლიკური
მინისტრობისა

ს არ გდა ძირი კოლეგია:

- ა. ბოჭორიშვილი, თ. ბუაჩიძე, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოაღილე), გ. თევზაძე,
 ვ. კეშელავა, ზ. მიქელაძე, რ. ნათაძე, შ. ნადირაშვილი, ა. ურანგიშვილი,
 6. ჭავჭავაძე (რედაქტორი), თ. ჯოთევა (რედაქტორის მოაღილე).

პასუხისმგებელი მდივანი ც. შალაშერიძე

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Бочоришвили А. Т., Буачидзе Т. А., Григолава В. В. (зам. редактора), Джииев О. И.
 (зам. редактора), Кешелава В. В., Микеладзе З. И., Натадзе Р. Г., Надирашви-
 ли Ш. А., Прангишвили А. С., Тевзадзе Г. Б., Чавчавадзе Н. З. (редактор).
 Ответственный секретарь Ц. А. Шаламберидзе

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა ეკადემიის გაცენე“,
 ფილოსოფიისა და ფინიციალოგიის სკრინი, 1981.

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
 Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონ 37-95-46 телефон

გადაეცა წარმოებას 30.10.81; ხელმოწერილია თამაბეჭდად 19.3.82; შეკვ. № 3316;
 ინწყობის ზომა 7×11½; ქაღალდის ზომა 7×108½; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი
 თაბაზი 9,8; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 7,9; ფ. 15582; ტირაჟი 600;
 ფასი 70 კპ.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
 Издательство «Мецнериба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. ეკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
 Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ପରିବାର

ლიკონის ილიას ძე გრიგორიშვილი დაბადების 75-ი წლისთავი

მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი განვითარება

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ

8. ნოდია, შრომა, კულტურა, შემოქმედება	7
9. ფაცაცია, სოციოლოგიურ თეორია და მისი კავშირი სოციოლოგიური ცოდნის ემისიულ დონესთან	21
10. კოლეგია, ალბათურა მიზანზოგნიობა და დამატებითობის პრინციპი	34
11. ჩილები, პლატონის „დაუწერელი“ ფილოსოფიის თანამედროვე ინტერპრეტაციათა შესახებ	42

ଓଡ଼ିଆ

6. အကုန်ဆောင်ရွက်, ရှုံးတာရွာပြုခြင်း၊ စံပိုလီစံဖူးရဲ့ စံရေးရဲ့ ရှုံးတာရွာပြု မီးဘတ်ရှုံးရဲ့ ဖျက်စီစာ အကုန်ဆောင်ရွက်ပွဲလျှော့ပါး ဤစံ-ရှုံးရဲ့ စာချောလျှော့ပါ	56
3. ပုဂ္ဂိုလ်ပါး၊ မီးဘတ်ရှုံးရဲ့ ပြုခြင်း အား ဖြေဆောင်ရွက်ပွဲလျှော့ပါ	69
8. ရှုံးလျှော့ပါ၊ မီးဘတ်ရှုံးရဲ့ ပြုခြင်း ဖြေဆောင်ရွက်ပွဲလျှော့ပါ မီးဘတ်ရှုံးရဲ့ ပြုခြင်း ဖြေဆောင်ရွက်ပွဲလျှော့ပါ	84

ପ୍ରଦିତିକା ଓ ଶବ୍ଦବଳୀକାଳୀ

მ. კიონიშვილი, კულტურის გაგების ამსახველი წანაშრომანი შესახებ	97
ჩ. ბალანიშვილი, სერიოზული მეცნიერული გამოყენება სიღრმის ფსიქოლოგიის შესახებ	104

СОДЕРЖАНИЕ

К 75-ЛЕТИЮ РОЖДЕНИЯ ЛЕОНИДА ИЛЬИЧА БРЕЖНЕВА

Творческое развитие марксистско-ленинской теории

5

ФИЛОСОФИЯ

Г. О. НОДИА, Труд, культура, творчество	7
Г. Г. ПАЦАЦИЯ. Социологическая теория и ее связь с эмпирическим уровнем социологического знания	21
М. Г. ДОЛИДЗЕ. Вероятностная причинность и принцип дополнительности	34
М. И. ЧЕЛИДЗЕ, О современных интерпретациях «неписанной» философии Платона	42

ПСИХОЛОГИЯ

Н. Н. ПРАНГИШВИЛИ, Стилистический прием ретардации как одно из средств художественной формы	56
В. Л. КАКАБАДЗЕ. Понятие потребности в психологии установки Д. Н. Уз-надзе	69
Г. Е. ЦУЛАДЗЕ, Методологические вопросы изучения миграционного поведения	84

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

О. И. ДЖИОЕВ, Об исходных посылках понимания культуры	97
Р. Г. БАЛАНЧИВАДЗЕ, Серьезное научное исследование о глубинной психологии	104

Содержание журнала «Маки» серии философии и психологии за 1981 год
 № 1—4

111



ლეონიდ ილიას გვ. პრეზენტის დაბალებიდან 75-ე
ცლისთავი

ମାର୍କେଟିଙ୍ଗ-ଲୋଗିଷ୍ଟିକ୍ ତଥା ଉପରେକ୍ ଶାଖାକୁ ପାଇଁ ହାତିଲାକୁଳୀ

შესრულდა 75 წელი საბჭოთა სახელმწიფოსა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ლურნიდ ილიას ძე ბრეევევის დაბადებიდან. ლ. ი. ბრეევევი, ჩვენ ქვეყნის სახალხო მეურნეობის გართვის, პარტიული და საბჭოთა მშენებლობის, მუშათა მოძრაობის გამოცდილებაზე დამყარებით, კომუნისტური პარტიის სხვა მოღვაწეებთან ერთად, შემოქმედებითად ავთარებს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას და მის საფუძველზე განსაზღვრავს საზოგადოებრივი განვითარების შემდგომ პერსპექტივებს, პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობის სტრატეგიულ გზს, კომუნისტური მშენებლობის ყოველი ეტაპის ამოცანებსა და მათი გადაწყვეტის გზებს.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში საზოგადოების ეკონომიკის განვითარება სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული მეცნიერებასა და ტექნიკაზე და წარმოებაში მათ დანერგვაზე. მაგრამ მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას სხვადასხვა სოციალური შედეგი აქვს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის პირობებში. სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა რეზერვის გამოსავლენად გადამზუვეტი მნიშვნელობა აქვს მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებთან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შილდების ორგანულ შეერთებას — ამოცას, რომელიც ლ. ი. ბრეენევა და დასახ. სოციალიზმის უპირატესობებთან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შილდების შეერთების ამ კურსზე დამყარებით ხდება ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, სოციალისტური ეკონომიკის ინტენსიფიკაციის ზრდა, სახალხო მეურნეობის მართვის გაუმჯობესება.

ჩევენი მრავალეროვანი ქვეყნის წარმატებით განვითარებისათვის აუცილებელია მასში შემავალი ყველა ხალხისათვის განვითარების ხელსაყოფა და პირობების შექმნა. ლ. ი. ბრეუნევმა თავის სტატიებსა და მოსისენებში საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის შესახებ ყოველმხრივ დამუშავა კომუნიზმის შენებლობის პროცესში ერების განვითარებისა და მათი დაახლოების პრობლემები, დააფუძნა საბჭოთა კავშირის დიდი და პატარა ერების შეუვალი უფლებები, ეროვნული კულტურების გაფურჩქვნისა და დაახლოების, ერებს შორის ყოველგვარი გაუგებრობისა და უნდობლობის მოსპობის აუცილებლობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი ლ. ი. ბრეუნევის მეთაურობით, თანმიმდევრულად ემყარება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპს აგრეთვე მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიისთვის დამოკიდებულებაში, რის შედეგადაც მტკიცდება კომუნისტური და მუშათა პარტიის ერთიანობა, რომელიც თითოეული პარტიის დამოუკიდებლობის პატივისცემას ეყრდნობა.

როგორც ჩევენი ქვეყნის განვითარებისათვის, ისე საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წარმატებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩევენი ქვეყნის მშეიღიობიან პილიტიკას, რომლის შემუშავებასა და განხორციელებაში დიდია ლ. ი. ბრეუნევის როლი.

ლ. ი. ბრეუნევი დიდ ყურადღებას უთმობს კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებასა და ახალი ადამიანის აღზრდის ამოცანების გადაწყვეტას. იგი ხაშს უსვამს ყოველ ეპოქაში ცხოვრების პირობების შეცვლის შესაბამისად იდეოლოგიური მუშაობის ფორმების შეცვლის აუცილებლობას, ფორმალიზმისა და შედავითნეობის დაუშეებლობას იდეოლოგიურ და ოეორიულ-შემოქმედებით მუშაობაში, სიძნელეებისა და ნაილოვანებების მიჩქმალვის მოუთმენლობას.

ლ. ი. ბრეუნევის მოღვაწეობა, რომელიც ჩევენი ქვეყნის შშრომელთა და მსოფლიო მუშათა მოძრაობის კოლექტიურ გამოცდილებას ემყარება, მარქსიზმ-ლენინიზმისადმი შემოქმედებითი მიღვომის თვალსაჩინო მაგალითია.



Հ Օ Խ Ը Կ Ե Խ Զ Օ Տ

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

ଶର୍ମିଷ୍ଠା, ପୁଣ୍ୟତାରୀ, ପାନ୍ଦିରେଣ୍ଡା

თანმედროვე ადამიანის თვალში შრომა და შემოქმედება მოღვაწეობის ორი ერთმანეთისაგან მეტისმეტად დაშორებული სახეა. შემოქმედება, მოარული გაეცით, რჩეულთა ხელრია; სიტყვა „შემოქმედის“ გაგონებაზე პოეტი, მხატვარი, კომპოზიტორი, თუ მანცდამაინც — გამოჩენილი მეცნიერი ან გამომგონებელი გვახსენდება. „შემოქმედი“ ეპითეტია, ერთგვარი საპატიო წოდებაა და არა ადამიანის პროფესიაზე ან თავისებურებაზე ნეიტრალური მინისენა. შრომით კი ყველანი ვშრომობთ, რადგან სხვაგვარად ვერ მოვიძოვებთ პურს არსობისა. გაგვიგონია, შემოქმედებაც შრომააო, თან ძლიერ მძიმე: ხშირად ისენებენ, რამდენჯერ გადაწერა ტოლსტოიმ „ომი და შვეიცარია“, რამდენ წვალება უხდება შემოქმედს, ვიდრე ერთადერთ სწორ სიტყვას, ბერას, ფერს თუ ფორმულას იპოვიდეს. მაგრამ მაინც — სად, „შემოქმედებითი წვა“ და საღ ყოველდღური მონიტორი შრომა ჩარჩოან, არითმომეტრთან თუ — დავუშვათ — ეგტომანენანის საკუსთან... ამასთან ცნობილია, რომ ვერც ერთი „შემოქმედი“ ვერ შეელევა თავის „ტანგითა“ და „წვით“ აღსავს, ამასთან, გაურკველსა და საკუთ პროფესიას და ხელს არ მიჰყოფს უფრო იოლ, თანაც უფრო ნაღმისა და სართვიან, მაგრამ „ორდინარიულ“, უინტერესო ხელობას. ამის ნამდვილი მიზეზი, რა თქმა უნდა, „განდიდების მანია“, საუკუნო ხსოვნისა და სიკვდილის შემდეგ პანთომში მოხვედრის იმედი არ არის — თუმცა შემოქმედიც კაცია და არც მისთვისაა უცხო კაცთა მანკა — პარივმოყვარეობა... არა, თვითონ ს აქმე არ უშევბს მას, ატყვევებს და თავის თავს „აკეთებინებს“. რა არის ეს განსაკუთრებული საქმე? და ვინ არის შემოქმედი — გამოჩენიული კაცი, რომელსაც ამ საქმის კეთების უნარი შესწევს?

ანტიკურ საბერძნეთში შეიქმნა ხელოვნების უბადლო ნიმუშები, ცუვნენ
დღიდ მოქანდაკები, პოეტები, მწერლები, მაგრამ არ იყვნენ „შემოქმედნი“.
უფრო სწორად, არ არსებობდა შემოქმედების ცნება; ის, რასაც ღლეს შემოქმე-
დებას ვებახით, იმავე სიტუაცია აღნიშვნებოდა, როთაც ჩვეულებრივი ჰქონება“.
„შემოქმედება, როგორც კეოთხისაგან პრინციპულად გამსხვავებული რამ, პირ-
ველად გამოყო ქრისტიანობამ და ასეთად გაიგო ღმერთის მიერ სამყაროს შექ-
მნის აქტი — creatio. ანტიკური ჰქონების“ საპირისიპიროდ, „შემოქმედება“
არის არარაცინ შექმნა, ასეთი რამ კი მხოლოდ ღმერთს ძალუდს. ეს გა-
ვება განუყოფლად ბატონობდა რენესანსამდე, როდესაც თანადათან — ჯერ გა-
უბედავად — დაიწყეს აღმიანის ქმედების ზოგიერთი სახის შედარება ღვთა-
ებრივ შემოქმედებასთან. რა თქმა უნდა, აღმიანის არ ძალუდს არარაცინ რაიმე,
რეალური საგანი შექმნას, მაგრამ მას უნარი აქვს ფიქტიური, მოქენებითი
სამყაროს შექმნისა. ამ უნარის ასპარეზი მხატვრულ შემოქმედებაში დაინახეს.
თავისი შექმნილი სამყაროს მიმართ ხელოვნი მართლაც ღმერთის ტოლი კა-
ცია: იგი თვითონ უდგენს მას კანონებს და განუყოფლად ბატონობს მასზე. ასე-



თი შეხედულება შემოქმედების შესახებ საბოლოოდ გამეფდა XIX საუკუნეში, როდესაც ხელვანის მოღვაწეობა უკვე ძირითად საზრისად იქცა სიტყვა „შემოქმედებისა“, ლთავებრივი შესაქმე კი — სპეციალურად. XX საუკუნეში კრიტერიუმი, რომელიც შემოქმედებით მოღვაწეობას არაშემოქმედებითისაგან გამოყოფს, კიდევ უფრო შერბილდა. ასეთად გამოცხადდა ყოველგვარი სიახლე — ახალი, მანამდე არარსებული რაიმის შექმნა, ან ახალი მეოთხით შექმნა. ამ გაგებით შემოქმედებითობა აღარ არის ხელვანის პრივილეგია, „შემოქმედი“ შეიძლება ეწოდოს მეცნიერს, გამოგვინებელს, ტექნოლოგს, აღმინისტრატორსაც კი! როდესაც დღეს შემოქმედების ცნებას აანალიზებენ, ან საგანგებო კრიტიკული განხილვის გარეშე მოიხმარენ, უპირველეს ყოვლისა, სიახლის ნიშანები მიუთითებენ, როგორც თავისთვად ცხადსა და უდაოზე: შემოქმედება არის ახლის ქმნა².

როგორც კი ამ განსაზღვრებას „თავისთვად ცხადის“ საბურველს მოვაცილებთ და მისდამი კრიტიკულ პოზიციას დავიჭიროთ, აღმოჩნდება, რომ მის მოღებას გარკვეული სიძნელეები ახლავს თან. პირველი სიძნელე თვით „სიძნოს“ კრიტიკულმა „ბუნდოვანებაა. ადამიანის შექმნილ საგანის მრავალი სხვადასხვა პარამეტრი აქვს და ძნელია, ერთ-ერთი მათგანის მიხედვით მაინც საგანი ახალი არ აღმოჩნდეს — „ახალი“, ესე ივი ისეთი, როგორც მანამდე არ ყოფილა. სიახლის პრედიკატი როდენობრივ გრადაციებსაც კულისხმობს. მაღაზიებში ყოველდღიურად ვყიდულობთ სერიულ ნაწარმს, რომლის მსგავსაც ფაბრიკა თუ ქარხანა ათასობით ამზადებს, და ყოველ ნივთზე მაინც ვამბობთ: ახალი კოსტუმი, ახალი გარნიტური, ახალი მანქნა, ამ ნივთებს მართლაც ვერ დაუკარგავთ სიახლის რადაც ხარისხს, მაგრამ ისინი, რა თქმა უნდა, გაცილებით ნაკლებად იმსახურებენ „ახლის“ სახელს ეკრანებზე გამოსულ ახალ ფილმთან თუ მწერლის დაწერილ ახალ რომანთან შედარებით. თავის მხრივ, ისტოირი და ათასობით ეპიგრანტურ ფილმთა და რომანთა სიახლე პრინციპულად განსხვავდება ხელოვნების უკვდავ შედევრთა ნოვატორობისაგან. ნიშნავს ეს, რომ „შემოქმედი“ მხოლოდ გენიოსს შეიძლება ვუწოდოთ? გარდა ამისა, ასებობს ობიექტური სიახლე და სუბიექტური სიახლე: შემოქმედია თუ არა კაცი, რომელმაც XIX საუკუნეში სრულიად დამოუკიდებლად გამოიგონა ველოსიპედი? განსხვავებენ აგრეთვე საკაცობრივ სიახლეს და რეგიონალურ სიახლეს და ა. შე რა თქმა უნდა, შევგიძლია ვთქვათ: მოდი ამა და ამ ტიპის ახლის ქმნას შემოქმედება ვუწოდოთ, სხვა ტიპისს კი — არა. მაგრამ ამ განსაზღვრებას კიდევ თავისი კრიტერიუმი დასჭირდება, სხვაგვარად მას თვითნებური ხსიათი დაჰყვება. ვ. ტატარკვეზი, რომელიც უკრიტიკოლ აღიარებს სიახლეს შემოქმედებითობის კრიტიკულად, საბოლოოდ ურიგდება ამ ცნების მიახლოებით ბუნების: მისი აზრით, „შემოქმედება არ არის ცნება, რომლის მკაცრი მოხმარებაც იყოს შესაძლებელი“; საზოგადოდ, „ეს სამუშაო ცნება არ არის, მაგრამ სასარგებლო პაროლი კია“ [10, 58 და 63].

¹ შემოქმედების ცნების ისტორიის შესახებ იხ. [10].

² ასევე განსაზღვრული ტერმინი „შემოქმედება“ ჩერნის „ფილოსოფიურ ენციკლოპედიაშიც“: როგორც უმღვაწეობა, რომლის შედევვადაც წარმოიქმნება, რაღაც ახალი, მანამდე არარსებულია“ [8, 185]. ან ავილოთ ახლახან გამოსული ი. ტაბიძის „შემოქმედების აზრის“: „შემოქმედება რომ ახლის ქმნაა, ეს სადაც არაა“, მმთხვევს დეტორი [3, 21].

³ ზემოხსენებულ ნაშრომში თ. ტაბიძე თოხი სახის სიახლეს არჩევს [3, 39—41].



ჩემი აზრით, სინელის ძირი აქ იმაშია, რომ თვით განსაზღვრება შემოქმედებისა „ახლის ქმნით“ ლოგიკურად არის უმართებულო. რა თქმა უნდა, აქ ფორმალურ ლოგიკაზე არა ლაპარაკი. ფორმალურად სრული უფლება გვაქვს, აკირჩიოთ „სიახლის“ გარევეული ტაბი და ხარისხი და ამ გზით მოვიპოვოთ მყარი კრიტერიუმი შემოქმედებითი მოღვაწეობის არაშემოქმედებითისაგან გასარჩევად. მე ვგულისხმობ იმ მარტივ ლოგიკურ პრინციპს, რომლის თანახმადც ასიმის განსაზღვრება ამ რაიმის არსებობის მინიჭება უნდა იყოს. შემოქმედებაზე ლაპარაკისას უნდა გავაჩრიოთ სამი რამ შემოქმედების სუბიექტი — „შემოქმედი“, შემოქმედების ნაყოფი — „ქმნილება“ და შემოქმედების პროცესი — საკუთრივ „შემოქმედება“. თუნდაც იქიდან, რომ ამ უკანასკნელს ვუწოდეთ საკუთრივ შემოქმედება, ჩანს, რომ სწორედ ის არის არსებითი, განსაზღვრული, გარეგადამზღვდომი შემოქმედების ამ მომენტებს შორის. შემოქმედება უპირველეს ყოვლისა მოქმედება, პროცესია — სიახლე კი შემოქმედების ნაკუთრების პრედიკტია. ამ უკანასკნელს მიხედვით შემოქმედების განსაზღვრება იმის აღიარებაა, რომ არ ძალგვის საკუთრივ შემოქმედების, „თვითონ“ შემოქმედების წვდომა. ამგარი განსაზღვრება კორექტულადც რომ ჩავთვალოთ, აუცილებლად დაგვებადება კითხვა: კი მაგრამ, არ არის შემოქმედების პროცესში ისეთი, რომ მის შედეგად რაღაც ახალი, ორიგინალური, განსაკუთრებული იქმნება? სინელისაგან თავის დაღწევის მეორე გზაა შემოქმედების სუბიექტის განსაკუთრებულობაზე მინიჭება, — სულერთია, ამ განსაკუთრებულობის საფუძვლად ღვთაებრივ სიშმაგეს გამოვაცხადებთ თუ ჩვეულებრივ ეპილეფსიას. არის კიდევ მესამე სახის შეცდომა — ყურადღებას ამახელებენ შემოქმედების პროცესშე, მაგრამ მას ამ პროცესის სუბიექტურ განცდასთან აიგივებენ, რის შედეგადაც შემოქმედების ფსიქოლოგიურ ინტერპრეტაციებს ვიღებთ. შემოქმედება კი არის უპირველეს ყოვლისა ობიექტის, რეალური თუ ირეალური საგნის ქმნა (ან გარდაქმნა) სუბიექტის მიერ. ამიტომ — თუმცა შემოქმედების ფსიქოლოგია თავისთვის სავსებით კონნიერი დისკიპლინაა — შემოქმედების რაობა ჯერ ონტოლოგიურ რიტუალის შემთხვევაში არა წარმოვაჩინოთ.

სამისოდ საჭიროა შემოქმედება მის მონათესავე, „მეზობელ“ კატეგორიებს შევადაროთ. ასეთებია „ქმნა“, „ეტება“, „შრომა“. ყველა მათგანი ველისხმობს აღამიანის ზემოქმედების სახურობზე, რეალობაზე; ამასთან იგულისხმება, რომ აღამიანი უბრალობ კი არ ერ ე ვა რეალურ პროცესთა მსვლელობაში, არამედ ცდილობს, ეს პროცესები მისთვის სასურველ კალაპოტში მოქციოს, საკუთარ ბუნებას „მოარგოს“, ეს იგი თავის შეგნებულ გეგმას, წინასწარ გათვლილ პროექტს ახორციელებს⁴. მისი მოღვაწეობის პროდუქტში აისახება მისი ში-

⁴ აქ ძნელია არ გაიცის ნორქესის მსელობა, რომელიც არაერთგვისა ციტირებული სავარაუდო სხვადასხვა ავტორთან: „რაც ყველაზე მდარე ხუროთმოძღვარს იმთავით საუკეთესო ფუტკრისაგან განსაზღვრებს, ეს ის გარემოებაა, რომ ხუროთმოძღვარმა, ვიღერ ფიჭის უგრეს ააშენებდეს, უკვე თავის თავში ააშენა იგი. შრომის პროცესის დასარულ ვებულობთ შედეგს. რომელიც ამ პროცესის დაწყებისას მუშას წარმოლენები, მაშასღამე, დევალურად, უკვე არსებობდა. იმში, რაც ბუნებით მოცემულია, მუშას ბარტო ფორმის ცელიდება, რომი შეაქვს; იგი მისთვის ამ ბუნებით მოცემული ახორციელებს თავის შეგნებულ მიზანს, რომელიც, როგორც კანონი, მისა მოქმედების წესია და ხასიათს განსაზღვრავს და რომელსაც მან თავისი ნებისმიერი უნდა დაუქმენდებორის“ [1,228].

ნაგანი თავისებურებები, მიზნები, ლიტებულებები. ქმნა, კუთხია, შრომა — ყოველი ეს ადამიანის შინაგანი სამყაროს გასაგნებაა, ბუნების გარდა ქმნაა ადამიანური საზომებისა და ლიტებულებების მიხედვით, ბუნების „ჰემანიზაციაა“. განსხვავებული ტერმინები მხოლოდ ერთი და იმავე პროცესის სხვადასხვა მხარეებზე ყურადღების გამახვილებით განიჩევენან ერთმანეთისაგან. „ქმნა“, „კუთხია“ გარდამავალი ზმნებია და ადამიანური მოღვაწეობის კონკრეტულ-საგნობრივ გამიზნულობას უსვამენ ხასის: აი, ეს გვაკეთე, ეს შეკმენა. „შრომის“ ცნებაში კი დაჭრილია. გა და ს ვლის მომენტი, გა შუა ლება ადამიანის შინაგან სამყაროსა და ბუნებას, სუბიექტურობასა და ობიექტურობას შორის: „შრომის პროცესის განმავლობაში შრომა მუდა მაღალას მოქმედების (Upruhe) ფორმიდან ყოფილების ფორმაში, შოძრაობის ფორმიდან — საგნობრიობის (Gegentäglichkeit) ფორმაში“ [1,242].

საგულისხმოა, რომ სიტყვა „შემოქმედება“ არა მხოლოდ იმავე ძირიდან მომდინარეობს, რაც სიტყვა „ქმნა“, არამედ ისინი ენაცვლებიან კიდევ ერთმანეთს, როგორც ექვივალენტები. საქმე ისაა, რომ ქართულ სიტყვა „შემოქმედებას“, მისი ეკროპული (ან თუნდაც რუსული) შესატყვისებისაგან განსხვავებით, არ გააჩნია ზმნური ფორმა და მისგან არ იწარმოება არსებითი სახელი, რომელიც შემოქმედების ნაყოფს აღნიშნავდა (რუსულში — творить, творение; ინგლისურში — to create, creation და ა. შ.), ამიტომ ჩენ კამბობთ: „ის ქმნის“, „ქმნილება“ და მა ღრის შემოქმედების პრიცესსა და მის ნაყოფს ვვლისხმობთ. რა თქვა უნდა, ეს ჯერ კიდევ არ არის საქმარისი არგუმენტი „შემოქმედებისა“ და „ქმნის“ გასაიგივებლად. მაგრამ მაშინ უნდა დაეკებონთ ის ნიშანი, რაც „შემოქმედებას“ პრინციპულად განასხვავებს „კუთხისა“ და „ქმნისაგან“. შემოქმედებაც, მათ მსგავსად, გულისხმობს ადამიანის ჩანაფიქრის ხორცესხმას, შექმნას საგნისა, რომელიც ადამიანის ნინაგანი ბუნების, მისი „არსობლივ ძალების“ გასაგნება იქნება. იქნება შემოქმედებითი აქტი განსაკუთრებული ტრიპის ჩანაც ფირ ით ა ა გამორჩეული? ეს რომ დავვისგათ, უნდა ივხსნათ, რა არის „არაშემოქმედებითი ჩანაფიქრი“. თუ ვამბობთ, რომ ადამიანი თავისი ჩანაფიქრის მიხედვით მოქმედებს, რომ მას მისი განხორციელებუნდა, ეს ნიშანეს, რომ მან წარმოსახვის უნარის მეშვეობით გონიერაში შეიიქმნა ხატი მისთვის სასურველი საგნისა თუ სიტუაციისა და მოქმედებს საიმისოდ, რომ მა იდეალურ ხასის საგნობრივი სახე მისცის. ესე იგი სუბიექტის ჩანაფიქრის, პროექტის განხორციელება ნიშანებს, რომ სუბიექტი იმას კი არ მისდევს, რაც რეალურად არის (bestehende), არამედ იმას, რაც ჯერ არ არის (ანუ არის მხოლოდ იდეალურად, მის თავში), ქმნის იმას, რაც ჯერ არ ყოფილა. ანუ: ადამიანის მიერ თავისი ჩანაფიქრის განხორციელება უკვე ნიშანებს რაღაც სიახლის შეტანას სამყაროში. ადამიანი „არ ეთანხმება“ არსებულ კოთარებას, მიზანშეუწონლად მიაჩნია ის და ცვლის მას. შესაძლოა, მისი პროექტის შინაგანი რაღაც სხვა, უკვე განხორციელებული პროექტების ანალიგით იყოს ნაკრინებები, არსებოთად იმეორებდეს მათ, მაგრამ თვით აზრი ამ პროექტის ხელახლი გამოყენების შესახებ, თვით სურვალი არსებულის განახლებისა, გარდაქმნისა სწორედ ამ ხერხით უკვე შეიცავს თავის თავში შემოქმედებით იმპულს: არსებულთან, status quo-სთან უთანხმოებას, მისი გარეული მიმართულებით დაძლევის სურვილს. მაშასადამე, ადამიანის მიზანშეუწონლი მოქმედება, იდეალურად არსებული პროექტის განხორციელება რაღაც ხარისხით მინც გულისხმობს „ახლის“ ქმნას — იმას, რაც შემოქმედების პრივილეგიად ით-

ვლება. საკუცით არაშემოქმედებითი ჩანაფიქრი არ არსებობს, თუკი „ჩატტის განვითარების ში“ აღმანისი წარმოსახვისა და ინტელექტუალის ერთობლივ ნამოქმედას ვაგულის-ხმებთ. თუ ეს ასეა, შემოქმედების ცნებას არ ჰქონია ნიშანი, რაც მას პრინციპულად გამოაჩინებს კუთხისა და ქმნის, შესაბამისად კი — შრომის ცნებისაგან; უფრო სწორად, შრომის ცნებას არ აქლია რამე ნიშანი, რასაც შემოქმედების ცნებაში ვლებათ. თუ მაინც დამაინც გვინდა, კულტურული მივერავით, შეიძლება შემდეგნაირად მოვიქცეთ: „შემოქმედება“ და „ქმნა“ სინონიმებად ჩავთვალოთ; მაშინ ტერმინი „კუთხის“ ჩანაფიქრის განხორციელების უფრო ტექნიკურ, შესრულებით მხარეზე დასაში მახვილს, „შემოქმედება“ („ქმნა“) კი სუბიექტურ მომენტს წამოსწევს წინა პლანზე, — იმ გარემოებას, რომ ახლად გაჩენილ საგანი სწორედ აღმანისი იდეალური პროექტის ხორციელებამა.

მაგრამ როგორ უნდა შევათანხმოთ მთელი ეს მსჯელობა იმ გარემოებასთან, რაც წერილის დასატყისშივე იყო ხაზგასმული: რეალურ განსხვავებასთან, მეტიც — დაპირისპირებასთან შრომისა და შემოქმედებას შორის? პარადოქსული ვითარება იქმნება: ცნების დონეზე შრომა და შემოქმედება თითქმის იდენტურია ერთმანეთისა, რეალურ ყოფნაში კი — ერთმანეთს მოწყვეტილი და დაპირისპირებული.

ისევ ისტორიული მიღების მომარჯვება ვცადოთ. ძველმა ბერძნებმა, როგორც აღნიშნული იყო, არ იცოდნენ წყვეტილ შრომასა და შემოქმედებას შორის. იგივე პოზიცია ეკავა აღმანისის მიმართ შეუასეუნების მსოფლმხედველობასაც: ამ დროს ერთადერთი შემოქმედი ღმერთი იყო: შემოქმედების ცნების, როგორც აღმანიშნურ მოღვაწეობის მახასიათებლის, გაჩენა იმაზე მიანიშნებს, რომ საყირო შეიქნა შემოქმედებითი მოღვაწეობის, შემოქმედებითი კეთების გაჩენება არაშემოქმედებითისაგან. ხოლო თუ იმასაც გაეითვალისწინებთ, რომ შემოქმედება მოღვაწეობის განსაკუთრებულ სახედ იქნა აღიარებული და არა ყოველგვარი შრომის, კეთების ერთ-ერთ მომენტად — გამოდის, რომ აღმანისი მოღვაწეობა ძირითადად, უპირატესად არაშემოქმედებით გახდა. ან სხვა სიტუაციით: შემოქმედების გამოყოფა მოღვაწეობის გამორჩეულ სახელი ნიშნავს საზოგადოდ აღმანიშნურ მოღვაწეობის მიერ რაღაც ასებითი ნიშნის დაკარგვას. თუ გავისხენებთ, რომ შემოქმედების ცნებაში აღმანიშნური ქმედების სუბიექტური მომენტია წინ წამოწეული, გასაგები გახდება, თუ რა არსებითი ნიშანია ეს. შრომა თავის ობიექტურ-შესრულებით, ტექნიკურ მხარედ გადავარდა და ამით დაშორდა საკუთარ ცნებასაც და შემოქმედებასაც. სწორედ ეს გარემოება დააფიქსირა კ. მარქსმა „გაცემობული შრომის“ ცნებაში.

თავდაპირველად იდეალური ჩანაფიქრის გაჩენა და მისა განხორციელება, აზროვნება და მოქმედება განუყრელ ერთიანობაში იყო ერთმანეთთან. მეტობინტიმ სავანვები ტერმინიც კი გამოინახა თავდაპირველ, პრაქტიკასთან შეტყმულ აზროვნებას: *practognosis*. აღმანისა და საზოგადოების განვითარებასთან, შრომის განაწილების გაღრმავებასთან ერთად ეს პირველადი სინკრეტულობაც იშლება. შრომის მთლიან სუბიექტურ მთელი საზოგადოება გამოდის, ცალკეულ ინდივიდებს კი მხოლოდ შრომის ცალკეული მხარეები ერგებათ: აზროვნება, თეორია ერთ მხარეზე ჩაიხდა, პრაქტიკა როგორ შესრულება კი — ვეორეზე⁵. მაგ-

⁵ „შემოქმედება შხოლოდ კერძო სახე არ არის შრომისა, იგი მისი არსების, მისი „იდეის“ გამოხატვა“ [7, 51].

⁶ „შრომის, დანაწილება ნამდვილ დანაწილებად იქცევა იმ მომენტიდან, როცა პატერი-ალური და სულიერი შრომის დანაწილება“ [2, 28].



რამ ეს, ბუნებრივია, ერთბაშად არ მომხდარა. ძველ საბერძნეთში, სადაც სამცური
შრომა იმდენად ფართოდ არ გამოიყენებოდა, გაბატონებული იყო ხელოსნური
ტიპის შრომა, რომლის სუბიექტიც ინარჩუნებდა „მთლიანი მუშაის“ მდგომა-
რეობას. ასეგბითად იგივე ითქმის შეუ საუკუნეებში გამეფებულ ხელოსნობასა და
ნატურალურ შეურჩეობაზეც. საბოლოო პუნქტამდე მიიყვანა შრომის განაწილე-
ბა წარმოების კაპიტალისტურმ წესმა თავისი მანუფაქტურითა და, განსაკუთრე-
ბით, მანქანური მრეწველობით. მანუფაქტურის მუშა ერთეულ, უნიფიცირებულ
ოპერაციას ასრულებს; იგი, ფაქტურად, დეტალია ცოცხალი ადამიანებისაგან
შემდგარი მანქანისა, ნამდვილ მანქანის კი დანამატად, „თანაშემწედ“ ექცევა,
მხოლოდ საჭირო მასალას აწვდის მასში დაპროგრამებული ოპერაციების შესა-
რულებლად. ორივე შემთხვევაში შრომის პროცესს არაფერი აქვთ საერთო მუშის
შინაგან სამყაროსთან, მის სურვილებთან და ღირებულებებთან. „შრომობს“
მხოლოდ მისი ზედაპირული, არაარსისეული უნარები: მოტორული ჩევები, ფი-
ზიკური ძალა, ყურადღება, ეს ნიშანები, რომ შრომის პროცესში მუშა „ნაწილობ-
რივ ადამიანად“ იქცევა, კარგავს თავის მთლიანობას, თავის „ცნებას“. სწორედ
ამას ჰქვეა შრომის გაუცხოება: მშრომელისათვის უცხო ხდება მისი საკუთარი
არსება, ეს იგი შრომის არსებაც და შრომის ნაყოფიც, რადგან მას ამ ნაყოფში
არაფერი ჩაუდია, მისი სახით თავის „არსობლივი ძალები“ არ გაუსაგნებია.

იმის კითხვა: განა კაპიტალიზმამდელ ფორმაციებში არ იყენებ ადამიანე-
ბი, ვინც შრომის პროცესში მხოლოდ იარაღის როლს ასრულებდა, სხეისი ნე-
ბის ბრძან შემსრულებლად გამოიდიოდა? ჩეალურად ხომ მაინც იყო განსხვავე-
ბა შემოქმედებით და არაშემოქმედებით შრომის შორის? აუცილებლად უკი-
დურესობამდე უნდა მისულიყო შრომის დანაწილება, რომ გაუცხოებული შრო-
მის ცნება გაჩენილიყო? ჩემი აზრით, აქ კიდევ ერთ მომენტს უნდა გავუწიოთ
ანგარიში. „შრომის გაუცხოება“ არ არა წმინდა აბიექტიურისტური ცნება,
მის გასაგებად ღირებულებითი მომენტის წინ წამოწევა აუცილებელი. ტერმი-
ნი „გაუცხოება“ უარყოფითად აფასებს რაღაც ვითარებას, მაშასადამე გულის-
ხმობს რაღაც წარმოდგენის დადგებით, მისაღებ ვითარებაზე. აქედან, გაუცხო-
ბის ფაქტს უნდა იხლდეს შესაძლებლობა მისი რაოდაცნირი, თუნდაც ბუნდო-
ვანი, განცდისა, გაცნობიერებისა; ობიექტური გაუცხოება სუბიექტურ გაუცხო-
ებულობასაც გულისხმობს. კაპიტალიზმამდელ ფორმაციებში ადამიანი საქმა-
ოდ მცირდოდ იყო დაკავშირებული რაღაც „ერთობასთან“, თავს მის ორგანულ
ნაწილად გრძნობდა: ეს ერთობა შეიძლებოდა ყოფილიყო თემი, პოლისი, შემ-
დგომ რელიგიური თემი (შეუ საუკუნეებში), გარკვეული აზრით — ამერიკა.
ამ ერთობის გზით ადამიანი მთელ საზოგადოებასთანაც ამყარებდა მეტნაკლე-
ბად შინაგან კავშირს. ეს კავშირი კლინდებოდა როგორც ინდივიდის მოღვაწეო-
ბის იდენტიფიკაცია მთელის მოღვაწეობასთან. მოღვაწეობის სუბიექტი თემი
იყო, ინდივიდუალურ სუბიექტს კი წილი ედო ამ მთლიან სუბიექტში და არც
ჰქონდა განსაკუთრებულ მიღრეცილება მისა, რომ თავისი შრომის ნაყოფში
რაღაც პირადი, განუმეორებელი ჩადედო. ეს ორგანული მთლიანობა დაარღვია
აზალი, კაპიტალისტური წყობილების მოტანილმა ურთიერთობებმა. გაჩნდა
ინდივიდუალური თავისუფლების იდეალი, პრინციპი მიკროსომოსის და მაკ-
როკოსმოსის იგივეობისა; ფეხი მოიკიდა შეხედულებამ, რომ საზოგადოდ ადა-
მიანის ბუნება სწორედ რომ ერთ უ ს ადამიანში უნდა განხორციელდეს,
ამიტომ ინდივიდის მოღვაწეობას სხვაგვარი კრიტერიუმები წაეყენა. ამ ახალ-

მა კრიტერიუმებმა წარმოაჩინა ის ფაქტი, რომ შრომის, მატერიალური წარმოების სფეროში, საერთოდ ოსებული საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში აღმიანი ვერ განახორციელებდა თავის ასებას; ამ ასების სრულყოფილა განამდვილებისათვის საჭირო შეიქნა მოღვაწეობის განსაკუთრებული სფეროს გამოყოფა და მისი დაპირისპირება შრომის, მატერიალური წარმოების, ამ წარმოებასთან დაკავშირებული სოციალური კავშირების „მდაბიო“ სფეროსადმი. ასეთ „მაღალ“ სფეროდ ხელოვნება გამოცხადდა. რაკი რეალურ სამყაროში ინდივიდი ვერ აღწევდა საკუთარი თავის სრულ განამდვილებას, ხელოვნებამ მეორე, წარმოსახვითი რეალობა შეიქმნა და „მაგიური წრიოთ“ შემოსაზღვრა ის ამჯეონიური ოსებობისაგან. ხელოვნება დაურქვა იმას, რაც რეალობა არ არის. შემოქმედება ეწოდა ორარეალური სამყაროს კონსტრუირებას. თვით მა არარეალური სამყაროს მატერიალურ სიმბოლოს დაურქვა „ხელოვნების ქვნილება“, რომელიც ამა თუ იმ სახის „ჩარჩოთი“ იქნა გამოყოფილი „იმ“ სამყაროს სასარგებლო ნიუთებისაგან. აღმიანური, სეკულარიზებული შემოქმედება და ხელოვნება ერთობოულად იშვნენ. რა თქმა უნდა, ხელოვნების ისტორია რენესანსით არ იწყება; მაგრამ მანამდე ხელოვნების ფუნქცია და მისუდამი დამოკიდებულება ოსებითად სხვა იყო. ის, რასაც ჩენ დღეს ანტიკურ ან შეა საკუუნების ხელოვნებას ვუწოდებთ, ამა თუ იმ გზით ჩართული იყო ადამიანთა ცხოვრებაში, რაღაც ფუნქციას ასრულებდა რეალურ საზოგადოებრივ ყოფნაში. ტაძარი, ფრესკა, ქანდაკება, ხატი — ყოველივე ეს ის იყო, რაშიც და რთაც ხალხი ცხოვრებაში, ანტიკური კომედია და ტრაგედია რელიგიური რიტუალის ნერილს შეაღენდა და ამ გზით ცხოვრების ნაფაღს ერთობდა. რენესანსის ხანიდან მოკიდებული კი ხელოვნების მთავარი ნიშანი გახდა სოციალური კავშირებიდან მორჩულობა, არაცხოვრებისეულობა, „სხვად“ ყოფნა (ასეთი ინტენცია რეალისტურ, თვით ნატურალისტურ ხელოვნებასაც ახასიათებს — რაგინდ ზუსტი იყოს ხატი სინამდვილისა, ის მაინც მხოლოდ ხატია და არა თვითონ სინამდვილე). განმდა ხელოვნებისა და ხელოსნობის ოპოზიცია: ხელოსანი (დაბალი რანგის კაცი) „პირველ“, რეალურ სამყაროს ქმნის, ხელოვანი კი „მეორეს“, წარმოსახვით.

აღმიანის შემოქმედებითი უნარის მიღწევათა ერთობლიობას კულტურა ეწოდა. კულტურა მყუდრო სავანეა, ნეოთაყუდელია, სადაც კაცის ცხოვრებისაგან დაღლილ სულს შეუძლია გაექცეს „ორდინარიულ“ „მდაბიო“ სინამდვილეს და დაუბრუნდეს საკუთარ თავს, გაიხსენოს და განამდვილოს თავისი ნამდვილი ასი, ჰპოვოს ბეღნიერება. კულტურა ერთადერთი ადგილია, სადაც კაცის სული გრძნობს, რომ შინაა. მივარი შეხედულება კულტურაზე უდევს საფუძვლად კულტურის დღვევანდელ მოარეულ გაგებასაც — იმას, რასაც განხეთები „კულტურულ ცხოვრების ქრონიკაში“ გლოსაბმბენ. ამგვარად ვაგებულ კულტურას ჰა. მარკუზემ „აფირმატული“, ესე იგი პოყოფითი უწიოდა: რაან აღმიანს საშუალება ეძლევა მოჩვენებითი ბეღნიერება მოიმოვოს კულტურის საუფლოში, ის ალარ ეძებს რეალურ, „ხორციელ“ ბეღნიერებას, ალარ ცდილობს ობიექტური. სინამდვილის გარდაქმნას და საბოლოოდ ურიგდება, „ჰორციელს“ მას. ინგლისელმა ჰერბერტ რიდმა კი თავის ერთ-ერთ წიგნს უწიოდა „ეშმაქსაც წაულია კულტურა“: კულტურის ცალკე სფეროდ გამოყოფა, მასი პრიორ, მიუთითებს პიროვნების გაცალმხრივებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების არაბუნებრივობაზე. იდეალურ, ბუნებრივ საზოგადოებაში, რომელ-

ზეც რიდი ოცნებობს, აღარ იქნება კულტურა, რადგან აღარ იქნება ხელოვანი და მუშა: ყოველი ადამიანი ერთდროულად მუშაც იქნება და ხელოვანიც [9].

მტრიგად, შეიძლება ითქვას, რომ შემოქმედების, როგორც ადამიანური ზოლებშეობის, ცნების შექმნა, შემოქმედებითი და არაშემოქმედებითი მოღვაწეობის გაყოფა თავისებური ფორმა შრომის გაუცხოების ფაქტის გაცნობიერებისა. ოლონდ ეს გაცნობიერება არაზუსტია: გაუცხოებული შრომა გაიგივებული ხდება შრომისთან საერთოდ. ამიტომ შრომა აღიმება, როგორც სასჯელი, როგორც „დაბალი“ სახის მოღვაწეობა, შეუსაბამო იმ „ღვთაებრივი წილისა“, რაც ადამიანის აჩსება შეადგენს. პირველმა კ. მარქსმა გაიკო შრომა ისტორიულად და, სწორედ ამის წყალობით, შეძლო დაედგინა საკი რთოდ შერთმის ნამდვილი არსი, მისი ცნება, რომელიც ქვემდებარე იქნებოდა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში გაერცელებული შრომის განსხვავებული ფორმებისათვის. ამის საშუალება მარქსს სწორედ შრომის გაუცხოების ცნებამ მისცა. შრომის გაუცხოება იმას ნიშნავს, რომ ისტორიული განვითარების რაღაც ეტაპზე შრომის აჩსებული ემპირიული ფორმა შეუსაბამო აღმოჩნდება შრომის ზოგადი არსისა, რომ ამ დროს შრომის არსი დამახინჯებული სახით ვლინდება. გაუცხოება არის შეუსაბამობა არსა და აჩსებობას, ცნებასა და რეალობას შორის. ამიტომ გაუცხოებული შრომის ცნების შემოტანით მარქსმა არა მხოლოდ მიმართულება დასახა შრომის კაპიტალისტური ფორმის კრიტიკისა, არამედ ამ ფორმის ისტორიული, წარმავალი ხსიათიც წარმოაჩინა და მოვცუ ნამდვილი, „ადამიანური“ შრომის აღწერაც — იძგვარი შრომისა, რაც მომავალ, კომუნისტურ საზოგადოებაში უნდა გამეფდეს.

მარქსის აზრით, თავისთავად, ისტორიული დამახინჯების გარეშე, შრომა „დადებითი, შემოქმედებითი მოღვაწეობაა“ [6, 113]. შემოქმედებითი შრომა კი, უპირველეს ყოვლისა, აჩსებული მდგომარეობის, status quo-ს მუდმივი დაბლევაა. კომუნისტურ საზოგადოებაში შრომის „ერთადერთ წანამძღვრად“ იქცევა „მოსავალი პუნქტის საზღვრებს გარეთ გასვლა“ [6, 33]. ნორმალური, თავისი ცნების შესაბამის შრომა „სიცოცხლის თავისუფალი გამოვლინება“, „სიცოცხლით ტებობა“ იქნება [4, 36]. შრომა ადამიანის თვითგანხორციელებაა, შრომის ნაყოფში ადამიანი თავის „საგნობრივ ძალას“ ჭრიეტს. ამდენად, შრომა ადამიანის თავისუფლების სინამდვილეულა, თუ თავისუფლებას გვიგებთ არა როგორც გარეგნი იძულების არქონას ან უშინაარსო თვითნებობას. ამასთან, შრომით ადამიანი მხოლოდ თვისი თავის ან თავისი გვარის ძალას კი არ აფეშებს, არამედ გარდაქმნის ბუნებას უნივერსალურ კანონების მიხედვით, რაც არც ერთ ბუნების ქმნილებას არ შეუძლია, ამიტომ იგი ბუნების მიმართ ღმერთის პოზიციაში დგება [4, 93—94]. შრომის პროცესში ადამიანი უბრალოდ საკუთარ ნებას კი არ ახვევს თავს ბუნებას, მხოლოდ საკუთარი მიზნებისათვის, თვითშეანხვის ინტერესებში კი არ ამუშავებს მას — ადამიანის ჩარევით ვითარდება თვით ბუნება, იშლება და ნიმდვილება მამში ჩაბუდებული პოტენციები: შრომა არა მხოლოდ ადამიანის, არამედ ბუნების აჩსების განამდვილებაცაა. სწორედ ამ აზრით ლაპარაკობს მარქსი ბუნების „გაადამიანებაზე“, „ჰემანიზაციაზე“.

შრომის ის ფორმა კი, რაც მარქსის თანადროულ, კაპიტალისტურ საზოგადოებაში იყო გაბატონებული, არ არის ნიმდვილი, ნორმალური შრომა. ეს გაუცხოებული შრომაა. მისი პირველი ნიშანია იძულებითობა. აქ იგულისხმება არა იურიდიული იძულება, არამედ ის ფაქტი, რომ შრომის მოტივი სასიცო-



ბა კორტედება“ და ა. შ.7. ეს კიდევ ერთი სამუთია იმისა, რომ „გვიანდელმა“ მარქსმა უარი კი არ თქვა გაუცხოების ცნებაზე, არამედ გააღრმავა იგი.


კაპიტალისტური საზოგადოების მარქსისტული კრიტიკა სულაც არ ნიშნავს, რომ იგი უარყოფს კაპიტალიზმის პროგრესულ როლს კულტურის, თუ ნდაც პიროვნების განვითარების თვალსაზრისით და პირველყოფილი, გაუცხოებისაგან თვალსუფალი ერთიანობის დაბრუნებას მოითხოვს. ბუნების შემოქმედებითი გარდაქმნა, მისი „პერიოდიზაცია“ ისე არ უნდა გავვითო, თითქოს ადამიანს, რომელშიც მზა სახით მოცე მული ა მისი უნივერსალური არსება, უბრალოდ „შექმნიდეს“ ეს არსება ბუნებაში, თავის დონეზე ამაღლებდეს ბუნებას; თითქოს ბუნების „გაადამიანება“ აღამიანობის ემანაცია იყოს. „აღამიანის უნივერსალური არსება“ თავისთავად მხოლოდ პოტენციაა, შესაძლებლობაა, რომელსაც განამდვილება, განხორციელება სტირდება, ამ განხორციელების გზა კი ისევ შრომა, ბუნების გარდაქმნაა. აღამიანის უნივერსალური არსების გამოვლენა, გასაცნება შრომის პროცესში ასავე არსების ჩა მო კალი ბე ბა ს ემთხვევა. ბუნებას თავისი კანონები გააჩნია, შრომის პროცესში იგი „წინააღმდევობას უწევს“ აღამიანს, მასთან კიდილში ამ უკანასკნელს უხდება ბუნების საიდუმლოებას წვდეს, მასზე შემოქმედების ახალ-ახალი ხერხები მონახოს და ამით საკუთარი უნარები განვითაროს. აღამიანის არის განამდვილება და ბუნების ფარული პოტენციების გამომზეურება, აღამიანისა და ბუნების „გაკულტურება“ ურთიერთქმედების პროცესია, რომელშიც აღამიანი აქტიური მხარის როლს თამაშობს. ამიტომ საქმე მხოლოდ ის არ არის, რომ „ნამდვილი“, „აღამიანური“ შრომა ყოველთვის შემოქმედებაა; შემოქმედებითობას თავისი თვისებრიობა, განსხვავებული დონეები გააჩნია, რაც დამოკიდებულია მოქმედი სუბიექტის განვითარებულობაზე, „კულტურულობაზე“, იმაზე, თუ რამდენად არის მასში გაშლილი, ჰეგელის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, დადგენილი (gesetzt) მისი აღამიანური, უნივერსალური ბუნება. მათთანია, პირველყოფილი ერთიანობის ხანაში, როდესაც პრაქტიკა და თეორია practognosis-ის მთლიანობას შეადგენდა, ჯრ კიდევ არ შეიძლებოდა ლაპარაკი შრომისა ან აღამიანის გაუცხოებულობაზე, რადგან შრომის ემპირიული „არსებობა“ შეესაბამებოდა მის „არსს“, — მაგრამ თვით ეს არსი მეტისმეტად ლაბიბი იყო. ამიტომ მარქსის მიერ გაუცხოების კრიტიკა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავვითო, როგორც უნივერსალური მოწოდება: „უკან პირველქმნილი ერთანობისაკენ“. „აღამიანური შრომა“ არის ბუნების გარდაქმნა უნივერსალური საზომების მიხედვით; დღრეული, საზოგადო კაპიტალიზმამდელი ფორმაციების აღამიანს კი ეს პრინციპულად არ შეუძლია, რადგან ის ჯრ კიდევ თავად არ არის განამდვილებული, როგორც უნივერსალური არის. აღამიანის უნივერსალური არსის გაშლა, დადგენა მხოლოდ კაპიტალიზმის ღროს ხდება შესაძლებელი. საჭმე ისაა, რომ თუმცა კაპიტალიზმამდელ ფორმაციებში აღამიანი იყო წარმოების მიზანი და არა პირიქით, რაც თავისთავად (წოგადჭუმანისტური თვალსაზრისით) თითქოს მათ უპირატესობას უნდა შეადგენდეს, — აյ საზოგადოებრივა ცხოვრების, საზოგადოებრივა ურთიერთობების მხოლოდ კელავშარმოება ხდება და არ გვაქვს განუხრელი წინს კლის, განუხრელი შრიდისა და განვითარების

⁷ «По сравнению с созданными стоимостями или реальными условиями созидания стоимости нищая субъективность живой рабочей силы образует все более различительный контраст» (ხაზ ჩენა — გ. 6.) — [4,450].

ტენდენცია, რომელსაც მხოლოდ კაპიტალი უდებს სათავეს [იხ. 5,475]. ფეოდალი, მონათმფლობელი სტაბილობას ესწრაფების; მისი სიმდიდრის ზრდა თანდათანობითი დაგროვების ან მეურნეობის ექსტენსიური გაფართოების გზით ხდება, ამიტომ ჩვეულებრივ იგი კმაყოფილდება შემოსავლის გარევული, შესაძლო — საკმარის მაღლი, მაგრამ ცუვლელი ზომით. კაპიტალი კი კონკურენციის პირობებში არსებობს, ის უკილებლად უნდა განვითარდეს, გაზიარდოს, გაყინვა მისთვის იგივე სიკეთილია. მის წმინდად ექსტენსიურ გაფართოებას მაღლ უდება საზღვარი, ამიტომ იგი ბიძგს აძლევს საწარმოო ძალთა არნახულ განვითარებას. წარმოების განვითარება კი მოხმარების განვითარებასაც მოითხოვს. კაპიტალიზმი საშუალებას არ აძლევს დამიანს უკილებელი, უშუალო მოთხოვნილებების დაკამაყოფილებას დასჯერდეს, — ეს რომ არა, მისი გამდიდრების შესაძლებლობები მეტისმეტად შეიზრდებოდა. იგი ა ხ ა ლ მ ო თ ხ თ ვ ნ ი ლ ე ბ ე ბ ს უჩენს ადამიანს, ამ ახალი მოთხოვნილებების დასაქმაყოფილდაც საჭირო საგნების შექმნა კი მწარმებელს შესაბამისად ახალ, უფრო მდიდარსა და მრავალმხრივ შემოქმედებით უნარებს სთხოვს. «В качестве безудержного стремления к всеобщей форме богатства капитал гонит труд за пределы обусловленных природой потребностей рабочего и тем самым создает материальные элементы для развития богатой индивидуальности, которая одинаково всестороння и в своем производстве, и в своем потреблении и труд которой выступает поэтому уже не как труд, а как полное развитие самой деятельности» [5,281]. სხვა ადგილის მარქსი კაპიტალისტურ სიმდიდრეს „ადამიანის შემოქმედებითი უნარების აბსოლუტურ გამოხატულებას“ უწოდებს [5,476]. ამრიგად, მოვალეო წინააღმდეგობრივი სიტუაცია: ერთის მხრივ გვაქვს საზოგადოების მაერ მაღწეული შემოქმედებითი უნარების არნახული სიმდიდრე, მეორეს მხრივ — ერთული ინდივიდის „საბიუტტური შრომის“ სიღარიცე. ამ წინააღმდეგობის ძირი ისა, რომ თუმცა კაპიტალიზმი შრომის უკიდურეს განსაზოგადოებრივებას ახდენს, უალკეული მუშის შრომა არ არის მოცემული, როგორც საზოგადოებრივი მოღვაწეობა; შრომის პროცესში მუშა გაუცხოებულია თავისი სოციალური ბუნებისაგან, მარქსის სიტუაციებით, შრომის „გრინითი ერთიანობა“ მის გარეთ ჩემება [5,460]. საზოგადოების შემოქმედებითი უნარი არ არის გათავისებული მუშის, როგორც პიროვნების მიერ. ინდივიდის ნამდვილ უნივერსალიზაციის კაპიტალიზმი მხოლოდ მოხმარების სფეროში ახდენს.

კომუნისტური სოციალური რევოლუციის მიზანია მოსპოს საზოგადოებრივი ურთიერთობების ფეტიშისებრი, ნიკოირი ხასიათი და ადამიანის შრომა უშუალოდ საზოგადოებრივი გახდოს. ამის უპირველესი საშუალებაა საწარმოო ძალათა განსაზოგადოებრივება, რაც გაათავისუფლებს მუშას იმის უკილებლობისაგან, გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა, როგორც უცხო რამ ნივთი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საქმარისი სიმისით, რომ საზოგადოების ყოველი წევრის მოღვაწეობა შემოქმედებითი გახდეს. კონვეიერთან მდგრმი მუშის შრომა შემოქმედებითად კერ მოინათლება, თუნდაც იგი საწარმოს ბატონ-ბატორიონად გამოვაცხადოთ. სოციალ-პოლიტიკურ გარდაქმნებთან ერთად უნდა შეიცვალოს თვეთ შრომის ხასიათი. რა თქმა უნდა, მარქსი არ მოუწოდებს კუსტარული, ხელოსნური ტიპის შრომისადმი დაბრუნებას, რომელშიც რამდენადმე შენარჩუნებული იყო შრომის სუბიექტის მთლიანობა, ინდივიდუალობა. მო-

2. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფიქტოლოგიის სერია, 1981, № 4



მავალი საზოგადოების შრომა ტექნიკის უმაღლეს მიღწევებს უნდა ეყრდნობოდეს, ეს იგი მანქანური, ავტომატიზებული უნდა იყოს. კაპიტალიზმის პირობებში წარმოების აეტომატიზაცია, თუმცა გარკვეული აზრით ამსუბუქებს შრომს, ამავე დროს შინაარსს აცლის მას, მონოტონურს ხდის. ეს იმის ბრალია. რომ მუშას მანქანის თანაშემწის როლი ერგება, კომუნიზმის დროს კი უშუალო შრომა საერთოდ დაკარგავს გადამწყვეტ როლს წარმოებაში [6, 218]. ეს იმის წყალობით მოხდება, რომ მანქანები შეიცვლებინ მანქანათა სისტემებით — ამას დღეს წარმოების სრულ ავტომატიზაციასა და კიბერნეტიზაციას უწევდებთ — და ადამიანი საბოლოოდ განთავისუფლდება მონოტონური, მექანიური ოპერატორების შესრულებისაგან. საწარმოო პროცესი თავისთავად, ბუნებრივი პროცესის დარად განხორციელდება [6, 213], ხოლო ადამიანი ჩართული კი აღარ იქნება მასში, როგორც მისი ერთ-ერთი ელემენტი, არამედ მის გვერდით დადგება, როგორც ამ პროცესის მომწერიგებელი და მარჯვულირებელი, როგორც საზოგადოებრივი გონების წარმომაღენელი. ამას მარქსი შრომის „მეცნიერულ“ ხასიათს უწოდებს [6, 110].

„მეცნიერული შრომა“ საბოლოოდ აღმაღლებს ადამიანს ბუნებაზე. მასში ადამიანი წარმოგვიდგინა არა როგორც „ბუნების გაწვრთნილი ძალა“ [6, 110], არამედ ბუნებრივ პროცესთა განმეობელი. მაგრამ ადამიანის მოღვაწეობა მხოლოდ ამაზე რომ დავიკანოთ, ხელში ერთგანხომილებიანი homo faber შევგრჩება და არა უნივერსალური, შემოქმედი არსება. ამასთან დაკავშირებით მარქსი საგანგებოდ გახაზავს თავისუფალი დროის როლს კომუნიზმის დროს. უკვე კაპიტალიზმი მინიმუმამდე ამცირებს აუცილებელ სამუშაო დროს — ეს იგი დროს, რომელშიც იწარმოება ადამიანის მოთხოვნილებათა დასამაყოფილებლად აუცილებელი პროცესები. მაგრამ კაპიტალი გამოთავსუფლებულ დროს მუშათა ექსპლუატაციას ახმარს — ზედმეტ სამუშაო დროდ გარდაქმნის. კომუნისტური ურთიერთობები კი საშუალებას აძლევს ადამიანს, თავისუფალი დრო თავის არსობლივ ძალათა თავისუფალ, შეუძლებად გამოვლენას, მხატვრულ, მეცნიერულ და სხვა სახის შემოქმედებას დაუთმოს.

კეშმარიტად უნივერსალური ადამიანის ჩამოყალიბებისათვის საჭიროა მოლგაწეობის ორივე სახე: როგორც აუცილებელი, „მეცნიერული“ შრომა, ისე თავისუფალი თვათვამოვლენა. ეს სახეები ერთმანეთთან ურთიერთდამატებითობის მიმართებაში არიან: ერთის მხრივ, თავისუფალი დრო, დრო, განკუთვნილი უფრო „ამაღლებული“ მოღვაწეობისათვის, განვითარებს მუშის პიროვნებას და იგი უფრო მდიდარი უნარების მქონე სუბიექტად უბრუნდება საწარმოო პროცესს; მეორეს მხრივ, საწარმოო პროცესიც აუცილებელია პიროვნების სრულყოფილებისათვის: ფორმირების პროცესში მყოფი ადამიანისათვის ის დისკიპლინის სკოლაა, ჩამოყალიბებულისათვის კი — ცოდნის მიყენების სფერო, ექსპერიმენტულ გამოყენებათა ველი [იხ. 6, 221]. აუცილებელი წარმოებისა და თავისუფალი დროის ერთიანობა იყავს პიროვნებას homo faber-ის ცალმხრივობისა და homo ludens-ის უპასუხისმგებლობისაგან.

ამრიგად, მარქსმა შრომისა და შემოქმედების ძირებული ერთიანობა აჩვენა და დასახა კიდეც ისეთი საზოგადოების აგების რეალური გეგმა, სადაც ეს იდეალური ერთიანობა ცხოვრებისეულ რეალობად იქცევა, სადაც უოვლ ადამიანს საშუალება მიეცემა მასში ჩაბუდებული შემოქმედებითი პოტენციის სრული განხორციელებისა. ერთი შეხედვით მან თითქოს ბოლომდე მიიყვანა შე-

მოქმედების ცნების „სეკულარიზაციის“ პროცესი, რისი მოხაზვაც წერილია დასაწყისში ცეკვად: თავდაპირველად შემოქმედი მხოლოდ ღმერთი იყო, შემდეგ — ლოთაებრივი გენით მორშემული ხელოვანი, შემდეგ — უბრალოდ ნიჭიერი კაცი, ვისაც რაღაც სიახლის მიგნება ძალუბს, მარქსმა კი ყოველი ადამიანი გამოაცხადა პოტენციურ შემოქმედად. მაგრამ შემოქმედების ცნების სეკულარიზაციას ბურჟუაზიულსა და მარქსისტულ აზროვნებაში არსებითად განსხვავდული ელფერი ახლავს. შემოქმედების რომანტიკული გაეგება, რომლის თანახმადაც შემოქმედების უნარს აღმიანში მასში ჩასახლებული მისტიკური „გენია“ განაპირობებს, უკავშირდებოდა და რაღაცნაირად აფუძნებდა კიდევ აღმიანის ლოთაებრივთან წილნაყარობის იდეას — იმ იდეას, რაც ბურჟუაზიული პუმანიზის პიროვნების შეადგენდა. შემოქმედების ლოთაებრივი წარმოშობის უარყოფა კი საზოგადოდ აღმიანში ლოთაებრივი წილის აღიარებას ემუქრება, რაც ბურჟუაზიული პუმანიზმის კრიზისზე მიაინშება. მარქსის პუმანიზმი, რა თქმა უნდა, რეალურია და უპიროსიპირდება ბურჟუაზიულს, როგორც აბსტრაქტულს. მაგრამ ეს დაპირისპირება იმგვარადაც ვლინდება, რომ როდესაც იმ უკანასკნელს კრიზისის ხნა დაუდგა, სწორედ მარქსისტულმა აზროვნებამ იტაცა მისი დადებითი, პროგრესული შინაარსი და მას აღევეატური ფორმა მოუნახა. ხოლო იმის მტკიცებას, რომ აღმიანი ღმერთთან წილნაყარობის წყალობითაა შემოქმედი, გარდა წმინდად რელიგიური შინაარსისა, ნამდვილად გააჩნია თავისი „რაციონალური მარცვალი“. შემოქმედება აღმიანის ყველაზე მაღალი უნარია, ის განსაზღვრავს მისი ყოფნის სპეციფიკას, ბუნებაზე აღმაღლებს მას და ბუნების მიმართ — როგორც ზემოთ იყო ნათევამი — „ღმერთის“ ადგილს აკავებინებს. ოლონდ ბურჟუაზიულ პუმანიზმს მაინც არ წერამდა იმისა, რომ აღმიანი შეუძლია რეალურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, „სამოქალაქო საზოგადოებაში“ განამდვილოს თავისი „ლოთაებრივი წილი“ და მა განამდვილებისათვეს საგანგებო, მკაფიოდ გამოყოფილ სფეროს შემოსაზღვრავდა. მარქსის პუმანიზმის რეალურობა კი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ იმაშია, რომ მან გაწმინდა აღმიანის „ლოთაებრიობის“ ცნება ყოველგვარი მისტიკურიზმისაგან და აღმიანში ამ კვეყნის სამყაროს უნივერსალური შემოქმედი დაინახა — არა არარადან შემოქმედი, არამედ ასება, რომელიც თვით ბუნებაშივე ჩაფიცვებულ პოტენციებს ამზეურებს და მხოლოდ ამით ეზიარება საკუთარ „ლოთაებრიობასაც“.

Г. О. НОДИА

ТРУД, КУЛЬТУРА, ТВОРЧЕСТВО

Резюме

На уровне обыденного сознания труд и творчество воспринимаются как противоположности. Исследование же на уровне понятия выявляет их близость и даже, в определенном смысле, тождество. Сущность и источник этого парадокса схватываются в марксовом понятии «отчужденного труда». Разграничение и даже противопоставление творчества и труда указывает на то, что в результате общественного разделения труда у большинства людей он оказался отчужденным от своей же субъективной, духовной стороны, превратился в чисто механическую

активность. В капиталистическом производстве работник представляет собой приданок машины, в процессе труда рабочий не осуществляет свою сознательную цель, но лишь «помогает» машине исполнить заложенную в нее программу действий. Результат этого — овеществление самого процесса труда, его дегуманизация. В этих условиях истинно человеческое понятие труда заменяется понятием творчества, которое, однако, понимается как деятельность человека по построению идеального, а не реального мира — мира искусства, позднее также и науки. Совокупность достижений, понятая как творческая способность человека, объединяется под понятием культуры.

При помощи понятия «отчужденного труда» К. Марксу удалось вскрыть исторический характер труда и его идеальное тождество с творчеством. Вместе с тем, он наметил конкретную программу реального воплощения этого идеального тождества в производственном процессе эпохи коммунизма, увидев такую возможность в диалектике научного труда и свободного времени.

ლიტერატურა

1. ვარქსი კ., დაბიტალი, ტ. 1, თბ., 1954.
2. ვარქსი კ. და ნ. გელსი ფ. რჩეული ნაწერები სამ ტომაზ, ტ. 1, 1975.
3. ტაბიძე თ. შემოქმედების არსა. თბ., 1980.
4. Маркс К. и Энгельс Ф. Сочинения, т. 42.
5. Маркс К. и Энгельс Ф. Сочинения, т. 46, ч. I.
6. Маркс К. и Энгельс Ф. Сочинения, т. 46, ч. II.
7. «Культура в свете философии». Тб., 1979.
8. Философская энциклопедия, т. 5, М., 1970.
9. Read H. To Hell with Culture. N. Y., 1974.
10. Tatarkiewicz W. Creativity: History of the Concept. In: Dialektics and Humanism, 1977, no. 3.

ტარმოადვინის საქართველოს სსრ მეცნიერებათა იუდე-
მისი ფილოსოფიის იმსტიტუტშა

გვრცელების ფაციატია

სოციოლოგიური თეორია და მისი კავშირი სოციოლოგიური
ცოდნის ეპიზოდულ ძონისათვა

სპეციალური სოციოლოგიური თეორიების შემუშავების გარეშე ვერ გადავალო ზოგადი თეორიიდან ემპირიულ მონაცემებზე. ასევე შეუძლებელია ვადასვლა ემპირიული მონაცემებიდან მაღალი დონის თეორიულ განხოგადებებზე. სწორედ ამიტომ, სპეციალურ სოციოლოგიურ თეორიათა შემუშავება წარმოადგენს მთავარ იმარტს, რომელიც საშუალებას იძლევა ავიცილოთ ორგვარი საშიშროება: უხეში ემპირიზმი და სქოლასტიკა [23, 7].

რასაევიზუალურია, ზოგადი სოციოლოგიური კანონები შეუძლებელია მივიღოთ თეორიული სოციოლოგიური გამოკვლევის გარეშე; მათი დადგნა მხოლოდ თეორიული კვლევით შეიძლება, მის მიზებს კი წარმოადგენს არა გრძნობადი აღმით მიღებული მონაცემები, არამედ მეცნიერული აბსტრაქციები, რომელებშიც ემპირიული მასალა „მოხსნილი სახით“ არსებობს.

საკითხი იმის შესახებ, რომ სოციოლოგიური მეცნიერების (და არა მხოლოდ სოციოლოგიურის) მეთოდოლოგია უნდა ვითარდებოდეს ემპირიულ სოციოლოგიურ გამოკვლევებთან ერთად და რომ მეთოდოლოგიამ უთუოდ ჯეროვანი რეაგირება უნდა მოახდინოს კონკრეტულ სოციოლოგიურ გამოკვლევათა მოთხოვნებსა და მათ შედეგებზე, ახალი საკითხი არ არის. ამ მიმართულებით ბევრი რამაც გაკეთებული, მაგრამ სოციოლოგიური შემეცნების სპეციფიკა მას დღესაც აქტუალურად ტოვებს. სოციოლოგიაში მეთოდოლოგიურ ძიებათა სასაჩვებლოდ ის ფაქტიც შეტყველებს, რომ თითქმის არ დარჩენილა სოციოლოგიურ გამოკვლევათა ისეთი სფერო, რომელზეც გავლენა არ მოეხდინოს მეთოდოლოგიურ ძიებებს სოციოლოგიაში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით ყურადღება საკითხის ერთ ასპექტზე მიპყრობილი—კერძოდ იმაზე, თუ როგორ იყენებენ სოციოლოგიის მეთოდოლოგიაში მომუშავე სოციოლოგები ემპირიულ სოციოლოგიურ გამოკვლევათა მიღწევებსა და შედეგებს. მეორე საკითხი, უფრო საგულისხმო და აქტუალური საკუთრივ მეთოდოლოგიური ძიებებისათვის სოციოლოგიაში, ესება პრობლემის მეორე მხარეს: როგორ იკვლევენ სოციოლოგები აქტუალურ მეთოდოლოგიურ პრობლემებს, როგორ იყენებინ ისინი ემპირიულ სოციოლოგიურ გამოკვლევათა შედეგებს და კვლევის რა საშუალებები აქვთ და როგორ იყენებენ მათ თავიათი კვლევის გზაზე? სწორედ საკითხის ეს მხარე მოითხოვს წინა პლანზე წამოწევას, რადგან მეტწილ შრომებში სოციოლოგიის მეთოდოლოგიის საკითხებზე საკუთრივ სოციოლოგიის კვლევის მეთოდებსა და ხერხებზე არცა ლაპარაკი, მიუხედავად იმისა, რომ უკვე გაგვაჩნია მრავალისპერტიანი სოციოლოგიური გამოკვლევები. ნათელად ის შეიძლება დამატოს, რომ მეთოდოლოგიური ძიებები ხშირად მოწყვეტილია სოციოლოგიური კვლევის მეთოდიებს საკითხებს, რის გამოც აღარ გავვაჩნია სოციოლოგიური გამოკვლევის — არც თეორიულია და არც ემპირიულია — არათუ ერთმნიშვნელოვანი,

ահամեց մեր-նայլութեած մօսալոց գանսաթլուհաց. ամուրմ ասետո ճապոռաց ջակ-
մահութեած էանս.

Կուզո շրու գարեմոց թէմոտ համոյալոնքեթեալու սայոտես այժմալուհո-
ծոս սասրցեթուու ու գանձազտ, հոմ սուուլողուրո մը բնոյերեծու մը տուժու-
լոցա ցը մոտալուն քյրոցան ճագութու գալունաս կը հօմ սուուլողուր ճա-
պութունատա პրոցըրեսէց, ու պարագութեած առ մոյքուց սայստորոց սուուլոցո-
ու մը տուժուլոցու մը տուժութու սայոտեած.

Սուուլողուրո ուրունու նոյերուա սուսրեմինացու, մատութու սայստահու առ-
ջունուս մօինենա սուուլուր եժոմուլութեած ճոնամոյամու մալուան հուլ ամուրանա-
թամութեացնեն.

Իռջուսաց լամահայու սուուլոցուրո ուրունու ստրույթուրուլ ճռեցեթէց,
մատու ոյրահինաչէ, ըմբուրուլ ճա տյորուլ ճռեցա տանագահութեաչէ, տացն
ոինեն յրու սայոտես, սաելութու, ու, ու համու զետանեմեծու ճա համու զեդազ-
նու տանամեժուրոց ճասազլութու սուուլոցու գավրուլութեալ ուրու գայլու-
նուան մօմահութեածամ, հոգորու ստրույթուրուլ-ուրունեցուոնալուրո անալունու.

Տանամեժուրոց ճասազլուրո ուրունեցուոնալունու մօնութու նահմութեացնելու
ը. პահսունու ստրույթուրուլ-ուրունեցուոնալուրո անալունու մօմահուն մօնինեցն
սուուլուրո սուսրեմու ալայքաթուր ճոնամութու ճանանու մաստան ճայազնուրեթեալ
ճռեթուլութու յոմեթուլութու, հոմելու մոտուրու յուզելու პրոճռեթու մյութ-
մու ճա սուսրեմաթուր տանագահութեածու մոսցանաս սուսրեմու, հոգորու մուլուս,
մօցութեացնեթատան” [9, 4—8]. յէ սացեցու շյուսաձամեծա ճասազլութու սուուլո-
ցու գավրուլութեալ յմբուրութուր մօմահութեածամ ճա մօմութ
չահսունու մօնինեցն, հոմ տյորուու տյիհմունեթմա մենուրու լունդա շյուս-
նու հոգորու տյորուլու, ասցու յմբուրուլ ճռեցնեց. մեռլու ամ շյուտեզցամու
մօահնուատ յէ շյուսաձամեծա մօցութեածու արինութու գանենուրութեած:
յմբուրուլ ճաթեածատ աենա տյորուուլու ճաթեածատ ճա մը պայնասյելու-
ր ճաթեածու նորացնեցն. ամաս լոնդա ճայմաթու շյութցու: հուրա ստրույթուրու-
լ-ուրունեցուոնալուրո անալունու տյորութիյունցեցու նոնամու նամութիրա սուուլոցու-
րո ուրունու ճռեցա ճուռալութու յունեթու պատմութեածա: ուրու յմ-
բուրուլու „սուսրեմաթուր մոցունա տյորուուլ լունդատացու, մամուն մատ սյուստու-
լու պարագութեած մօամպու յմբուրուլ գամուզլութեած. ասց, մացալութագ, հ. մըր-
դուն մօահնու, հոմ սիրու յմբուրուլ յմբուրուլ գամուզլութեածու նոնամութեած
սուուլոցու տյորութեածա ճա յոնցութու յմբուրու արա մեռլու մըրյութեած, ահամեց
„մատու ելասալու նահմութեան, ուռամելութեած, ուռյուսու շյուլա” [24, 10—12],
հաց շյումլութեած հօտցալուս սոնութուրո սուուլոցուրո ուրունու մօլունու շյ-
սամլութեածա. ասետո ուրուն, ստրույթուրուլ-ուրունեցուոնալուրո անալունու տա-
նամեծա, լոնդա շյուսաձամեծա ճա յութեած. ասետո ուրու կո շամացու սացութեած.

հ. մըրդունու մօյի ստրույթուրուլ-ուրունեցուոնալուրո անալունու յինուրու մ
ուսու ճացանասա, հոմ ամ մը տուժուու սիրու ճաթուլութեած, յութու մօւթու նոնամութեած
այլութեած եժու ուրունու տյորուուլու ճա յմբուրուլ ճռեցնեցու լունդա մօ-
ւթամութամ.

մարյեսուստու յոնցութու ճամեց ճաթուլութեած ասմուլ սայոտեած տանամե-
ժուրոց ուրունեցուոնալունու սամութու սուսրեմաթուրու, սուուլոցուրո տյորուու մա-
յիստու յոնցութու յոնցութու յոնցութու յոնցութու յոնցութու յոնցութու յոնցութու

რებულ ყურადღებას მოითხოვს „ემპირიული“ დონის, „თეორიული“ დონის ცნებათა მოხმარების საკითხი. ექ უპირველესიდ სოციოლოგიური ცოდნის სპეციფიკური ბუნება უნდა იქნეს გათვალისწინებული.

ზოგადსოციოლოგოური თეორიის ფილოსოფიური შინაარსი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მისი მეთოდოლოგიური ფუნქციით სოციოლოგიური ცოდნის სხვა „დონეებთან“ მიმართებაში, რამდენადაც ზოგადსოციოლოგიური თეორია ძირითადად მაინც გნოსეოლოგიურ სფეროს წარმოადგენს და, შესაბამისად, შეიცავს ძირითადი გნოსეოლოგიური პრიპლებების გადაწყვეტის შესაძლებლობას. ამიტომ, სოციოლოგიურ ცოდნაში თეორიულისა და ემპირიულის მიმართების საკითხის განხილვის ზოგადმეთოდოლოგიურ, გნოსეოლოგიურ ღრესს წარმოადგენს დიალექტიკური იდეა მრავალფეროვნებითა ერთიანობისა, ანუ იდეა მთლიანობისა, რომელიც დამახასიათებელია ფილოსოფიისათვის საერთოდ, კერძოდ, კი კლასიფიკირებული გერმანული ფილოსოფიის მარქსისტული ინტერპრეტაციისათვის [იხ. 11, 216].

მარქსის კონცეფციის მიხედვით, მთლიანობა, იმავდროულად, კონკრეტულ-შინაარსობრივსაც ნიშნავს. ამაში უნდა დავინახოთ სოციოლოგიურ ცოდნაში იდეალური ობიექტის მთლიანობის სტრუქტურის არის. მარქსის მიხედვით, აზრობრივად კონკრეტული, როგორც მრავალფეროვნებათა ერთიანობა, არის არა მრავალრიცხვან გარკვეულობათა და აბსტრაქციათა ორგანიზაცია, არამედ, აბსტრაქტულ გარკვეულობათა სინოეზი [იხ. 6, 727].

ცნებათა წარმოქმნის დიალექტიკურ-ლოგიკური სქემა ეფუძნება კ. მარქსის მიერ „აპიტალში“ შემუშავებულ აბსტრაქციის მეთოდს. ამ პრიცესის საწყისს წარმოადგენს გრძნობად-კონკრეტული, ხოლო დასასრულს — აზრობრივად-კონკრეტული. აზრობრივად-კონკრეტული, რომელიც აშუალებს ამ მოძრაობას, წარმოადგენს არა ფორმალურ აბსტრაქციას (როგორც ეს მიაჩნიათ ლოგიკური ემპირიზმის წარმომადგენლებს), არამედ — შინაარსობრიეს. ასეთი აბსტრაქცია არ დაიყვანება გრძნობად მონაცემებზე. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია სოციოლოგიაში არსებული საკითხი ცნებისა და ინდექსის მიმართების შესახებ. თანამედროვე ოპერაციონიზმის წარმომადგენლებს შესაძლებლად მიაჩნიათ ცნების დაყვანა ინდექსზე, მარქსისათვის კი ინდექსი ჩემბა თეორიული ცნების მხოლოდ ემპირიულ ექვივალენტად და ამავე ღროს მისი (თეორიული ცნების) ფორმირების წანამდვრად. თეორიული ცნების ემპირიული ექვივალენტი (ე. ი. ინდექსი) გააშუალებს გრძნობად-კონკრეტულიდან აზრობრივ-კონკრეტულზე, მოვლენიდან არსებაზე გადასცლას. თუ ოპერაციონიზმისათვის ინდექსის წარმოქმნით მთავრდება მეცნიერული ცნების ფორმირება, დიალექტიკური მატერიალიზმისათვის იგი მხოლოდ იწყება. მარქსის სქემაში ცნება თეორიის ჩანასახს წარმოადგენს, ხოლო თეორიული და ემპირიული თავიდანვე ერთიანობაშია მოცემული. ემპირიული გამოკვლევა უკვე თავისი ხასიათით თეორიულია, იგი. არ უსწრებს თეორიულ გამოკვლევას, ეს უკანასკნელი არაა მასზე დაშენებული [იხ. 14]. აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ ზეაღსცლის მარქსისტული პრიცესის (რომელიც შეესაბამება ფილოსოფიურ დიალექტიკურ წარმოდგენისა მთლიანზე) ინტერპრეტირება და ექსპლიცირება შეუძლებელია თეორიულისა და ემპირიულის ცნებებში. ამ საკითხთან დაკავშირებით გერმანელი მარქსისტი იტორი ე. ჰანი მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაუკვავშიროთ მოძრაობას ემპირიულიდან თეორიულისაკენ ისეთნაირად, რომ მოძრაობა ემპირიულიდან თეორიულისაკენ გავუიგივოთ კონკრეტუ-



ლიდან აბსტრაქტულისაკენ ზეაღსელის „მონაკვეთს“, ხოლო თეორიის შემთხვევაში მოძრაობა — აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ ზეაღსელის [იბ. 21, 185].

აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ ზეაღსელაშე რომ ლაპარაკობს, მარჯვეს იდეალური ობიექტის — საზოგადოების — მთლიანობის გარდა მხედველობაში აქვს სხვანაირი მთლიანობაც. ესაა სოციოლოგიური ცოდნის ისტორიული მთლიანობა. აბსტრაქტული, როგორც მარქსის თეორიის ამოსავალი ცნება, წარმოშობილია ემპირიულ ფაქტთა არა უშუალო განხოგადების საფურცელზე, არამედ იგი შედეგის იმ ისტორიული გზის, რომელიც მეცნიერებამ, თეორიულმა აზროვნებამ გაიარა. ესაა თეორიული აზრის განვითარების გზა; იგი განხილულია როგორც შემეცნების „საფეხური“ და ამ ასკერტით — როგორც კატეგორია. ეს იგივე „თეორიული წანამდლვრებია“, რომლებიც აუცილებელია ნებისმიერი (სოციოლოგიური) თეორიის, მათ შორის ისეთი თეორიის ასაგებად, რომელიც ფაქტებისკენაა მიმართული. მარქსის მიერ ჩამოყალიბებული თეორიული წანამდლვრები არც მეტაფიზიკურია და არც პარიტონისტული, ისინი არ ასრულებენ აქსიომათა თუ პრინციპთათა როლს, მაგრამ, ასევე დროს, გამოიჩინებიან საყოველთაობით, რამდენადაც შეიცავენ ადამიანური შემეცნების თეორიულ და, მარქსისეული გაგებით, პრაქტიკულ გამოცდილებას.

როცა ლაპარაკობდა საზოგადოების, როგორც მთლიანობის, საგნობრივ შინაარსზე, მარქსი წერდა: „განხილვის ეს წესი უწანამდლვრო როდია, იგი გამოდის ნამდვილი წანამდლვრებიდან, არ სტრუქტურის მათ ერთ წუთითაც კი. მისი წანამდლვრებია ადამიანები, ილებული არა რაღაც ფანტასტიკურ კარჩაკერილობაში და უძრაობაში, არამედ თავიანთი განვთარების ნამდვილ ემპირიულად თვალსაჩინო პროცესში, რაც განსაზღვრულ პირობებში წარმოებს. როდესაც ცხოვრების ამ ქედითი პროცესის ასახვა წარმოებს, ისტორია უკვე აღარ არის შევდარი ფაქტების გროვა, როგორც ამას ეხედავთ თვით ჭერ კიდევ აბსტრაქტულ ემპირიკოსებთნ, ანდა იგი აღარ არის წარმოსახვითი სუბიექტების წარმოსახვითი მოქმედება, როგორც ეს იდეალისტებთანა“ [1, 25—26]. აქ მთავარი ისაა, რომ ეს წარმოადგენს „ემპირიულად ნამდვილად დაკვირვებადი“, ისტორიულად განსაზღვრული პროცესის ანალიზს, და რომ ეს ანალიზი შეუძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ინტელექტუალური ინტუიციის ბაზაზე, თუ ანგარიში არ გავუწიეთ „ფაქტებს“. ასე რომ, სოციოლოგიური თეორიის აგების მარქსისეული პრინციპი უშუალო თეორიულ პროცესში მოუხმობს „ფაქტებს“. უკანასკნელი თეორიულიდან მოცულებულ, ავტონომიურ ემპირიულ დონეზე არ იმყოფებიან, მათ შორის არ არსებობს რამე გარევეული იერარქიული დამოკიდებულება, რომ უფრო „გვიან“ მოვახერხოთ ფაქტთა დონის თეორიულ დონესთან კორელაცია.

როგორ შევაგროვოთ, დავალაგოთ, მოვაწესრიგოთ ფაქტები, როგორ დავამყაროთ კაშირის ფაქტებს შორის? ამის თაობაზე ვ. ი. ლენინი წერს: „საზოგადოებრივი მოვლენების სფეროში არ არსებობს იმაზე უფრო გავრცელებული და უსაფუძვლო ხერხი, როგორიცაა ცალკეული ფაქტების ამოგლეჭა, მაგალითებით თამაში. მაგალითებით თამაში საზოგადოდ ძალიან ადგილია, მაგრამ ამას არც არავითარი მნიშვნელობა აქვს, ანდა ის წმინდა უარყოფითი ხსნიათისა იქნება, ვინაიდან მთელი საქმე ცალკეულ შემთხვევათა ისტორიულ კონკრეტულ ვითარებაში მიმდინარეობს. ფაქტები, თუ მათ აეიღებთ შათს მთლიანობაში, მათს კაშირში, არათუ „გიუტი“ რომ, არამედ უსათუოდ დამამტკიცებელი საბუთიც არის. წვრილმანი ფაქტები, თუ ისინი აღებულია



მთლიანის გარეშე, თუ ისინი ნაწყვეტ-ნაწყვეტი და მოგონილია, სწორედ ჩოდები მხოლოდ სათამაშოს ან კიდევ რაღაც უარესს წარმოადგენს“ [4, 359]. ამ ზომართებით მით უფრო მნიშვნელოვანია საკითხი თეორიულ ცოდნაში ფაქტთა ჩართვის შესახებ, რადან მასთანაა დაკავშირებული მეცნიერული ცოდნის ლოგიკაში ცოდნის თეორიულ და ემპირიულ დონეთა განსაზღვრა.

თანამდებროვე მეცნიერებათმცოდნეობაში თეორიულისა და ემპირიულის განსხვავების ერთ-ერთ საფუძვლად მიჩნეულია ცოდნის, როგორც ფაქტთა მაფიქსირებლისა და უნივერსალურის დახასიათება. თუ ემპირიულ ცოდნას მივაჟუთნებთ ფაქტთა მაფიქსირებელ ცოდნას დაკვირვებად იძიებეთ მატებზე [იხ. 12, 97] და ამ კუთხით მიერგობთ სოციოლოგიური ცოდნის ემპირიულ და თეორიულ დონეთა თანაფარდობის საკითხს, მაშინ ყველა ამ სიძნელესთან ერთად, რომელსაც „მეცნიერების ლოგიკა“ აწყდება „ფაქტისა“ და „დაკვირვების“ განსაზღვრებისას, საზოგადოებათმცოდნეობასთან დაკავშირებით წარმოიშობა განსაკუთრებული რიგის პრობლემები, რომლებსაც უკვე პრინციპული ხასიათი აქვს. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება თვით „სოციალური ფაქტის“ როგორც სოციოლოგიური ცოდნის ემპირიული დონის ძირითადი ელემენტის განსაზღვრებას. „სოციალური ფაქტის“ ცნების ერთმნიშვნელოვანი დეფინიცია ბევრ სიძნელესთანაა დაკავშირებული. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მოვაჟოროთ სოციოლოგიურ ცოდნაში ამ ცოდნის, ემპირიული დონის სპეციფიკას. გვიხსნოთ, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა კ. მარქსი სოციალური სინამდვილის გრძნობად-ზეგრძნობად ხასიათს. სოციალური რეალობის შექმენებისათვის „შეგრძნებებში მოცემული“ მოვლენების ფინიკური გრძნობადობა არ შეიცავს ინფორმაციას არც სოციალური რეალობის ფაქტთა და არც სოციალურ-შინაასისმარივი ემპირიული დამოკიდებულებების შესახებ, ანუ უზისიკურ შინაას-სობრივ სიმბოლურობებს ჯრაც არ გააჩნია სოციალურ მნიშვნელობა. ფაქტის, როგორც რეალურად მოცემულის ემპირიულობის სოციალური შინაასის უშუალოდ არ გვეძლევა შეგრძნებებსა და წარმოსახვაში. ამის გამო იმ თეორიულ წანამდვრებს, რომლებიც გარკვეული ფორმით ყოველთვის ასებობენ ნებისმიერ ემპირიულ ცოდნაში, სოციალური ცოდნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თეორიული წანამდვრების გარეშე ვერ მოხერხდება სოციალურ ფაქტთა ვერც ფიქსირება და ვერც დაკვირვება. სოციოლოგიურ ცოდნაში თვით ფაქტთა კონსტატაციის დროსაც კი აუცილებელი ხდება გარკვეული სოციალურ-გნოსეოლოგიური კონტექსტის გათვალისწინება. ამიტომ ცნება — „ცოდნის ემპირიული დონე“ — სოციოლოგიური ცოდნის ანალიზთან მიმართებაში. სპეციფიკური შექმენებითი საზრისის მქონეა სხვა სახის ცოდნის დონეებისაგან განსხვავებით.

ასებობს მიდგომა, რომლის მიხედვითაც ცოდნის თეორიული და ემპირიული დონეები რომ განვსაზღვროთ, უნდა გავითვალისწინოთ „ცოდნის ფორმალური სტრუქტურა“ [იხ. 19]. ასეთი მიდგომისას ცოდნის თეორიულ და ეპირიულ დონეთა შორის განსხვავება განისაზღვრება ცოდნის მიღების ხერხით: შედეგი ის არის, რომ ცოდნის ემპირიული დონე შეიცავს როგორც დაკვირვების აქტს, ასევე „სიმბოლიზაციას“, ანუ ემპირიულ მიმართებათა გამოხატვის აუცილებლობას პრიმიტიულ „პრედიკატთა“ სამუალებით. თუმცა ისიც უნდა აღინიშვნოს, რომ სოციოლოგიური ცოდნის (როგორც მარქსისტულ, ისე სხვა სოციოლოგიურ კონცეფციებში) შესაძლო ემპირიული ენის არც ერთ „პრედი-



კატს“ ላრ გააჩნია „პრიმიტიულობის“ ის ხარისხი, რაც აუცილებელია ქრისტიანული პირიულობისათვის და წინადაღების ერთიფავისათვის.

ის ფაქტი, რომ სოციალური რეალობა გრძნობაზეგრძნობადი ბუნებისა, იძლევა როგორც ფაქტთა მოტენევის, ასევე მათ შორის კავშირის დამყარების, ემპირიულ კანონზომიერებათა დადგენის შესაძლებლობას. მაგრამ ეს ისე არ უნდა გაეიგოთ, თითქოს სოციოლოგიური თეორიის ავტორის პროცესი აბსტრაქტულ-გნოსეოლოგიურია და იგი მხოლოდ დაკვირვებადიდან უნივერსალური ცოდნის გარეულ დონეზე თუ შენაარსზე გადასცვლას წარმოადგენს.

საზოგადოების შესახებ ცოდნასთან დამკიდებულებაში ცოდნის ემპირიული და თეორიული დონეების თანაფარდობა რომ წარმოვიდგინოთ როგორც თანაფარდობა სპეციალურ-სოციოლოგიურ (კონკრეტულ-სოციოლოგიურ) და ზოგად-სოციოლოგიურ ცოდნას შორის, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ სპეციალურ-სოციოლოგიური ცოდნა ფილოსოფიურ ცოდნასთან პრინციპულად სხვა მიმართებაში მყოფი ცოდნის დონე კი არ არის, არამედ საზოგადოების შესახებ თეორიული ცოდნის ურთიერთგამმსჭვალავი კომპონენტებია; არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს ცოდნის აბსტრაქტურას და ერთადერთ საშეიას, „დაბალსა“ თუ „მაღალ“, პირველსა თუ მეორე, ემპირიულსა თუ თეორიულ დონეს.

ცნობილია, რომ საკითხთა უმრავლესობა, რომლებიც დაჭვუფებულია „თეორიულისა და ემპირიულის“ „გრძნობაზობისა და რაციონალურის“ იჩველივ, ტრადიციული საკითხებია და ისინი, ასევე მთავრობის და რაციონალიზმის, ნომინალიზმსა და რეალიზმს და ა. შ. შორის კამათის საგანს შეადგენდა. ბუნებრივია, ეს დავა სხვადასხვა ენაზე მიმდინარეობდა, მაგრამ საერთო სურვილს წარმოადგენდა შემცენების სამყაროს არსების წვდომა, წვდომა იმისა, რისი უშუალოდ ცდაში დანახვაც შეუძლებელია, გადასცვლა აუცილებელზე, ერთეულიდან ზოგადზე, ინდივიდუალურიდან საყოველთაოზე.

დასმული პრობლემა დღეისათვის საყოველთაო კამათის ობიექტია, როგორც საბჭოთა, ისე დასავლეთის ფილოსოფიურ ლიტერატურაში. ამიტომ არცა გასავირი, რომ აზრთა სხვადასხვაობაა. ისე მაგალითად ვ. ზ. შვირიოვი ცოდნის ემპირიულ და თეორიულ დონეების თანაფარდობის თუ მხარეს ვამყოფს. ამ პრობლემის ერთ მხარედ მას მიაჩნია ცოდნის თეორიულ და ემპირიულ დონეთა შორის წონასწორობის, შესატყვისობის დადგენა, ცოდნის თეორიულ და ემპირიულ დონეებს შორის შეთანხმებების პოვნა. ამ მცდელობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ არსებობს გარეულად ფიქსირებული ცოდნის თეორიული დონე, რომელიც კავშირშია ემპირიულ დონესთან. ამოცანას ამ დროს შეადგენს თეორიასა და ემპირიას შორის შესატყვისობის დადგენა და გარეული ზღვარის მითითება თეორიასა და ემპირიას შორის. მეორე მხარის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ცოდნის თეორიული და ემპირიული დონეები შემცენებაში სტატიკურად კი არ არსებობენ, არამედ ისინი მუდმივ ცვლილება-განვითარებაში იმყოფებიან [22, 291-292].

ა. ს. მანასიანიც ცოდნის ემპირიული და თეორიული დონეების თანაფარდობის საკითხს ორი მიდგომით განიხილავს: ერთმნიშვნელოვანი და შეფარდებითი. ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტის არს ავტორი შემდეგში ხედავს: როცა მეცნიერების ობიექტს თუ გარეულ მდგომარეობას („ცოდნის ერთეულს“) განვიხილავთ, კურადღება არ უნდა მივაქციოთ იმას თუ რომელ დისციპლინაში უცნქციონირებენ ისინი და უნდა ვეძიოთ ცოდნის „თეორიულობისა“ თუ „ემ-

პირიულობის“ ერთმნიშვნელოვან განსაზღვრებათა ლოგიკური კრიტერიუმები [იხ. 17, 89]. უნდა განვასხვავოთ ინდუქციური განზოგადების შედეგად მიღებული ცოდნა („ემპირიული“ ცოდნა) იმ ცოდნისაგან, რომელიც ამ გზით არ არის მიღებული („თეორიული“ ცოდნისაგან). ეს დაყოფა შეიძლება უფრო ფართოდაც განვმარტოთ, თუ ცოდნის ემპირიულ დონეში ჩატარებულ ცოდნას, რომელიც რედუქციას ექვემდებარება, ხოლო ცოდნის თეორიულ დონეში — ისეთ ცოდნას, რომელიც არ გამოიყანება ცდიდან და არ დაიყვანება მასზე. ასევე უნდა გვაგრძიოთ ერთმანეთისაგან ფაქტის მაფიქსირებელი და კანონის გამომხატველი წინადადებები [იხ. 20].

ცოდნის თეორიული და ემპირიული დონეების თანაფარდობის გასარკვევად უნდა განვასხვავოთ ერთმნიშვნელოვან თეორიული და ემპირიული ობიექტებიც. გასაგებია, რომ ცოდნის გარკვეული სისტემის შიგნით ჟელა იმის მიზანი უბრალოდ დაკვირვებადია, უშუალოდა მოცემული, ზოგი კი, პრინციპულად ან ტექნიკური მიზეზების გამო დაუკირვებადია. ის ფაქტი, რომ თეორიის შიგნით არ არიან ერთნაირი ღირებულების ობიექტები, ქმნის იმის საფუძველს, რასაც ჩვეულებრივ ემყარებიან ამ იმის მიზანით თეორიულობისა და ემპირიულობის ჩვენებისას. თეორიული და ემპირიული ობიექტებიც პრინციპში სინამდვილის სქემატიზაციისა და იდეალიზაციის შედეგია. არც ემპირიული და მით უფრო, თეორიული ობიექტები არაა რეალობის ობიექტთა იგივეობრივი. ემპირიული ობიექტები გარკვეული მიახლოებით მაინც შეიძლება გაუუიგივოთ რეალობის შესაბამის ფრაგმენტებს, მაშინ როცა თეორიული ობიექტები ართაუ სწორი სინამდვილის ფრაგმენტია, არამედ მისი (ამ სინამდვილის) ლოგიკური რეკონსტრუქციაა [იხ. 18, 31].

ცოდნის ემპირიული და თეორიული დონეების თანაფარდობის საკითხის ერთმნიშვნელოვანი მიღვომით გადაწყვეტილის „ცოდნის ერთეულები“ იზოლირებულად განიხილება ცოდნის იმ სისტემისაგან, რომელგანაც ისინი ფუნქციონირებენ. განიხილება იმ მიმართებათა და კავშირთა გარეშე, რომელიც ცოდნის სისტემებს შორის დგინდება. სწორედ ეს არის ერთმნიშვნელოვანი მიღვომის არსებითი ნაკლი. ამ მიმართებათა და კავშირთა გათვალისწინება კი უცილებელია და ეს ქმნის საფუძველს პრობლემის გადაწყვეტის შეფარდებითი მიღვომისათვის. ამ შემთხვევაში ცოდნის ემპირიულ და თეორიულ დონეთა შორის თანაფარდობა განიხილება როგორც მიმართება უკვე არსებულ ცოდნასა და ამ ცოდნის საფუძველზე მიღებულ ცოდნას შორის. ასეთი მიღვომა წარმოაჩინს. რომ დებულებები და მტკიცებანი, რომლებიც ერთ დისკაბლინაში მოეკუთხებინ ცოდნის ემპირიულ დონეს, სხვა დისკაბლინში თეორიულ ზედნშენში შედიან.

ამ ასპექტით ტერმინების — „ემპირიულისა“ და „თეორიულისა“ — გამოყენება ასხავს ცოდნის დამოუკიდებელ დონეთა ფარდობითობას, მათ შორის არსებული საზღვრების პირობით ხსიათს. აქ ვლინდება, რომ „ის, რაც მეცნიერების ერთ ეტაპზე თეორიულად ითვლებოდა, სხვა, უფრო მაღალ ეტაპზე ემპირიულად მისაწვდომი ხდება“ [16, 192].

ცალკე აღებულ დისკაბლინათა შიგნით ცოდნის თეორიულ და ემპირიულ დონეთა საზღვრებს დაგვენას თავისი სირთულეები გააჩნია. რომ გვარკვიოთ მოცემული გამოთქმა ემპირიულია თუ თეორიული, საჭიროა იგი ავილოთ კონკრეტულად, ცოდნის მოცემულ ერთობლიობასთან მიმართებაში. მაგრამ ეს ისე



არ უნდა გავიგოთ, თითქოს საერთოდ შეუძლებელი იყოს გარკვეული ზოგადი გადაწყვეტის მოძებნა, იმ კრიტერიუმების დადგენა, რომლებიც გამოსადეგი იქნებოდა ყველა კონკრეტული შემთხვევისათვის, ყველა კონკრეტულ დისკიპლინაში. ხოლო რაც შეეხება ყოველ ცალკე აღებულ დისკიპლინას, მის ფარგლებში ყოველთვის შეიძლება გამოყოფა შედარებით დამოუკიდებელი, თეორიული-საგან განსხვავებული ემპირიული დონე.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ისტორიის მატერიალისტურმა გაგებამ, რაც შესაძლებელი გახდა სოციალურ მეცნიერებაში სოციალურ-კუნძული ფორმაციის კატეგორიის შემოტანით, შექმნა მეცნიერული სოციოლოგიის აგების შესაძლებლობა. აქევ ისიც უნდა აღვინიშოთ, რომ სოციოლოგიური ცოდნა არ დაიყვანება მხოლოდ საზოგადოებრივი ფორმაციის განვითარებისა და ფუნქციონირების ყველაზე ზოგადი კანონების გარკვევაზე. სოციოლოგიის საგნომოვანო სფეროს სოციალური მთელის ცალკეული, შედარებით დამოუკიდებელი კომპონენტებიც შეადგენენ. ამიტომ მეცნიერების სტრუქტურა თუ იგი საკვლევი ობიექტის სტრუქტურას შეესაბამება, რომლი და მრავალსახურიანია. ესაა ცოდნის იერარქიული სისტემა. ვანზოგადების უმაღლესი დონე ამ სისტემაში არის ზოგადი სოციოლოგიური თეორია (ანუ ისტორიული მატერიალიზმი), რომლის საგნომოვანო სფეროსაც საზოგადოება წარმოადგენს, როგორც მთლიანიანი აღებული სოციალური ორგანიზმი. ისტორიული მატერიალიზმის პრინციპები, კატეგორიები და კანონები ყველაზე ზოგადი სახით ასახავს სოციალური მთელის განვითარებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებებს. ისტორიული მატერიალიზმი, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესახებ მეცნიერული ცოდნის სისტემა, ამოდის დიალექტიკურ-მატერიალისტური ფილოსოფიის მთელი რიგი საკვანძო დებულებებიდან. თავის მხრივ, ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი დებულებები ქმნიან სოციოლოგიური თეორიის პრინციპებს და მთლიანობაში ამ თეორიის საზრისხობრივი საზღვრების ფუნქციას იძენენ. ეს პრინციპები ჩამოყალიბდება უკვე როგორც ცნობილი ზოგადსოციოლოგიური კანონები; ისინვე ქმნიან სპეციალურ სოციოლოგიურ თეორიათა განვითარების შეთოდოლოგიურ საფუძველს, რომლის საგნომოვანიც სფეროც ზოგადი თეორიის სფეროზე გაცილებით უფრო ვიწროა.

სპეციალური სოციოლოგიური თეორიები საზოგადოებრივი ორგანიზმის შედარებით დამოუკიდებელი ქვესატემის (მაგალითად, სოციალური სტრუქტურის, ან საზოგადოებრივი ცნობიერების) ან შედარებით დამოუკიდებელი საზოგადოებრივი პროცესების (მაგალითად, პიროვნების ფორმირება, შრომითი მოვაწეობა და ა. შ.) განვითარებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებებს ასახავს; ასეთ ქვესატემები თუ პროცესები კითარდებიან და ფუნქციონირებენ ისეთი სპეციფიკური კანონების თანახმად, რომლებიც არც ზოგადსოციოლოგიურ კანონებზე დაიყვანება და არც მათგან გამოიყვანება ფორმალური დედუქციის გზით.

სოციოლოგიური თეორია არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ცოდნის აქსიომატური ან „წმინდა დებულებული“ სისტემა. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „მისწრავება კონკრეტულ საკითხების პასუხები ეძიონ... ზოგადი ქეშ-მარიტების უმრავლო ლოგიკურ განვითარებაში, — არის მარქსიზმის შეჩყვანა და ღიალექტიკური მატერიალიზმის მთლიან სასაცილოდ აღება“ [1, 10—11].

არაქსიომატურ თეორიათა თავისებურება იმაში მდგრმარეობს, რომ ისინი გვევლინება როგორც ცოდნის ელემენტარულ სისტემათა ერთობლიობა, რომ-



ლებიც ურთმანეთთან გარკვეული ლოგიკურ-გნოსეოლოგიური პრინციპებითაა შეერთებული. ამიტომ თეორია არა მხოლოდ ცოდნის სისტემაა, არამედ — ახალი ცოდნის მიღების ტიპობრივი ხერხის აღწერაცაა. სპეციალურ სოციოლოგიურ თეორიათა განვითარება, რომლებიც სხვადასხვა რიგის სოციალურ არსებებს ასახავენ [იხ. 8], დაკავშირებულია მოცემული საგნობრივი სფეროს შესახებ ცოდნის შედარებით დამოუკიდებელი სისტემის ავტორებთან. სპეციალური სოციოლოგიური თეორიები ისტორიული მატერიალიზმის ზოგად მეთოდოლოგიას ემყარება და აქვე იძნეს თავისი განვითარების ლოგიკურ-მეთოდოლოგიურ პრინციპებს — ახალი ცოდნის მიღების ტიპურ ხერხს.

სხვა სპეციალური თეორიებისაგან განსხვავებით (მაგ., ფსიქოლოგიური საგან, ან ეკონომიურისაგან), სპეციალური სოციოლოგიური თეორიის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავის საგანს განიხილავს, თუ შეიძლება ასე ითქვას „მომცველად“, ან რამდენიმე „სოციალურ განზომილებაში“: საკვლევი საგნის ეკონომიური ურთიერთობებით განპირობებულობის ასპექტით და სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობებისა და იმ პრიცესთა ასპექტით, რომლებიც საზოგადოების სულიერი ცხოვრების სფეროში მიმდინარეობს. სპეციალური სოციოლოგიური თეორია მოწოდებულია სოციალური სისტემის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე ახსნის მისი ყველა არსებითი ელემენტის ურთიერთმოქმედება ამ ელემენტა ურთიერთყავშირსა და ურთიერთგანცრობებულობაში. ჩასაკვირველია, სპეციალური სოციოლოგიური თეორია უფრო იმ შემთხვევაში შეძლებს ამ ამოცანის გადაჭრას, თუ იგი დაემყარება სოციალური პრიცესის უფრო ღრმა არსების მომცველ, უფრო მაღალი დონის პრინციპებსა და კანონებს, ვიდრე ის თეორია, რომელიც გამოსადეგია შედარებით ვიწრო სფეროს გამოსაცვლევად. სწორედ ამიტომ აღნიშნეთ სტატიის დასწყისში, რომ სპეციალური თეორიების შემუშავების გარეშე შეუძლებელია ზოგადი თეორიიდან ეპირიულ მონაცემებზე და პირიქით გადასვლა. ამიტომ მივიჩნევთ სპეციალურ თეორიებს იმ მთავარ იარაღიდ, რომელიც თრგვარ საშიშროებას — ერთი მხრივ, უხეშ ემპირიზმსა და, მეორე მხრივ, სკოლასტიკას იგვაცილებს და შესაძლებლობას მოგვცემს ფაქტები თეორიულ დებულებებს შევესაბამოთ, ერთი მხრივ, და ზოგადი თეორიის დებულებანი თანაფარდობაში მოვიყვანოთ დღვენდელობის რეალურ პრაქტიკასთან, მეორე მხრივ.

აქედან გამომდინარე, ზოგადსოციოლოგიური თეორიის (ისტორიული მატერიალიზმის) მეთოდოლოგიური ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ იგი იძლევა ახალი ცოდნის მიღების ტიპობრივ ხერხს, ნაკლები ზოგადობის ქეთნე თეორიის აგების საშუალებას. ასე მაგალითად, სოციალური სტრუქტურის თეორიაში მოსავალი პრინციპია შრომის საზოგადოებრივი დანაშილება, ხოლო ამ პრინციპის მოქმედების შედეგს წარმოადგენს აღამიანთა სოციალური როლების შესრულება პროფესიული მოღვაწეობის შესაბამის სახეებში. პიროვნების სპეციალურ სოციოლოგიურ თეორიაში ამოსავალ პრინციპს წარმოადგენს პიროვნების, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროდუქტისა და სუბიექტის დეტერმინაცია სოციოლოგიურ თეორიაში, რომელიც ადამიანთა დასახლებების ტიპით აღწერასა და ახსნას ეხება, ამოსავალი პრინციპი ისევ შრომის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო შრომად საზოგადოებრივი დანაშილებაა, ეკონომიკის განვითარების ტენდენციათა გამოკვლევაა, შემდგომ კი, სოციალურ მიმართვებათა სხვა სფეროების გამოვლენაა. ასე უნდა დავდებოთ პირველსა-

წყის „ქორდინატთა სისტემა“, თველის წერტილი სპეციალური საგნობრივი სფეროს პილოტური თეორიის აფებისას.

მსგავსი პიპოლეტური სისტემების დაშენება შესაძლებელია მომიჯნავე ცეციერებათა (ეკონომიკური, ეთნოგრაფიული, ფიქტლოგიური და სხვ.) მიღწევების გამოყენების გზით, და, რასაცირკულია, საკუთრივ სოციოლოგიის სფეროში ჭარბობული ემპირიული გამოყელებების მიღწევების გამოყენებით. ჯერ კიდევ ბევრია გამაცემულებელი იმ მიმართულებით, რომ შევქმნათ ისეთი შესატყვის კონცეტრალური აპარატი, რომელიც დააკმაყოფილებდა ზოგადსოციოლოგიური თეორიისა და არსებულ ემპირიულ დაკვირვებათა მოთხოვნებს.

არანაულებ საგულისხმოა მომიჯნავე მეცნიერებებში მიღებულ მონაცემთა სოციოლოგიურ ენაზე თარგმნის პრობლემა. ძნელი დასანაზი არ არის, რომ მრავალი ცნება, რომელიც უბრალოდ სხვა მეცნიერებიდანაა ნასესხები, კონკრეტულ-სოციოლოგიურ კვლევაში გამოყენებადია. ასეთი ვითარებაა, მაგალითად, „ფსიქოლოგიური განწყობის“ ცნებასთან დაკავშირებით: უფრო ადექტურს ჭარბოლდებს „ტერმინი „ღირებულებითი ორიენტაცია“, რომლის ელემნტებაც პიროვნების ფიქსირებული განწყობები შეადგენს [იხ. 10]. „ინტერიერის“ ცნებასთან დაკავშირებითაც არა გვაქვს უკეთესი მდგომარეობა: ფსიქოლოგიაში იგი პიროვნების მიმართულობას აღნიშნავს, სოციოლოგიაში კი სხვა რასებ. სოციოლოგიური ცნება „ინტერიერის“ — სუბიექტის რეალურ მდგომარეობას გულისხმობს, ცნობიერებაში ამ მდგომარეობის ასახვისა და მოქმედებათა მიმართულობას ამ მდგომარეობის ასახვის შესატყვისად [იხ. 23].

სოციალური სინამდვილის შესწავლისადმი ფილოსოფიური და კონკრეტულ-მეცნიერული მიდგომები მეთოდის მიხედვითაც განსხვავდებიან. ახლა განვიხილოთ თუ როგორ ცლინდრება ეს განსხვავდებია აბსტრაქტიულის ხერხებით, როგორც საზოგადოებრივ კანონზომიერებას ვიკვლევთ ამ ხერხებით.

საზოგადოებრივ განვითარებაში თავისებურადაა დინამიკური და სტატიკური კანონების ურთიერთობა. დინამიკური კანონი ერთმნიშვნელოვან კავშირის ამყარებს გრაკვეულ ფიქსირებულ პირობებში მოვლენათა თანამდებურობას შორის, ხოლო სტატისტიკური კანონი განსაზღვრავს ამ კავშირს არა მკაცრად, მაგრამ მოვლენის თავების ალბათობის სიდიდის შეფასებით. მასობრივი ერთვაროვანი მოვლენების მიმართ ეს ნიშნავს, რომ დინამიკური კანონზომიერება მოცემულ პირობებში ერთმნიშვნელოვან მიმართებაში იქნება ამათუ იმ კლასის ყველა მოვლენათან, მაშინ როგორც სტატისტიკური კანონზომიერება სტატისტიკური კანონის მიერ მოცემული მოძრაობის ხაზისაგან (განვითარებისაგან, ცალილებისაგან, პროცესის მიმღინეულობისაგან) ინდივიდუალური გადახრის შესაძლებლობას იძლევა. სტატისტიკურ კანონზომიერებას აზრი აქვს მხრივი იმ მოვლენათა კლასის მიმართ, რომლებიც ერთ „ანსამბლში“ იმყოფებიან: სტატისტიკური კანონზომიერება ამ კლასის, როგორც მთელის, მოძრაობისა და ფუნქციონირების ტენდენციას დადგენს, მაგრამ, ამავე დროს, ითვალისწინებს ამ „ანსამბლში“ შემავალ ცალკეულ მოვლენებსაც.

მაგალითად, კ. მარქსბა თავის „კაპიტალში“ გვიჩვენა, რომ ლირებულების კანონის მოქმედება ცლინდრება საბაზრო ფასების მერყეობის საშუალო ტენდენციის სახით. ფ. ენგელისის თანახმად, ეკონომიკური ურთიერთობების განმსაზღვრელი როლის კანონი მოქმედებს როგორც ტენდენცია, „საბოლოო ჯმში“ იგი შეიძლება აღმოჩენილ იქნეს როგორც საშუალო ხაზი, რომელიც გზას იკვლევს გადახრათა და შემთხვევითობათა ქაოსში. ვ. ი. ლენინის სიტყვებით,

ობიექტური კანონზომიერება „სხვანაირად ვერ გამოვლინდება, თუ არა საშუალო, საზოგადოებრივი, მასობრივი კანონზომიერებებით, როცა ხდება ამა თუ იმ მიმართულებით ინდივიდუალურ გადახრათა შეთანაციონირება“ [3, 65].

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ლიტერატურაში საზოგადოებრივ კანონზომიერებათა სტატისტიკური ხასიათის შესახებ იმგვარად მსჯელობენ, თითქოს საზოგადოებრივი კანონები ყოველთვის როდი მოქმედებენ „წმინდა სახით“ და უშუალოდ, რომ ისინი უფრო სტატისტიკურნი არიან, ვიდრე დინამიკურნი [იხ. 15, 17] და ა. შ. ჩითა ეს გამოწვევული?

ცნობილია, რომ ზოგიერთ მოვლენათა თავჩენის ალბათობა შესაძლებელია გამოიხატოს გარევეული ერთეულით, თუ ფიქსირებულია აუცილებელი კავშირი მის წინამორბედ ისეთ მოვლენებსა და პროცესებს შორის, რომლებიც ინდივიდუალურ გადახრასა და მერყეობას არ განიცდიან. ასეთი ობიექტები კი სოციალურ სინამდვილუში არ ასებობენ. ისტორიული მატერიალურის კანონები მაღალი დონის აბსტრაქციებს წარმოადგენს. ისინი ასახავს სოციალური მოვლენებისათვის შინაგანად დამახასიათებელ ობიექტურ, აუცილებელ კავშირებს „წმინდა სახით“, მათი არსებობის ინდივიდუალურ თავისებურებათა და სპეციფიკურ გარემოებათა მოუხედავად. გარდა ამისა, როგორც კ. მარქსი მიუთითებს, „წმინდა სახით“ კანონის გამოხატვის შესაძლებლობა განპირობებულია სოციალური პროცესის იდეალურად განვითარებული მდგრმარევბით, სოციალური პროცესი ექვეთულობს საყოველთაობის მნიშვნელობას და არ ვლინდება შემთხვევითი, კერძო ფორმით [იხ. 7, 6]. შესაბამისად, ისტორიული მატერიალურის კანონები ერთეულისაგან განყენებას წარმოადგენს და იმის წყალობით, რომ ეს მეცნიერული აბსტრაქციებია, „ბუნებას უფრო ლრმად, უფრო სწორად, უფრო სრულად ასახავენ“ [5, 167].

თავის აბსტრაქტულ ფორმაში საზოგადოების განვითარებისა და ფუნქციონირების კანონები მარქსისტულ ზოგად სოციოლოგიურ თეორიაში ყალიბდებით როგორც დინამიკურნი. სოციალური განვითარებისა და ფუნქციონირების ზოგად კანონთა „დინამიკური მოდელი“ ასახავს სოციალურ მოვლენათა ობიექტურ არსს. განვითარების ხაზი ზოგად სოციოლოგიურ კანონებში აბსტრაქტული ფორმითა ფიქსირებული. ამიტომ ზემოთ მოტანილი დავა გამოთქმის — „კანონები ყოველთვის არ მოქმედებენ წმინდა სახით“ — ირგველი უნიადავოა, ხოლო საკუთრივ გამოთქმა — ასაზუსტი, რადგან ეს კანონები არასდროს არ მოქმედებენ „წმინდა სახით“, ისინი ყოველთვის მოქმედებენ როგორც ტენდენციები. კანონები „წმინდა სახით“ წარმოადგენენ მეცნიერულ აბსტრაქციებს.

ამიტომ აღვნიშნეთ დასაწყისშივე, რომ ზოგად სოციოლოგიურ კანონთა დადგენა შესაძლებელია მხოლოდ თეორიული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგად, რომლის ობიექტსაც წარმოადგენს არა გრძნობადი ალქმით მიღებული მონაცემები, არამედ — მეცნიერული აბსტრაქციები, რომლებშიც ემპირიული სოციოლოგიური კალევის შედეგად მიღებული მასალა „მოხსნილი სახით“ არსებობს.

ემპირიულ სოციოლოგიურ გამოკვლევებში ცოდნის მიღების ხერხი ემპირიულია; ამიტომაც ვამზობთ, რომ ექვეთული კანონებიც ემპირიულია, რადგან მათი მიღება ხდება ინდუქციის ერთ-ერთი მეთოდის საფუძველზე, როგორც აგრეთვე, სტატისტიკური მეთოდი.

СტატІСТИЧНОУРІО ГАБІНГОГАДЕНЬДА, ІНДІКТИВЕДЬДА, РА МЕЧІНДЕРШІЛДІ ОДАЖЕІРДІГЕДІОІ
 ҮЗЕЛДА ҮЗІЛІРДАТТЕСОДАС, ҚОМЛІС САФІҮДІВЕЛШІЦІ ОНДІҮЕРПІОУРДІ
 ҚАСАГЕДІС ӘІДІСА ҒАРІСДЕСІНІС СОГІОСЛІҮРДІ МІНЕЛЛЕНДАТА ӘРІТІНДЛІОДІС ҒАБІНДЕ-
 ҢЕДІСА ҚА ҮЗІНДЕРІНІНДІРДЕДІС ҚАБІНДЕШІМІҮЕРДЕДІС, ҚОМЛІУДЕДІС МӨЖІМЕДЕДІБЕДІС ҚО-
 ГІРІЦІ МІНЕЛЛІДІ МІНЕЛЛІДІ ҚАБІНДЕШІМІҮЕРДЕДІС ҚАБІНДЕШІМІҮЕРДЕДІС, ҚҰЛІ-
 ӘДЕДІСА ҚА ҒАБІНДЕШІМІҮЕРДЕДІС ҚАБІНДЕШІМІҮЕРДЕДІС.

ӘДЕСДЕАДА ӘДЕСДЕАДА, СТАТИСТИЧНОУРІО ГАБІНГОГАДЕНЬДА МІАЦІРДІ ҚОДЕНДАС ІДЕЛЛЕГЕА ӘДЕС ІС-
 ҮЗІНДЕРШІЦІ ӨІЛЛЕБІШЛІ ОНДІҮЕРПІОУРДІ ҚАСАГЕДІС САБДОТТІОДІС ҰЗІСАЕДІ ӘДЕ, ҚА Ц
 ҮЗІРІК ДІДАГЕДІС, ҚАБІНДЕШІМІҮЕРДЕДІС ҰЗІМЕҮБІНДЕДІС ӘРІЛІС ӘДЕСДЕАДА ӘДЕЛІУЛІ
 МІНЕДІЛІС ӘРІДАБА ӘАБЛІОДЕДІС. ӘС ҚИ ҚАЛШІ ӘНДІШІЛДЕОГАДІС ӘЕЧІНДЕРШІЛДІ ҚА-
 БІНДЕШІМІҮЕРДЕДІС ҒАБІНДЕШІМІҮЕРДЕДІС ҚАБІНДЕШІМІҮЕРДЕДІС.

Г. Г. ПАЦАЦІЯ

СОЦІОЛОГІЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЕЕ СВЯЗЬ С ЭМПІРИЧЕСКИМ УРОВНЕМ СОЦІОЛОГІЧЕСКОГО ЗНАНИЯ

Резюме

Разработка специальных теорий обуславливает переход от общей теории к эмпирическим данным и обратно — к теоретическим обобщениям высокого уровня, позволяет избежать опасностей двойного рода: грубого эмпиризма и схоластики.

Принципы, категории и законы исторического материализма отражают закономерности развития и функционирования социального целого в самом общем виде. Как система научного знания об общественных отношениях, исторический материализм исходит из ряда основополагающих принципов диалектико-материалистической философии. В свою очередь основные исходные положения исторического материализма образуют принципы социологической теории и в целом приобретают функцию ее смысловых границ. Эти принципы формулируются как известные общесоциологические законы; они же устанавливают методологические основы для развития специальных социологических теорий, предметная область которых значительно уже общей теории.

В конкретном социологическом исследовании способ получения знания — эмпирический, поэтому, устанавливаемые здесь законы тоже эмпирические, выводимые при помощи одного из индуктивных методов, к числу которых относятся и статистические.

Статистическое обобщение дает строгое знание о достоверности полученного индуктивного вывода и, что главное, приближает логический процесс познания к типу абстрактной модели, а это очень важно для осуществления научного социологического исследования.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ვარქსი კ. ენგელსი ფ. გერმანული დეოლოგიიდან, თბ., 1948.
2. ლენინ ვ. ი. თხზულებანი, ტ. 3.
3. ლენინ ვ. ი. თხზულებანი, ტ. 21.
4. ლენინ ვ. ი. თხზულებანი, ტ. 23.
5. ლენინ ვ. ი. თხზულებანი, ტ. 38.
6. Маркс К. и Энгельс Ф. Соч., т. 12.
7. Маркс К. и Энгельс Ф. Соч., т. 23.
8. Андреева Г. М., Никитин Б. Н. Метод объяснения в социологии. — В кн.: Социология в ССР, ч. I, М., 1968.
9. Беккер Г., Босков А. Современная социологическая теория. М., 1961.
10. Водзинская В. В. Социологическое понимание концепции установки. «Философские науки», 1968, № 2.
11. Даниелян М. С. О применении понятий эмпирического и теоретического в социологическом знании. — В кн.: Философские вопросы логического анализа научного знания. Вып. 3, Ереван, 1974.
12. Единство теоретического и эмпирического в научном познании. В кн.: Проблемы научного метода. М., 1964.
13. Здравомыслов А. Г. Проблема интереса в социологической теории. Л., 1965.
14. Кабышша А. В. Методологические проблемы операционализации понятий в социологии. Авт-т канд. дисс. М., 1977.
15. Караваев Г. Г. Особенности общественного познания и логика научного исследования. Л., 1965.
16. Конин П. В. Введение в марксистскую гносеологию. Киев, 1967.
17. Манасян А. С. О логической экспликации гносеологических проблем. — В кн.: Философские вопросы логического анализа научного знания. Вып. 2, Ереван, 1971.
18. Проблемы логики научного познания. М., 1965.
19. Ракитов А. И. О природе эмпирического знания. — В кн.: Логическая структура научного знания. М., 1965.
20. Смирнов В. А. Уровни знания и этапы процесса познания. В кн.: Логическая структура научного знания. М., 1965.
21. Хайн Э. Исторический материализм и марксистская социология. М., 1967.
22. Швырев В. С. Методологические проблемы современной науки. М., 1970.
23. Ядов В. А. О соотношении теоретического и эмпирического подходов к конкретному социологическому исследованию. — В кн.: Проблемы методологии социального исследования. Л., 1970.
24. R. K. Merton. Social Theory and Social Structure. Glencoe, Illinois. The Free Press. 1957.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

მარშალ ჭოლიძე

აღმარტინი მიზანობრივა და დამატებითობის პრიცეპი

არსებითი განსხვავება კვანტურ მექანიკასა და კლასიკურ ფიზიკას შორის გამოწვეულია ორი საგნობრივი არეთა სხვადასხვაობით, არამედ აღწერის მეთოდით. კლასიკური აღწერა იყენებს სუბიექტისა და გარემომცველი ობიექტებისაგან სრულად განკუნძული ობიექტის (სისტემის) მოდელს, მაშინ, როდესაც მსგავსი აბსტრაქცია პრინციპულად შეუთავსებადია კვანტური თეორიის ასთან. კლასიკური ფიზიკა აღდგენს სამყაროს სურათს, საღაც შესაძლებელია ნებისმიერი ნაწილის განცალკევება მთელიდან და მისი როგორც დამოუკიდებლად არსებულის ანალიზი. ამრიგად, კლასიკური მეთოდით ასახული ფიზიკური რეალობა მოიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ მოვლენათა არეს, მოცემულს შემცენებელ სუბიექტთან გარევეულ მიმართებაში, მაგრამ არსებოთია ის, რომ თუმცა ბუნებაში არ არსებობს სამყაროსეული კავშირებისგან განყენებული მოვლენა, თეორიულად შესაძლებელი ხდება ფიზიკურ პროცესზე გარე ზემოქმედების გათვლა, უგულებელყოფა და, ამდენად, იზოლირებულ სისტემაზე ლაპარაკი. ზოგადად რომ ვთქვათ, ფიზიკური რეალობა ეს არის ობიექტური რეალობა, გარევეულ მიმართებაში მყოფი ფიზიკურ ცოდნასთან; ფიზიკური რეალობა არის მოცემულ ფიზიკურ სიდიდეთა რეალობა, რომლებიც აღნიშნავენ აბიექტურად მიმდინარე პროცესებს. კლასიკური აღწერის დონეზე ფიზიკური რეალობის მიმართება სუბიექტის პრაქტიკულ-თეორიულ მოვალეობასთან არის იგივეობრივი ცველა კონკრეტულ-შემეცნებით სისტუაციაში. აქედან გამომდინარე, ფიზიკური ამიცანების გადაწყვეტილას, მხედველობაში არ მიიღება ეს, ყველა სიტუაციაში იგივეობრივი მომენტი. როგორც ვხედავთ, კლასიკურ ფიზიკას საქმე აქვს რეალობის ისეთ აღწერასთან, საღაც საგნები და მოელენები წარმოგიდებინან დამოუკიდებლად, როგორც ერთმანეთისაგან, ასევე იმ პირობებისაგან, რომლებიც განსაზღვრავენ მათი შემეცნების შესაძლებლობას.

კვანტურმექანიკური რეალობის ცნება შეუთავსებადია ასეთ იდეალიზაციისთვის. აბსოლუტურად იზოლირებული ობიექტის მოდელს აქ შეენაცვლება მთლიანი, გაუხდეჩელი ურთიერთქმედების მოდელი, საღაც შერწყმულია ურთიერთობები მხარეები. ამრიგად, საწყისი, საიდანაც იგება კვანტურმექანიკური რეალობის სურათი, არის არა თავისთავადი ობიექტი, არამედ ურთიერთქმედება, მისი ინტეგრირებული შედეგი. ეს ურთიერთქმედებანი შეიძლება ორად დავაჯგუფოდ:

(ა) ურთიერთქმედება მატრისსეულსა და მიკრონაწილას შორის,

(ბ) ურთიერთქმედება ორ მიკრობიერს შორის.

პირველ შემთხვევაში მოცემული გვაქვს გაზომვის პირობების, გამზომა აპარატის და გასაზომი მიკრობიერტის მთლიანი, განუყოფელი სისტემა; ცდის მონაცემები წარმოადგენენ ამ სამი მომენტის ერთობლივ შედეგს.

მეორე შემთხვევაშიც კვანტურ ურთიერთქმედებათა ატომურობა, სათანა-დო გაზომვის პირობებთან მიმართებაში დადგინდება. ამრიგად, ორიე ჯგუფი-სათვის ამოსავალია განუყოფელი ურთიერთქმედება შემეცნების კლასიურ პირობებსა და ობიექტის კვანტურმექანიკურ რეალობას შორის. ყველა სწეა-ტიპის ურთიერთქმედება, დაკავშირებული მიკროსამჟაროსთან, სწორედ ამ შუ-ამავალ პრიზმაში გარდატეხილი იძენს განუყოფლობისა და ატომურობის თვი-სებას.

მიკრო-მაკრო ურთიერთქმედებათა მთლიანობის გამო ყოველი მიკრომდგო-მარეობა განუწყვეტილი მიწაჭეულია მისი გაზომვის მაკროსკოპულ პირობებ-თან. შეიძლება ითქვას, რომ აღნაშნულ პირობათა გარემოცვა ანიჭებს ფიზი-კურ საზრისს მიკრონაწილაკის მდგომარეობას, რადგან გაზომვის პირობებისა-გან განყენებულ მიკრომდგომარეობის ცნებას არ გააჩნია ფიზიკური აზრი. ყველაფერი ეს განაპირობებს მიკრორეალობის ფირფლობითობას ცდის კონკრე-ტულ-შემეცნებით სიტუაციასთან. ყოველი ცდის სიტუაცია გამოყოფს და შინა-არსობრივად განსაზღვრავს გარევეულ სავნობრივ არეს მიკროსამჟაროდან და ამ სიტუაციასთან მიმართების გარეშე მას ეყარგება გარკვეულობა და შინააჩნია. აქედან გამომდინარეობს, რომ თუ სხვადასხვა ცდის მაკროპირობები შეუთავ-სებადია ერთმანეთთან, მაშინ შესაბამისი მიკრომდგომარეობებიც და ამ მდგო-მარეობებში ჩერიზებული კვანტური თვისებებიც ერ შეთავსდებიან. მიღე-ბული დასკვნა ემყარება მთლიანი, განუყოფელი ურთიერთქმედების წანა-მდლაცის, რომელიც ამოდის იქნის, რომ კვანტური თეორია პრიციპულად ეწი-ნააღმდეგება ხელსაწყოს ზემოქმედების განსაზღვრას მიკრობიერებზე და ამ-დენად, ცდამდე დადგენილი „სუფთა“ მდგომარეობის ცნებას. როგორც ვხე-დავთ, კვანტურმექანიკურ სიდიდეთა ურთიერთშეუთავსებლობა არის არა ექს-პერიმენტის მონაცემთა განზოგადების შედეგი, არამედ თეორიიდან ამოსული მდგომარეობა, რომელსაც გააჩნია საყოველოთა მნიშვნელობა, და რომელიც, ამიტომ, ვრცელდება მთელ კვანტურმექანიკურ სინამდვილეზე, როგორც (ა), ასევე (ბ) სახის ურთიერთქმედებათა სფეროში.

კლასიური ხელსაწყოსა და კვანტური ობიექტის ერთიანობას მიეყარო ფიზიკური რეალობის ერთიანი სურათის დამლობდე. დინამიკურ (ენერგომ-პულსურ) და კინემატიკურ (სივრცე-დროულ) სიდიდეთა გაზომვის პროცედუ-რები გამორიცხავენ ერთმანეთს. მაკროფიზიკში ეს შეუთავსებლობა გადალა-ხულია გაზომვისაგან შეუშფონთებელი მდგომარეობის შემოყვანით, რაც მიკ-რომექანიკში გამორიცხულია. მიტომ კვანტურმექანიკური რეალობა აღიწე-რება ორ სურათად. პირველ სურათში გვეძლევა მოვლენათა სივრცე-დროული აღწერა, მოკლებული ინფორმაციას მოძრაობის რაოდენობისა და ენერგიის შე-სახებ, რის გამოც შეუძლებელი ხდება მიზეზობრივი კავშირის დაღვენა; მეო-რე კი წარმოადგენს იმპულსურ-ენერგეტიკულ წარმოდგვენას, სადაც დაცულია შენახვის კინონები და, ამდენად, მოქმედებს კაუზალობის პრიციპი. დრო და სივრცის კონდინინატები, ერთი მხრივ, ხოლო ენერგია და იმპულსი, მეორე მხრივ, წარმოადგენნ კვანტურ მექანიკაში შეუთავსებად პარამეტრებს, რომელ-თა ერთდროული ზუსტი გაზომვა შემოსაზღვრულია ჰაიზენბერგის თანაფარდო-ბით:

ჰაიზენბერგის უტოლობაში შესული სიღილები ახასიათებენ ე. წ. დისპაზონიურ თვისებებს, თვისებებს რომელნიც თავს იჩენენ გაზომვის სისტემისა და მიკრონაწილაკის ურთიერთქმედების შედეგად, და რომლებიც არ მიეკუთვნებიან მის რომელიმე ერთ მხარეს. ბუნებრივია, რომ ის რაც ჩნდება მიკროსისტემისა და მაკროსხეულის ურთიერთმიმართების შედეგად, შეიძლება დარასიათდეს იმავე ცნებებით, რითაც აღიწერება მაკრობიერები. მაგრამ მიკროსისტემისა და მაკროსხეულის გადაკვეთაზე, არამედ კვანტურ ნაწილაკთა ურთიერთქმედებების სფეროში. აღნიშნულ მდგომარეობებზე და ურთიერთქმედებებზე ჩვენ ვმსჯელოთ ისევ და ისევ კვანტურმექანიკური ექსპერიმენტით, სადაც შეუძლებელია ზუსტი ზღვარის გავლება გამზომისა და გასაზომის შორის. მიზომ ამ ურთიერთქმედებებს მიეწერებათ ისეთივე განუყოფლობისა და პიროვნელი გადაცემის ხასიათი, როგორც ეს იყო ხელსაწყოსა და ობიექტის სისტემაში. შესაბამისი მიკროპარამეტრებიც ექვემდებარებიან განუზღვრელობათა თანაფარდობას, ამ შემთხვევაში ასეთი სახის:

$$(\overline{\Delta\varepsilon})^2 (\overline{\Delta\mu})^2 \geq 1/4 (\overline{c})^2 \quad [1]$$

განსხვავებით ე და ე-საგან, ე და მ პარამეტრებს არ შეესაბამებათ კლასიკური ცნებები და მათთვას აუცილებელი ხდება ახალი ფიზიკური ტერმინების შემოყვანა.

ეს არის საყურადღებო შედეგი. მართლაც ასეთი სახის განუზღვრელობათა თანაფარდობაში არ იგულისხმება გაზომვის სიზუსტეთა ცდომილებანი, რადგან ე და მ სიღილებს; შეესაბამება არა ურთიერთგამომრიცხავი ექსპერიმენტული სიტუაციები (როგორც ეს გვერნდა ე-სა და ე-ს შემთხვევაში), არამედ ერთმანეთთან შეუთავებელი კვანტური ურთიერთქმედებები. ავიტომ ა აღნიშნავს არა გაზომვის ცდომილებას, არამედ სიღილის დისპერსიის ინტერვალს.

მაგრამ ჩვენა მოსაზრებით, განუზღვრელობათა თანაფარდობის ასეთი გაფართოება არ ნიშნავს იმას, რომ ამ შემთხვევაში მიკრომდგომარეობის ფარდობითობა ხელსაწყოსთან იცვლება ფარდობითობით კვანტური ურთიერთქმედების სახესთან. ფარდობითობა გაზომვის შაშუალებასთან ძალაში რჩება. უფრო მეტიც: სწორედ გაზომვის პირობებისა და გასაზომის ობიექტის მთლიანობა განპარობებს მიკროურთიერთქმედებათა განუყოფელ ხასიათს, განსაზღვრავს კვანტურმექანიკური რეალობის სპეციფიკას.

ჰაიზენბერგის უტოლობის ინტერპრეტაციისთან არის დაკავშირებული დამატებითობის პრინციპი, რომელიც ბორგა კვანტურ არეში კლასიკურ ცნებათა რეგულაციისათვის შემოიყვანა. კორპუსულარულ-ტალლური დუალიზმის ჩარჩოებში დამატებითობა აღენს მიკროცნებათა ორ ჯგუფს (ურთიერთგანუსაზღვრელი სიღილეების შესაბამისად), რომელთა ერთორული გამოყენება ერთი მიკრობიექტის მიმართ შეუძლებელია. განუზღვრელობის უტოლობიდან გამომდინარე აკრძალვას დამატებითობის პრინციპში ემატება პოსტულატი, რომ აღნიშნული ცნებანი არა მხოლოდ ურთიერთგამომრიცხავნი, არამედ ერთმანეთის შემავსებლებიც არიან. მთლიანობაში ისინი სრულად ახასიათებენ მიკრომდგომარეობას, გვაწვდიან რა ყელა შესაძლებელ ინფორმაციას მის შესახებ. დამატებითობის ასეთი ფორმულირება, რომელიც თავდაპირველად იქნა შემუშავებული ბორის მიერ, წარმოგვიდგენს მას როგორც

მიქროსამყაროს აღწერის ენის რეგულარულ პრინციპს, და, ამდენად, ახასიათებს შემეცნების პრიცესს ატომურ ფიზიკაში. ეს არის დამატებითობის კონცეფციის გნოსეოლოგიური ასპექტი, რომელიც თუმცა ქრონოლოგიურად უფრო ადრე ჩამყალიბდა, რეალურად არის მეორადი და გამომდინარეობს ამ პრინციპის ონტოლოგიური საფუძვლიდან, თუთ კვანტურმექანიკური რეალობის ბუნებიდან. მიქრორეალობის თავისებურებას კი, როგორც ვნახეთ, განსაზღვრავს მისი ფართობითობა შემეცნების კონკრეტულ მაკროპირობებთან. ამიტომ დამატებითობის ონტოლოგიური საფუძველია შემეცნების იმ პირობათა ურთიერთშეუთავებლობა და შემაგებლობა, რომლებიც შესაბამისი აღწერის ენის ცალსახა გამოყენების შესაძლებლობას შექმნიან. თუმცა მოარი დამატებითობის კონცეფციის მხოლოდ გნოსეოლოგიურ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას, მისი ასეთი ონტოლოგიური გაზრდება არ ეწინააღმდეგება კვანტური მექანიკის „კონცენტაციურ ინტერაქციას“ და ამდენად შეიძლება შეთავსებულ იქნეს მასთან.

ჩატარებული ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავზარდოთ დამატებითობის პრინციპის მოქმედების სფერო, განუშლერელობათა თანაფარდობის გაფართოებასთან ერთად და ვილაპარაკეთ ერთი მხრივ ე და მ სიდიდეების დამატებითობაზე (რომლებსაც ზოგად შემთხვევაში არ შეესაბამებათ კლასიკური ცნებები), ხოლო მეორე მხრივ, იმ კვანტური ურთიერთშემედებების ურთიერთშემავსებლობაზე, სადაც ფიზიკურ საზრისს იძენენ აღნიშნული სიდიდეები.

კვანტური თეორია საშუალებას არ გვაძლევს „დავშალოთ“ მიკროურთიერთშემედებები შემადგენელ მხარეებად, მაგრამ ეს არის არა თეორიის სისუსტე, არამედ კვანტურმექანიკური რეალობის თავისებურება, რაც გამოწვეულია მისი ფართობითობით ექსპრიმენტული შემეცნების პირობებთან. ამიტომ კვანტურ ურთიერთშემედებათა დამატებითობა (ისევე, როგორც შესაბამისი პარამეტრების დამატებითობა) შეიძლება არაუშუალოდ, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც გამომდინარეობს ცდის მაკროპირობების დამატებითობიდან, ბორის პრინციპის ონტოლოგიური საფუძვლიდან ტალლურ-კორპუსულარული დუალიზმის ჩარჩოებში.

ამრიგად, შეიძლება გაყეთდეს დასკვნა, რომ დამატებითობის პრინციპის ონტოლოგიური საფუძველია კვანტურმექანიკური ექსპრიმენტის მთლიანობა (განუყოფელი ურთიერთშემედება შემეცნების მაკროპირობებსა და კვანტურმექანიკურ რეალობას შორის).

ამ ონტოლოგიური საფუძვლის გახსნა შესაძლებლობას გვაძლევს დამატებითობა დავაკავშიროთ მიზეზობრიობასთან. ასევებობს სხვადასხვა შეხედულებანი ამ ორი კატეგორიის ურთიერთობიმართების საკითხზე.

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ბორის პრინციპი შემოიფარგლება ენის პრიბლემებით და, ამდენად, ეურ დაუკავშირდება მიზეზობრიობას — ფიზიკური რეალობის პრინციპს. ჩატარებული მსჯელობა გვაფიქრებინებს, რომ ამ ორი ცნების საგნობრივ არეთა მსგავსი გათიშვა საფუძველს მოკლებულია.

საბირისისპირო თეალიაზრისი დამატებითობის პრინციპს აიგივებს განუსაზღვრელობის თანაფარდობასთან (უფრო ზუსტად, მიიჩნევს ამ თანაფარდობის დანამატად და არ ანიჭებს დამოუკიდებელ ღირებულებას). ასეთ შემთხვევაში დამატებითობის პრინციპი წარმოგვიდგება როგორც ფიზიკური კანონი, რომე-

ლიც დაკაშშირებულია ობიექტურ რეალობასთან და ვრცელდება შემცენების მაკროპირობებზე მხოლოდ იმდენად. რამდენიმდეც ეს პირობებიც წარმოადგენენ ობიექტურ რეალობას. ამრიგად, ასეთი გაგებით დამატებითობა არ გამოსახვეს სუბიექტ-ობიექტის მიმართების თავისებურებას მიკროსამყაროში. ნათელია, რომ თუ განუზღვრელობის უტოლობა და დამატებითობის პრინციპი ახასიათებენ ობიექტურ რეალობას შემცენების გნოსეოლოგიურ სიტუაციასთან მიმართების გაჩერებე, მაშინ მათგან გამომდინარე ფიზიკურ სილიდეთა განუსაზღვრელობასა და შემთხვევითობას ექნება აბსოლუტური და არა ფართობითი მნიშვნელობა. სწორედ კონკრეტულ გნოსეოლოგიურ სიტუაციასთან მიმართებას შეაქვს რელატიურობის მომენტი მიკროსამოსის ფიზიკურ რეალობაში, რაც გამომდინარეობს ფიზიკური სისტემის სრული იზოლირების შეუძლებლობიდან.

ცხადია, რომ აბსოლუტურ ანუ წმანდა შემთხვევითობას არ გააჩნია შიზეზი, ამიტომ ასეთი შინაარსით გაგებული დამატებითობა უარყოფს მიზეზობრიობას, ნათელყოფს ამ კატეგორიის უვარგისობას კვანტურმექანიკურ რეალობაში.

მაგრამ თუ დამატებითობას გავიაზრებთ როგორც შემცენების თავისებურებას მიკროფიზიკაში და ამავე დროს როგორც რეალური კვანტური შრდგომარების მახასიათებელ პრინციპს, წარმოვადგენთ მას ერთიანად ონტოგნოსეოლოგიურ ასპექტში, მაშინ მიკროსილიდეთა განუზღვრელობას არ ექნება აბსოლუტური ხასიათი. ატომურ მოვლენათა შემთხვევითობა იქნება ობიექტური, მაგრამ შეფარდებითი როგორც კვანტურ ურთიერთქმედებათა სახესთან, ასევე, და უმთავრესად, გაზომვის საშუალებასთან. ეს შემთხვევითობა ნიშნავს არა „უმიზეზო“ მოვლენას, არამედ იმას, რომ მიზეზი მდგებარეობს იმ შემცენებითი პირობების მიღმა, რომლებიც კონკრეტულ ფიზიკურ აზრს აძლევენ შესაბამის მიკრომდგომარეობას. ვინაიდან (განსხვავებით კლასიკური ფიზიკისაგან) კვანტური მექანიკა პრინციპულად გვიყრძალავს დავამყაროთ ფუნქციონალური კავშირი ურთიერთდამატებით გნოსეოლოგიურ სიტუაციებში დაფიქსირებულ ფიზიკურ სიდიდეებს შორის (მაგ. კორელინატი და სიჩქარე) და ერთი სიტუაციიდან მეორეზე გადასვლის შედეგად შევქმნათ ფიზიკური რეალობის ერთიანი სურათი, ამიტომ ის მოვლენები, რომელიც მიმდინარეობენ ერთ გარკვეულ პირობებში, მაგრამ მიზეზობრივად დაფუძნებული არიან სხვა, პირელოთან შეუთავსებელ პირობებში, მოცემულ შემცენებით სიტუაციაში არიან შემთხვევითი, და ამ შემთხვევითობას გააჩნია პრინციპული ხასიათი — იგი არ დეტერმინიზირდება, რადგან შეუძლებელია დავამყაროთ ფუნქციონალური კავშირი იმ გნოსეოლოგიურ სიტუაციასთან, რომლის ფარგლებში ფიზიკურ აზრს იძენენ აღნიშნული შემთხვევითობის მაღლეტერმინირებელი ფაქტორები. კვანტურმექანიკური შემთხვევითობის ასეთი დაუყვანელი, ობიექტური და ამავე დროს შეფარდებითი ბუნება განაპირობებს მიკროფიზიკაში აღბათობის შემოყვანას, რომლის განაწილება არა დამოკიდებული ფიზიკური ცოდნის სილმესა და მოცულობაზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შემოყვანილი აღბათობა მიეწერება წმინდა ობიექტურ პროცესებს; აღბათობა ახასიათებს კვანტურ რეალობას, მაგრამ თვით ეს რეალობა ფართობითია შემცენების ობიექტურ კოსარებასთან.

ამრიგად, თუ დამატებითობის კონცეფციაში გავითვალისწინებო შემცენების პირობებისადა საგნის ერთიანობას, რაც არის განუყოფელი ურთიერთ-

ქმედების შედეგი რეალობის მაკრო და მიკრო დონეებს შორის, მაშინ კვანტულ-ძებნიკურ შემთხვევითობასა და ალბათობას ექნება ობიექტური, მაგრამ ფარ-დობით ხსათი რაც სრულიად არ ეწინააღმდეგება მიზეზობრიობის პრინციპს. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება ასეთი ალბათობისა და მიზეზობრი-ობის დაკავშირება და ალბათური მიზეზობრიობის ცნების შექმნა.

ასე, რომ დამატებითობის ინტერპრეტაცია ამოსული კვანტულმექანიკური ექსპერიმენტის მთლიანობიდან (ხელსაწყო-ობიექტის ურთიერთქმედების გა-ნუყოფლობიდან) არ უარყოფს მიზეზობრიობის პრინციპს, მაგრამ ამავე დროს მოითხოვს ობიექტური ალბათობის შემოყვანას; ამიტომ მიზეზობრიობის ის ფორმა, რომელიც შეთავსებადია დამატებითობის პრინციპთან, არის არა ცალ-სახა (რომლითაც სარგებლობდა კლასიკური ფიზიკა) არამედ მრავალსახა, ალბა-თური მიზეზობრიობა. შეიძლება ვაჩვენოთ, რომ ასეთი ფორმაც განპირობებუ-ლია ატომურ სამყაროში შემეცნებითი ურთიერთქმედებების და აქედან გამო-მდინარე მთელი მიკროპროცესების მთლიანობითა და განუყოფლობით (ამ გა-ნუყოფლობის სიმბოლიზმებას ახდენს ელემენტარული ქმედების კვანტი h), ანუ იმავე ანტოლოგიური საფუძვლით, რასაც ეყყარება დამატებითობის პრინ-ციპი.

მართლაც, მაკროგარემოცვისა და მიკრორეალობის შერწყმა კონკრეტულ ექსპერიმენტული შემეცნების პრიცესში, ქმნის ყოველი ცალკეული პროცესის ინდივიდუალობას (რაც უცხო იყო კლასიკური ფიზიკისათვის). რაღაც ურთი-ერთქმედებანი კვანტურ ექსპერიმენტში არ განიყოფიან, ამიტომ მათ აქვთ მთლიანობის, ინდივიდუალობის, განუმეორებლობის ოვისება. აქედან გამომდი-ნარე, შეუძლებელი ხდება ცდისეულ ურთიერთქმედებათა ზუსტი განმეორება და ამრიგად ცალსახა კავშირის დამყარება ცდის პირობებსა და ამ პირობებში რეალიზებულ კვანტურ მოვლენებს შორის¹. შევნიშნოთ, რომ ასეთი შეუძლებ-ლობა არის არა ტექნიკური სიძნელე, გამომდინარე აღმიანის თეორიისა და პრატიკის შემოსახვერულობიდან, არამედ თვით რეალურ შემეცნებით ურთი-ერთქმედებათა არსებითი ნიშანი მიკროსამყაროში. სწორედ ამიტომ ვლაპარა-კონტა აღნიშნულ ურთიერთქმედებათა განუყოფლობაზე და არა „უკონტრო-ლობაზე“; ამ უკანასკნელი ცნების შინაარსი დაკავშირებულია აღმიანის შესაძ-ლებლობებთან, მაშინ როდესაც თუმც პრობლემა შემეცნების საშუალებებისა და ობიექტის ურთიერთმიმართებას შეეხება, თვით ეს პრობლემა არა დგას ვიწრო გნოსეოლოგიურ ასპექტში; საბოლოო ჯამში საქმე ეხება არა შემეცნე-ბას, არამედ ფიზიკური რეალობის ბუნებას. თვით ეს რეალობა კი ისეთი ხა-სიათისა, რომ მცირდოდა გადაჯაჭვული მისი შემეცნების ობიექტურ ვითარე-ბასთან. ამიტომ შეუძლებლობა ცალსახა კავშირის დამყარებისა პირობებსა და შედეგებს, შედეგებსა და მიზეზებს შორის, ამავე დროს არის არ არსებობა ამ ცალსახა კავშირებისა. კვანტურ არეში ერთი და იგივე მიზეზები და პირობე-ბი წარმოშობენ ზოგადად სხვადასხვა შედეგებს, ამიტომ შედეგი მიზეზებიდან

¹ მკაფიოდ რომ ეთქვათ, არც კლასიკურ ფიზიკიში შეიძლება ცდის აბსოლუტური სიზუსტით განსევნება, მაგრამ, დასიკურ ფიზიკში შესაძლებელია უსასრულოდ შევმიტოთ განსხვავება ცდის სხვადასხვა პირობებს შორის და მდგრად ზღვარში ცალსახა შიმართება დავმყაროთ მო-ცემულ პირობებსა და ამ პირობებში რეალიზებულ ეფექტებს შორის. განსხვავების ასეთი უსას-რულ შეცირება კვანტურ მექანიკში გამოიჩინებულია h უმცირესი ქმედების სასრულობისა და ატომურობის გამო.



გამომდინარეობს მხოლოდ გარკვეული ალბათობით და არა მკაცრი, ცალსანა აუცილებლობით. ისეთი რამ დასაშეგძია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთქმედებას კვანტულმექანიკურ რეალობასა და ცდისეულ, შემეცნებით სიტუაციას შორის ექნება მთლიანი, განუყოფელი ხასიათი.

ამრიგად, დამატებითობა არა მხოლოდ შეთავსებადია, არამედ მჭიდროდაა დაკავშირებული ალბათურ მიზეზობრიობასთან, ვინაიდან ორივე ცნება კვანტულმექანიკი საერთო ონტოლოგიური საფუძვლიდან იღებს სათავეს.

ნათევამი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1) კვანტულმექანიკურ მოვლენათა სტატისტიკურობის მიზეზობრივი ასნა ემყარება მთლიან, განუყოფელ ურთიერთქმედებას ხელსაწყოსა და მიკროობიერს შორის, რაც თავის მხრივ შეაღენს დამატებითობის პრინციპის ონტოლოგიურ საფუძველს.

2) კლასიკურ ცნებათა აუცილებლობა მიკროსამყაროში განპირობებულია იმით, რომ კვანტულმექანიკური რეალობის ცნება მოიცავს მისი შემეცნების მაყროსკოპიულ პირობებს.

3) თუ დამატებითობას გავიაჩინებთ როგორც ფიზიკური რეალობის მახასიათებელ პრინციპს, მაშინ მისი შინაარსი არ ამოწიურება კორპუსულარულ-ტალური დუალიზმით და გავრცელდება კვანტური სისტემის შინაგან შდგომარეობებზე, რომლებიც არ აღიწერებიან კლასიკური ცნებებით და საჭიროებენ ახალი ფიზიკური ცნებების შემოყვანას. განუზღვრელობათა თანაფარდობა მათთვის შესრულდება გაფართოებულ საზღვრებში. თანაფარდობაში შემავალი პარამეტრების სიზუსტე დამოკიდებული იქნება არა განზომი ხელსაწყოს ტიპზე, არამედ კვანტულ ობიექტებს შორის ურთიერთქმედების სახეზე.

4) კვანტულმექანიკური მოვლენები არიან ფარდობითი მათი გაზომვის პირობებისა და საშუალებების მმართ. ეს ფარდობითობა არ უარყოფს გაზომვის პროცესისაგან დამოუკიდებელი ფიზიკური რეალობის არსებობას, არამედ მიუთითებს იმაზე, რომ ობიექტის განხილვის კლასიკური მეთოდი სუბიექტოან და გარემომცველ ობიექტებთან მიმართების გარეშე პრინციპული უვარებისა კვანტულმექანიკურ დონეზე. მიკროსამყაროში შექმნილი გნოსეოლოგიური სიტუაცია სავსებით ეთანხმება დაალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისის შემეცნების პროცესში სუბიექტის აქტიური როლის შესახებ. შემეცნების კრიტერიუმია სუბიექტის პრაქტიკული მოღვაწეობა, რაც თავის გამოხატულებას პოლილობს სუბიექტისა და შემეცნების ობიექტის მთლიან, განუყოფელ ურთიერთქმედებაში. დამატებითობის კონცეფცია საშუალებას გვაძლევს ახალი თვალთახედვით გავაშუქოთ სუბიექტისა და ობიექტის მიმართების პრობლემა. სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ არ შეიძლება მათ შორის ურთიერთმოქმედების აბსტრაქტულად განხილვა. მაყროსამყაროსაგან განსხვავებით, კვანტულმექანიკური რეალობა ფარდობითია სუბიექტის შემეცნებითი მოღვაწეობის კონკრეტული ფორმების მიმართ, ვინაიდნ გაზომვის კონკრეტული პირობები განსაზღვრავენ და ფიზიკურ აზრს ანიჭებენ შესაბამის მიკრომდგომარეობას.

5) დამატებითობის გაფართოებისას შენარჩუნებული უნდა იქნეს ამ პრინციპის ძირითადი არსი, რაც მდგომარეობს არა იმაში, რომ დამატებითობა ასახავს კვანტულ ურთიერთქმედებათა თავისებურებას ცდის პირობებთან მიმარ-

თების გარეშე, არამედ იმაში, რომ დამატებითობა ახასიათებს ურთიერთებულებას კვანტურმექანიკურ რეალობასა და ამ რეალობის შემცნების კლასიკურ პირობებს შორის. კვანტური სისტემის შინაგანი მდგომარეობების დამატებითობა ვლინდება მიკრო და მაკროდონეების მიმართებაში, სადაც მოცემული მდგომარეობები იძენენ ფიზიკურ აზრს ექსპერიმენტული დადასტურების საფუძველზე.

6) ამრიგად, დამატებითობისა და ალბათური მიზეზობრიობის ცნებათა ურთიერთკავშირის ონტოლოგიური საფუძველია მთლიანი, განუყოფელი ურთიერთქმედება მიკრორეალობასა და ამ რეალობის შემცნების მაკროსკოპიულ პირობებს შორის.

М. Г. ДОЛИДЗЕ

ВЕРОЯТНОСТНАЯ ПРИЧИННОСТЬ И ПРИНЦИП ДОПОЛНИТЕЛЬНОСТИ

Р е з յ ո ւ მ ე

ამ საკითხთან დაკავშირებით დ. უზნაძე აღნიშნავს შემდეგს: „ამ ორ შემთხვევას შორის უცველი განსხვავებაც დასტურდება. საქმე ისაა რომ ობიექტივაციის ნიადაგზე აღმოცენებული მოთხოვნილება სრულიად განსხვავებული ხასიათისაა — იგი საკითხს წარმოადგენს, რომელიც შემცენების პლანში უნდა იქნეს გადაჭრილი — შემცენებით, ან უკეთ, თეორიულ პლანში, და არა პრაქტიკულ ში, როგორც ეს იმპულსები ქცევის შემთხვევაში ხდება ხოლმე. იგი აქტუალური, პრაქტიკული ამოცანის გარეშე, ასე ვთქვათ, მის ზემოთ დგას, და, ცხადია, უშუალოდ მას არ ემსახურება. იგი, შეიძლება ითქვას, პირდაპირ საქმის ვითარების გამუალებას ესწრაფვის, იგი უფრო თეორიულ საკითხს წარმოადგენს, ვიდრე პრაქტიკულს, რომელიც ჩვეულებრივ პირველ პლანში წყდება ხოლმე“ [4,160]. ავტორის მიხედვით, მოთხოვნილების ორივე რომელობა, ე. ი. „ობიექტივაციის ნიადაგზე აღძრული შემცენების მოთხოვნილება“ და ჩვეულებრივი მოთხოვნილება, წარმოადგენს „აქტუალურად მოქმედ მოთხოვნილებას“. ამიტომაა, რომ დ. უზნაძე მიუთითებს: „აქ; ისე როგორც ჩვეულებრივი, იმპულსური ქცევის განვითარების შემთხვევაშიც, სუბიექტს მოთხოვნილება უჩნდება, რომელიც მონაცემ სიტუაციაში თავის დაკავშირებას ესწრაფვის“ [4,160]. მაშასადამე, „თეორიული მოთხოვნილება“ იგივე „შემცენების მოთხოვნილება“ ისეთივე „აქტუალურად მოქმედი მოთხოვნილებაა“ როგორიც, მაგალითად, ბიოლოგიური მოთხოვნილება; ისინი ორივენი „ესწრაფვიან მონაცემ სიტუაციაში თავის დაგმაყოფილებას“. მათ შორის განსხვავებას ის ვითარება ქმნის, რომ ისინი სხვადასხვა რომელიმის მოთხოვნილებანია, ისეთი მოთხოვნილებითი მდგრადირობებია, რომლებიც მიმართულნი არიან განსხვავებულ საგნებზე: ერთი რეალურ ფიზიკურ საგანზე, ხოლო მეორე — აზრობრივ საქმის ვითარებაზე, კითხვის გადაწყვეტაზე — რატომ არის ეს ასე?

მაგრამ დ. უზნაძე მიუთითებს, როგორც აღნიშნა, მოთხოვნილების კიდევ ერთ რომელბაზე, რომელსაც ის უწოდებს „მეორად, წარმოსახულ მოთხოვნილებას“ და მსჯელობს ისეთ განწყობის თაობაზე, რომელსაც საფუძვლად ედება არააქტუალური მოთხოვნილება და არააქტუალური სიტუაცია. იგი წერს: „ჩვენ საქმე გვაქვს განწყობასთან, რომელიც არა აქტუალური მოთხოვნილებისა და სიტუაციის ნიადაგზე აღმოცენებული, არამედ მეორადს, ასე ვთქვათ, წარმოსახული მოთხოვნილებისა და სიტუაციის ნიადაგზე“ [4,162].

რა არის მეორადი, წარმოსახული, არააქტუალური მოთხოვნილება? რა არის ის განწყობა, რომელიც აღმოცენებული წარმოსახული მოთხოვნილებისა და წარმოსახული სიტუაციის პირობებში?

აღნიშნულ კითხვებზე პასუხს უნდა იძლეოდეს დ. უზნაძის შემდეგი მსჯელობა: „ობიექტივაცია მაღლევს მასალას, რომლითაც შემიძლია ვისარგებლო

არა უცილებლად ჩემი აქტუალურად მოქმედი მოთხოვნილების მიხედვით, არამედ ამა თუ იმ ისეთ მოთხოვნილებებთან დაკავშირებითაც, რომლებიც სხვებს აქვს, ანდა როდისმე მომავალში შეიძლება მე თვითონაც გამიჩნდეს. იგი ადამიანს აძლევს ძალას განთავისუფლდეს პირადი, უსათუოდ მოცემულ მომენტში მოქმედი მოთხოვნილების ბატონობისაგან და იზრუნოს სხვა ადამიანის, ისევე როგორც თავის საკუთარ მომავალ და შესაძლო მოთხოვნილებთა დაკავყითების შესაძლებლობაზე. შევვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანი ადამიანად, კეშმარიტი მნიშვნელობით მხოლოდ მას შემდეგ იქცა, რაც მან ობიექტივაციის უნარშე დამყარებით და ობიექტურის წვდომით საშუალება მიიღო განთავისუფლებულიყო აქტუალურია და პირადის აუცილებელი ბატონობისაგან და თავისი აქტივობა პირადისა და აქტუალურის გარეთ ასებული მოთხოვნებისა და მოთხოვნილებისათვის დამორჩილებინა, ე. ი. იგი ადამიანად, ამ სიტყვის კეშმარიტი მნიშვნელობით, მხოლოდ მას შემდეგ იქცა, რაც მან შემოის უნარი შეიძინა“ [4,308].

დ. უზნაძის აზრთა შეკლებაში პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ არსებობს ისეთი აქტივობა, რომელიც არა დამკაიდებული „მოცემულ მომენტში მოქმედი მოთხოვნილების ბატონობისაგან“. ეს ისეთი აქტივობაა, რომელიც იყენებს რა ობიექტივაციის მასალას, ობიექტურის წვდომით „თავისუფლდება აქტუალურია და პირადის აუცილებელი ბატონობისაგან“, და „ზრუნავს ადამიანის... შესაძლო მოთხოვნილებათა დაკავყითებულების შესაძლებლობაზე“. რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია იმ „წარმოსახულ მოთხოვნილებაზე“, რომელიც თავისი არსებობის ფორმით წარმოადგენს აზრს, იდეას და არა აქტუალურ მოთხოვნილებას. თუ დ. უზნაძის იმ აზრს გავითვალისწინებთ, რომ სუბიექტს შესწევს ძალა შეაჩეროს არსებული განწყობით მიმინიარე ქცევა იმ მიზნით, რათა „აქტიურად განსაზღვროს ახალი, მისი მიზნების შესატყვისი განწყობა და მიიღოს ზომები ამ უკანასკნელის რეალიზაციისათვის“ და იმასაც, რომ ავტორის მიხედვით. „ამგვარი განწყობის სპეციფიკურ თავისებურებად ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ იგი წარმოადგენს სწორედ სუბიექტის აქტიური მოქმედების, გარკვეული მიმართებით წარმოებულ ძიებათა პროცესტს“ [4,316], მაშინ ცალი გახდება, საქმის რა ვითარებაზე მიგანიშნებს ავტორი: „ადამიანის აზროვნების მუშაობის პირობებში აქტუალური განწყობა არა გვაქვს და მის ნაცვლად იგულისხმება ისეთი აქტივობის შესატყვისი განწყობა, რომელიც მიზანშეწონილად ითვლება... სუბიექტმა ეს ნაგულისხმეული განწყობა აქტუალურ განწყობად უნდა გადააქციოს“.... „თვითონ აზროვნება აქ უძლურია, იგი მხოლოდ იმას განსაზღვრავს, თუ ას უნდა გაკეთდეს, მაგრამ როგორ განხორციელდეს, როგორ გადაიქცეს რეალურად ის, რაც ჯერჯერობით მხოლოდ წარმოსახვით სფეროშია მოცემული, ეს აზროვნების საქმე აღიარაა“. ამას აეკთებს „ახალი უნარი“ — ნებელობა. ეს უკანასკნელი არის სუბიექტის „ძალა, უნარი განახორციელოს სინამდვილეში ის, რაც ინტელექტს მიზანშეწონილად მიაჩნია“. სწორედ მას შეუძლია წარმოსახული მოქმედების განწყობა აქტუალურ განწყობად გადააქციოს. „ნებელობას აქვს ძალა განაწყოს ადამიანი ისეთი მოქმედებისაკენ, რომელსაც მისოვის არა უშუალო, არამედ შორეული და გაშუალებული მნიშვნელობა აქვს“, „ნებელობის წყალობით იგი ბოლოს და ბოლოს ახერხებს ისეთი განწყობის აქტუალიზირებასა და ამოქმედებას, რომელიც მიზანშეწონილადაა მიჩნეული“ [4,323—324].

გაიჩვა, რომ დ. უზნაძე მოთხოვნილებასთან დაკავშირებით სამ მოდალობაზე მიუთითებს. ესენია: საჭიროება, მოთხოვნილება (თავისი



ორი რომელიმით — „ინდივიდუალობას მოკლებული მოთხოვნილება“ და „¹ დივიდუალურად განსაზღვრული მოთხოვნილება“ იგივე „კონტრეტული მოთხოვნილება“) და წარმოსახული მოთხოვნილება. აქედან საჭიროება ფსქიურ ფენომენს არ წარმოადგენს, ხოლო მოთხოვნილება და წარმოსახული მოთხოვნილება ფსქიური ფენომენებია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ე. წ. წარმოსახული მოთხოვნილება საკუთრივ მოთხოვნილება კი არაა, არა-მედ აზრი, იდეა მოთხოვნილების შესახებ.

డ. చ్చినాయి, పురుషు, గాంధీమంసిస సెఫ్రామల్కో తుంగమిస లభించున్నేబిస ట్రాన్సపోర్ట-బాండ నీరుగ్వాల సిర్కులేషన్స ఆసాబెల్లెబస — ర్యాల్యూర్లుస లు ట్రాఫిక్సుసిస్టులు.

მაცხადაშე, გვაქვს განტყობა აღმოცენებული: ა) საჭიროებას და რეალური სიტუაციის წილადაგზე, ბ) მოთხოვნილებას და რეალურ სიტუაციაზე, გ) მოთხოვნილებას და წარმოსახულ სიტუაციაზე, გ) წარმოსახულ მოთხოვნილებას და წარმოსახულ სიტუაციაზე.

როგორ გავიგოთ განწყობა როგორც ასახვა, თუკი გათვალისწინებული იქნება მისი ოღონიშვილის კონკრეტული გზები? განწყობა, ოღონიშვილი მაგ, რეალური მოთხოვნილებისა და რეალური სიტუაციის საფუძველზე. შინაგანსობრივად იგივე ასახვა როგორც ოღონიშვილი წარმოსახულ სიტუაციაზე დაწარმოსახულ მოთხოვნილებაზე?

ცნობილია, რომ განწყობას დ. უზნაებ ახასიათებს როგორც სიხაშვილის თავისებური ასახვის ახალ სფეროს, როგორც ერთგვარ მთლიანობით, სუბიექტის ისეულ ასახვას. ასახვის ეს სფერო პირველადი, მთლიანი, უდიფერენციაციონ მდგრადარეობაა, რომელშიც სუბიექტურისა და ობიექტურის დაპირისპირების საჭიროება ჰქონ კიდევ არ განიცდება, ამასთან, „განწყობა არა მხოლოდ ფორმალურს, არამედ აგრძელებული წმინდა შინაარსობრივ ცნებას წარმოადგენს“ [4,136] და აღნიშნული შინაარსობრივი ვითარება იმით ხასიათდება, რომ „განწყობა... წმინდა სუბიექტური მდგრადარეობა კი არაა, ეგი იმიერებული ვითარების სუბიექტში გადატანაა, იგი, ასე ვთქვათ, სუბიექტში იმიერებული ვითარებაა“ [2,73].

განტვიობა სწორედ იმიტომ იწოდება „ასახვის ახალ სფეროდ“, რომ ის არც წმინდა ონტოლოგიური შინაარსია ასახვისა და არც წმინდა გნოსეოლოგიური რომელიმება ასახვისა. ის სწორედ რომ აღნიშნული ვითარებების, ასე რომ ვთქვათ, ერთვარი „შერწყმა“ ამიტომ, კფიქტობო საესპერიტო მისაღებია პროფ. შ. ჩხარტიშვილის თვალსაზრისის: „გარე სინამდ ვილე შოთხოვნილების სუბიექტში ინისახება მოქმედების პლანში, რაც იმას ნიშავს, რომ ინდივიდის ბუნებაში ასტებული აქტივობის შესაძლებლობანი, რომელიც აქამდე ინერტულ მდგომარეობაში იყოოფებოდნენ, აქტიურ მდგომარეობაში გადადიან და შოცემული სიტუაციის შესატყვევის სტრუქტურას იღებენ“; „ასახვის ეს ფორმა... კულისტობას მოთხოვნილების სუბიექტის შინაგანი შესაძლებლობების (სამოქმედო ძალების) მოცემული სიტუაციის სტრუქტურის შესატყვევისად განწყობას. ამიტომ ასახვის ეს ფორმა წარმოადგენს ცოცხალი ასევების დინამიკურ მდგომარეობას, რომელშიც შინაარა გათვალისწინებული, როდის, სად და რა უნდა გააკეთოს სუბიექტის ასევებულ სიტუაციაში, რომ მისი მოთხოვნილება დაქმდაყოფილება“ [5, 16—17].

აქედა დგება საკითხი განწყობის აღმოცენების საკითხში სუბიექტური

ფაქტორის ე. ი. მოთხოვნილების ცნობიერებასთან (განცდასთან) მიმართების ასპექტით. სახელდობრ, აღმოცენდება თუ არა განწყობა ისეთი მოთხოვნილების არსებობის შემთხვევაში, როდესაც ამ მოთხოვნილებას თან არ ახლავს განცდა, იგი არაგანცდადია⁴.

გამოითქვა შეხელულება, რომლის მიხედვითაც განწყობა გაგებულია მოთხოვნილებად. გ. დილიგენსკი მიუთითებს: «... устойчивые, направленные потребности существуют в форме установок (диспозиций), как бы преобразуются в них». [8,115]. თავის თანამთაზრედ ამ საკითხში ის თვლის ა. ფრანგიშვილს—«По мнению А. С. Прангишвили, о потребности как стимуле можно говорить, только на биологическом уровне, а на психологическом «она есть, по сути дела, установка». [10,34—35].

ევტორის მიერ წამოყენებული დებულებები საქმის ობიექტურ ვითარებას არ ასახავენ. საქმე ისაა, რომ დ. უზნაძის კონცეფციაში განწყობის რაობის დახსაითება დისპოზიციის ტერმინით არ ეხება განწყობის არსებით მომენტს, მის სპეციურიას, დ. უზნაძის თვალსაზრისის მიხედვით, განწყობა სწორედ რომ შინაარსობრივ-რომელიმითი გარკვეულობაა, რომელიც ამასთან ერთად წარმოადგენს დისპოზიციური ბუნების მქონეს კონკრეტული ძეგვის განხორციელების შემთხვევაში.

გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს განწყობის გამოცხადება მოთხოვნილებად. გ. დილიგენსკისთან არა ერთმანეთისაგან გათიშული მოთხოვნილების პროცესი (განცდა) და მოთხოვნილების მიღრეკილება (ინუ მისი დისპოზიციური არსებობა). ევტორი ლაპარაკობს ე. წ. „მყარ, მიმართულ“ მოთხოვნილებებზე და მათი არსებობის ფორმად აცხადებს დისპოზიციურ არსებობას. ამ შემთხვევაში ჩვენ ევტორს მხედველობაში აქვს მოთხოვნილების მიღრეკილება და არა მოთხოვნილების განცდის ფენომენი. ამიტომ სავსებით სწორია მათი დახსაითება დისპოზიციის ტერმინით. მაგრამ სადაც სწორედ დისპოზიციის სინონიმად განწყობის გამოცხადებაა, რადგანაც ამ უკანასკნელს დ. უზნაძის კონცეფციაში სხვა, უფრო არსებითი შინაარსი გააჩნია.

გ. დილიგენსკი იმიტებს პროფ. ა. ფრანგიშვილს იმ დებულების გამართლებისათვის, რომ მოთხოვნილება ეს იგივე განწყობაა, მოჰყავს რა პროფ. ა. ფრანგიშვილის სტატიიდან ციტატი: «она (потребность—ვ. კ.) и есть, по сути дела, установка».

პროფ. ა. ფრანგიშვილის მრავალმრივ საინტერესო ნაშრომი აქცევად დეტალურად განხილუის ობიექტი ვერ იქნება, მაგრამ საზღასმით კი უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ აიგოვებს მოთხოვნილებას განწყობისთან. ევტორის სტატიაში ფაქტიურად შეჯელობაა იმის შესახებ, რომ ის, რასაც, მაგალითად, ე. ტოლმენი უწოდებს „ქცევის დისპოზიციას“, „ქცევითად განსაზღვრულ მდგომარეობას“, ხოლო ა. ლეონტიევი „მოთხოვნილებას, რომელიც წარმართავს და არეგულირებს სუბიექტის კონკრეტულ მოღვაწეობას საგნობრივ გარემოში“. ნაძვილად არის განწყობა. ევტორი იცავს დებულებას, რომ „განწყობა არის მოთხოვნილებისა და ობიექტური სიტუაციის ურთიერთობის ფიქოლოგიური შინაარსი, რომლის ბაზაზე აღმოცენდება განსაზღვრული მიმართულების მოღვა-

* ამ მიმართულებით წარმოებს მუშაობა დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მოთხოვნილებისა და მოტივის ფსიქოლოგიის შემსწოდელ ლაბორატორიაში.

6. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1981, № 4

წეობა”。 მის აღიარების შემდეგ მართლაც რომ გაუქმება იქნებოდა ზამოალ-ნიშნული დებულებისა, თუკი ვინმე წამოაყენებდა დ. უზნაძის განწყობის თეო-ტიისათვის მიუღებელ დებულების განწყობისა და მოთხოვნილების იგივეო-ბის თაობაზე.

2064365

1. დ. უნაძის განტყობის კონცეფციის მიხედვით, საერთოდ მოთხოვნილებად წოდებული სამკვიდრო იყოფა ორ რომელიმად: საჭიროებად და საკუთრივ მოთხოვნილებად. საჭიროება არაა განცდა, ის არც ფიქია, ხოლო საკუთრივ მოთხოვნილება განცდად ფრინვენს წიზმოადგენს.

2. განცდის დონეზე არსებული მოთხოვნილების ფსიქიკური ფენომენი თავის განვითარებაში ორ საფეხურს გაიღლის, რომელთაგან პირველს დ. უზნაძე უწოდებს „ინდივიდუალობას მოკლებულ მოთხოვნილებას“ (აქ ჯერ კიდევ არაა გამოყენეთილი მოთხოვნილების (საგანი), მეორეს კი — „ინდივიდუალურად განსაზღვრულ მოთხოვნილებას“, იგივე „კონკრეტულ მოთხოვნილებას“ (ამ მოთხოვნილებას სავსებით გარკვეული საგანი აქვს).

3. დ. უზნაძე იძლევა მოთხოვნილებათა ორგვარ ქლასიფიკაციას. ლირებულების მიხედვით მოთხოვნილებანი იყოფიან დაბალ (ვიტალურ) და მაღლა (გარდუვეალ) სახეებად. ხოლო მოთხოვნილებანი განხილული საგნობრიობის ასპექტით იყოფიან სუბსტანციურ და ფუნქციურ რომელიმებად. განცდადი მოთხოვნილება ქერტული და მიქმედი მოთხოვნილება.

4. დ. უზნაძის მიერ მოთხოვბული ე. წ. „განკუნებული“ ანუ „მე-ს“ მოთხოვნილება, იგრე „მოთხოვნილების იღეა“ ანდა „წარმოსახული მოთხოვნილება“ არ წარმოადგენს მოთხოვნილების ფსიქიკურ რომელობას, ვინაიდან ის არის აზრი მოთხოვნილების შესახებ და არა თეთრობ მოთხოვნილების მდგრადრეობა. ამიზანად მას ეწოდება „არააქტუალური მოთხოვნილება“.

5. მოთხოვნილების, როგორც განწყობის აღმოცენების სუბიექტური ფაქტორის, თავისებურებაზე დამკიდებულია თვითონ „განწყობის ფორმების“ თუ „ფენების“ ასებობა. „უშუალოდ აღმოცენებული განწყობა“ განპირობებულია ძეგლუალური მოთხოვნილებითა და რეალური ან წარმოსახული იმიგრიტური სიტუაციით. ე.წ. „გაშუალებული განწყობა“ განპირობებულია მეორადი ანუ წარმოსახული მოთხოვნილებითა და სიტუაციით.

В. Л. КАКАБАДЗЕ

ПОНЯТИЕ ПОТРЕБНОСТИ В ПСИХОЛОГИИ УСТАНОВКИ Д. Н. УЗНАДЗЕ

Резюме

1. В теории установки Д. Н. Узнадзе разграничиваются понятия — и узда (непсихическое состояние организма) и потребность (переживаемый психический феномен).

* ପରିମ୍ବ. ୧. ଫୁଲାଙ୍କାରୀଶ୍ଵରିଳା ସବେଳି ସାହିତ୍ୟରେ ମନୋବିଜ୍ଞାନିଙ୍କରେ ଦେଖିଲୁଗାରେ ଯାଇଥିବା ଶ୍ରେଷ୍ଠ ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟରେ ଏହା ହେଲା ଏହାର ଅନ୍ତରେ କିମ୍ବା ମନୋବିଜ୍ଞାନିଙ୍କରେ ଦେଖିଲୁଗାରେ ଯାଇଥିବା ଶ୍ରେଷ୍ଠ ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟରେ ଏହା ହେଲା ଏହାର ଅନ୍ତରେ କିମ୍ବା

2. В своем становлении переживаемый феномен потребности имеет две ступени; первая из них — это «неиндивидуализированная потребность», где еще не выделен предмет потребности, а вторая — «индивидуально определенная потребность» или «конкретизированная потребность», имеющая вполне определенный предмет интенции. Переживаемая потребность — актуально действенная данность.

3. На основе ценностной ориентации потребности делятся на низшие (витальные) и высшие (духовные) виды, а с точки зрения предметности — на субстанциональные и функциональные.

4. Т. н. «отвлеченная потребность» или «потребность — Я» (также «идея потребности», «воображаемая потребность») представляет собой мысль о потребности, а не само реальное потребностное состояние; поэтому Д. Н. Узладзе ее называет «неактуальной потребностью».

5. От потребности, как субъективного фактора зависит существование самих «форм установки». «Непосредственно возникшая установка» предопределена, с одной стороны, актуальной потребностью, а с другой — реальной или воображаемой ситуацией, а «опосредованная установка» возникает на основе вторичной или воображаемой потребности и ситуации.

ლიტერატურა

1. უ ზ ნ ა ძ ე ღ. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, შრომები, ტ. II, თბ., 1960.
2. უ ზ ნ ა ძ ე ღ. ზოგადი ფსიქოლოგია, შრომები, ტ. III—IV, თბ., 1964.
3. უ ზ ნ ა ძ ე ღ. სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, შრომები, ტ. V, თბ., 1967.
4. უ ზ ნ ა ძ ე ღ. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, შრომები, ტ. VI, თბ., 1977.
5. ჩ ხ ა რ ტ ი ვ ი ლ ი შ. განწყობა და ცნობიერება, თბ., 1975.
6. გარან ლ. Историко-материалистический подход к проблеме специфически человеческих потребностей, Вопросы психологии, 1966, № 3.
7. Джидарьян И. А. Эстетическая потребность, М., 1976.
8. Дилигенский Г. Г. Проблемы теории человеческих потребностей, Вопросы философии, 1977, № 2.
9. Ерузалим В. Учебник психологии, М., 1911.
10. Прангисвили А. С. Потребность, мотив и установка. Проблемы формирования социогенных потребностей, Тб., 1974.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
დ. უზნაიის სახელობის ფსიქოლოგიის ამსტიტუტის

გიორგი წულაძე

მიზრაციული ქცევის შესავლის მითოლოგიური საპითხოები

მიგრაციული ქცევა დემოგრაფიული ქცევის ერთ-ერთ სახეობის წარმოადგენს.

მიგრაციის ქვეშ, ფართო გავებით, იგულისხმება მოსახლეობის სხვადასხვა სახის სივრცით გადადგილება [14, 179]. მიგრაციის მნიშვნელოვანი დაგილი უკავია ხალხომასხლეობის თეორიისში [15, 8].

მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციის შესწავლას საქმაო ყურადღება ეთმობა და მარტო უკანასკნელი წლების მანძილზე (დაწყებული 70-იანი წლებიდან), ჩვენს ქვეყანაში, მას მრავალი მონოგრაფიული ნაშრომი მიეძღვნა [7], როგორც კოლექტიური, ისევე ინდივიდუალური, სადღეისოდ მის შესახებ არ არსებობს ერთიანი თეორია.

ერთიანი კარგად დამუშავებული თეორია არ არსებობს მიგრაციის ფაქტორების შესახებაც, მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტორების კვლევას საქმაო ყურადღება ეთმობა [6, 26].

გამოდის, რომ, ერთი მხრივ, გროვდება დიდიალი მასალა მიგრაციის შესახებ, მეორე მხრივ, კი ვერ ხერხდება მის შესახებ თეორიის შექმნა.

ბუნებრივია, რომ დაისვას კითხვა: რით არის გამოწვეული საქმის ასეთი კითხვება?

როგორც ჩანს, საკითხისაღმი ტრადიციული მიდგომა ამ საქმეს წინ ვერა სწევს. საჭირო ხდება ახალი მიდგომის გამოყენება; ახალი საწყისის — საფუძვლის გამონახვა, რომელზედაც დაყრდნობით შესაძლებელი იქნებოდა მიგრაციის საკითხის ახლებურად გაშუქება და მისი კვლევა ახალი მიმართულებით.

მიგრაციული პროცესის თავისებურებათა შესწავლა შეუძლებელია ტრადიციულ სტატისტიკურ მეთოდებზე დაყრდნობით. მიგრაციული ქცევის (ისე-ვი, როგორც სხვა სახის დემოგრაფიული ქცევის) შესწავლა უნდა წარმოებდეს კომპლექსურად, დემოგრაფიული, სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებით. მიგრაციული ქცევის ოღწერისათვის, ანალიზისათვის და ახსნისათვის აუცილებელია ზოგადი და სოციალური ფსიქოლოგის გამოყენება. ზოგადი და სოციალური ფსიქოლოგისა და სოციალური ფსიქოლოგის ერთობლივი მიდგომა ხელს შეუწყობს მიგრაციული ქცევის ნაყოფიერ კვლევას [16, 241—242].

როგორც ვხედავთ, მიგრაციული ქცევის შემდგომი კვლევის გზა დასახულია. ერთ-ერთ გამოსარცვევ საკითხს მხოლოდ ის გრემოება წარმოადგენს, თუ რომელ საფუძველზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს მიგრაციული ქცევის შემდგომი ახლინდებური შესწავლა.

ამ საფუძვლის დადგენა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ის განაპირობებს მოელი შემდგომი კვლევის მიმართულებასა და თავისებურებას.

ასეთ თეორიულ საფუძვლად, ჩვენი აზრით, საკუთხით გამოსაღევია გან-

წყობის თეორია (როგორც მიგრაციული, ასევე სხვა სახის დემოგრაფიული ქცევის საფუძვლად).

ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი და ზოგიერთი დებულებაც კი იქნა ჩამოყალიბებული [5].

მიგრაციული ქცევის საფუძვლად განწყობის თეორიის გამოყენებას მრავალი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ჯერ ერთი, მოთხოვნილებისა და სიტუაციის საკითხები განწყობის თეორიაში კარგად შესწავლილ კატეგორიებს განეკუთვნება (მათ კი ეკრანურით უკრ ივულით გვერდს მიგრაციული ქცევის განხილვისას). მეორეც, მიგრაციული ქცევის მექანიზმის გარევევა-დაღვენას განწყობის ცნებამდე მიყვავართ; ე. ი. განწყობის თეორიასთან უშუალო კავშირის დამყრება ყველა შემთხვევაში აუცილებელი. მესამეც და მიგრაციული ქცევის შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს აღაპტაციის საკითხი წარმოადგენს; აღაპტაციის საკითხი კი განწყობის თეორიაში საქმიანდ კარგადაა დამუშავებული.

მიგრაციული ქცევა გარკვეული სახის აქტივობაა.

მიგრაციულ ქცევაში სივრცითი გადაადგილება იგულისხმება!

აღამიანი მოძრაობს. ის ერთი ადგილიდან მეორეში გადაინაცვლებას. ცხადია, რომ აღამიანის ყოველგვარ სივრცით გადაადგილებას არ შეიძლება ეწოდოს მიგრაციული ქცევა (თუმცა ზოგიერთი მკვლევარი, მაგ.: მ. კურმანი, მიგრაციაში ერთი საწარმოს ფარგლებში გადაადგილებასაც გულისხმობს. მა აზრის ლოგიკური ბოლო ის დებულება იქნებოდა, რომ მიგრაციად ერთი ბინის ფარგლებში ოთახიდან ოთახში გადაადგილებაც აღმოჩნდებოდა. მ. კურმანის მიერ მიგრაციის ასეთ გაგებას სამართლიანად აღმოჩნდა ბევრი კრიტიკისა).

მიგრაციული ქცევის ქვეშ უმთავრესად გულისხმობენ შემდეგ სახეებს: ქანქარისტებურს, სკზონურს, დროებითსა და მუდმივ გადაადგილებას?

მიგრაციული ქცევა შეიძლება განხორციელდეს, როგორც ერთი ქვეყნის შიგნით, ისევ ერთი ქვეყნიდან მეორეში.

ქვეყნის შიგნით არსებულ მიგრაციულ ქცევას მიმართულების მიხედვით ჰყოფენ — ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან სოფელში და სოფლიდან ქალაქში.

მიგრაციული ქცევა სხვადასხვა სახეობის არსებობის გამო მრავალფეროვანია. მაგრამ ეს მრავალფეროვნება გარკვეული ზოგადი კანონზომიერებით შეიძლება დახასიათდეს.

¹ აქ და შემდგომში ჩვენი საუბარი შეეხება მხოლოდ აღამიანთა მიგრაციას.

² ქანქარისტებურ მიგრაციად თვლიან მოსახლეობის ყოველდღიურ ან ყოველდღიურ გადაადგლებას საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაო დაგილიშვილებით და პირიქით სხვადასხვა დასახლებულ პუნქტების შორის.

სტანცურ მიგრაციად თვლება მოსახლეობის გადაადგილება საცხოვრებელი ადგილიდან დროებით სამუშაო ადგილზე რამდენიმე თეთი მანქოლზე, შემდგომში საცხოვრებლ ადგილზე დაბრუნების გათვალისწინებით.

მუდმივი (სამუდმო) მიგრაცია წარმოადგენს მოსახლეობის გადასახლებას საცხოვრებლად ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორეში (Социальные факторы и особенности миграции населения СССР. М., 1978, с. 11, 12, 13).

დროებით მიგრაცია წარმოადგენს მოსახლეობის ეპიზოდურ (დროებით) გადაადგილებას საცხოვრებელი ადგილიდან უკან დაბრუნების გათვალისწინებით (მაგ.: ტურისტული მოგზაურობა და სხვა).

უნდა აღინიშვნოს, რომ ბოლო დროის სამცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვით დროებით გადაადგილებებს საერთოდ არ შეიკუთვნებენ მიგრაციას.

როგორც ცნობილია, ყოველი სახის ქტივობისათვის აუცილებელია მო-
თხოვნილებისა და ამ მოთხოვნილების დაქმაყოფილებისათვის საჭირო სიტუ-
აცის არსებობა.

მიგრაციული ქცევა განისაზღვრება მიგრაციული (გადაადგილების) მო-
თხოვნილებით და მისი დაქმაყოფილებისათვის საჭირო სიტუაციით.

მიგრაციული მოთხოვნილება, შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ინდივი-
დის (სუბიექტის, პიროვნების) მდგომარეობა, რომელიც საჭიროებს გარემოს
შეცვლის და მას საამისოდ მიმართავს.

მიგრაციული მოთხოვნილების წარმოქმნას განაპირობებს სხვა მოთხოვნი-
ლებით, მისწრაფებით, მიზნები, ლირებულებით, რომელთა დაქმაყოფილება
ან მოპოვება მოცემულ გარემოში კერძოდება. როდესაც ადამიანის რომე-
ლიდე მოთხოვნილების, მისწრაფების, მიზნის და ლირებულების დაქმაყოფილე-
ბა-მოპოვება ან ხერხდება იმ გარემოში, სადაც ის იმყოფებოდა, ადამიანი იძუ-
ლებულია გადაადგილდეს (გადავიდეს) ისეთ გარემოში, სადაც მისი მოთხოვ-
ნილების, მისწრაფების, მიზნის ან ლირებულების დაქმაყოფილება-მოპოვება
იქნება შესაძლებელი, ე. ი. მიგრაციული მოთხოვნილების ქვეშ იგულისხმება
გარემოს შეცვლის მოთხოვნილება.

კერძო განვიხილავთ იმ მოთხოვნილებათა კატეგორიებს, რომლითაც შეიძ-
ლება გამოწვეული იყო მიგრაციული მოთხოვნილება.

არსებობს მოთხოვნილებათა ორი ძირითადი კატეგორია — სუბსტანციური
და ფუნქციური [4, 55].

აქედან გამომდინარე, მიგრაციული მოთხოვნილება შეიძლება გამოწვეული
იყოს სუბსტანციური მოთხოვნილებით (ე. ი. გადაადგილება გამოწვეული იყოს
რაიმე სუბსტანციის მიღების მიზნით, მაგ.: საკვების).

ცნობილია, რომ ადამიანების გადაადგილებას (მიგრაციის) ხელი შეუწყო
გარკვეულ საკვებზე (თევზეულზე) გადასვლამ და ცეცხლის გამოყენებამ. ამ
ახალი საკვებისა (იქამდე ადამიანები საკვებად ხმარობდნენ ხის ნაყოფსა და
მცენარის ფესვებს) და ცეცხლის გამოყენების შემწეობით ადამიანები დამოუ-
კიდებელი გახდნენ ჰავისა და ადგილ-მდებრებობსაგან; მათ დაწყებს ხეტი-
ალი (გადაადგილება). მიკვებონდნენ რა მდინარეებისა და ზღვის ნაპირს, ადა-
მიანები გაერკეთლნენ დედამიწის დიდ ნაწილზე. ადამიანების ახალ ადგილებ-
ზე დასახლებას მოჰყევა ახალი საკვების მოპოვება [1, 23—24].

ამ საწყის ეტაპზე ადამიანთა მიგრაციას სუბსტანციური მოთხოვნილება
განაპირობებდა. მაგრამ უდავო, რომ იმავე დროს, ადამიანთა პრაქტიკული საქ-
მიანობის შედეგად გროვდებოდა გამოცდილება და ადამიანთა მიგრაცია გამო-
წვეული სუბსტანციური მოთხოვნილებით უფრო მაღალ-თეორიულ⁴ საფეხურ-

³ ფ. ენგელის სმარობს «Wanderung», რაც ქართულ თარგმანში გამოცემულია ცნებით
„ხერიალი“. ხეტიალი, როგორც ცნობილია უმიზნო, უთავბოლო სიარულს ნიშნავს და კარგად
უდებება მცულსურ-პრაქტიკული მიგრაციული ქცევის შინაარსს.

⁴ თეორიული მოთხოვნილება სუბსტანციურ მოთხოვნილებათა კატეგორიას მიეკუთხება
და მის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს. თეორიულ და სუბსტანციურ მოთხოვნილებას ერთ-
მანეთისაგან რაიგეტივად აქტი განასხვავდება, რომელიც დამახასითებელია თეორიულ მოთხოვ-
ნილებისათვის. როგორც სუბსტანციური მოთხოვნილების დამაყოფლების შემთხვევაში, ადა-
მიანის წინაშე, რამდენიმე განიარებულ და გადასაწყვეტი საკითხი წამოქიდება, ის ღრმებით შეწყვეტის
მოქმედებას, განიხილავს შექმნილ ვითარებას, მსელობის სპეციალურ ბორექტად აქცევს მას —
მოაცემს ბორექტივას. ასეთ დროს ხდება სუბსტანციური მოთხოვნილების თეორიულ მოთ-
ხოვნილებამდე განვითარება (ლ. უზადე).

ზე უნდა ასულიყო. ადამიანები გადაადგილებისას, ახდენდნენ იმის ობიექტი-ვაციას, თუ სად და რა ადგილის უნდა წასულიყონენ, რომ საკედის უკეთესი მოპოვების საშუალება ჰქონდათ. ამ დროს არსებული მიგრაციული მოთხოვ-ნილება უკვე თეორიულ დონეზე შეიძლება განვიხილოთ.

მიგრაციული მოთხოვნილების სუბსტანციური დონიდან თეორიულამდე განვითარებისათვის საქამიანობის ხანგრძლივი დრო უნდა გასულიყო.

უდავო, რომ საზოგადოების შემდგომი განვითარებისას მიგრაციული მო-თხოვნილება მარტოდენ ვიტალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ არ იყო მიმართული. საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების გარკვე-ულ საფეხურზე მიგრაციული მოთხოვნილება სოციალურ ხასიათს ღებულობს (ამ საკითხს ჩვენ მოგვიანებით დაუბრუნდებით).

რაც შეეხება მიგრაციული მოთხოვნილების ფუნქციურად მიჩნევას, აღ-ვნიშნავთ, რომ ფუნქციობა ადამიანისათვის ბუნებრივი ტენდენციაა, რომლის შეზღუდვასაც ის მტკიცებულად და უსიმოგნოდ განიცდის. ადამიანს თვისია ნორმალური აქტივობისა და ფუნქციობისათვის სასიცოცხლო სივრცე სჭირდება. სამოქმედო სივრცე, კომუნიკაციური შესაძლებლობები და ფიზიკური აქტი-ვობა ცოცხალი ადამიანის ფუნქციურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია. ეს იმაზე მიგვითოთებს, რომ ადამიანის ბუნების დახასიათება-სათვის უნდა გავითვალისწინოთ, როგორც სუბსტანციური, ისევე ფუნქციური მოთხოვნილებები [2, 141—142]. ე. ი. მიგრაციული მოთხოვნილება ფუნქციურისაც მიეკუთვნება. ფუნქციურს არა მხოლოდ იმ გაეგებით, რომ ადამიანის ბუნებრივი და ნორმალური ცხოვრების ერთ-ერთ აუცილებელ პირობაში, შრო-მასა და შემოქმედებაში ფუნქციურ ტენდენციათა დაკმაყოფილებაც ხდება [2], არამედ იმ გაეგებითაც, რომ სასიცოცხლო სივრცეში გადაადგილება თვითონ წარმოადგენს ადამიანის ფუნქციური ტენდენციის დაკმაყოფილებას.

მიგრაციული ქცევა წარმოადგენს ინდივიდის (სუბიექტის, პიროვნების) აქტივობას, რომელიც მიმართულია მიგრაციული მოთხოვნილების დასაქმა-ყოფილებლად.

მიგრაციული ქცევის განხილვისას, ჩვენ იმ ცნობილი მდგომარეობით უნ-და ვიხელმძღვანელოთ, რომ ყოველი ქცევა შესაბამისი განწყობის რეალიზა-ციას წარმოადგენს [12, 33].

დ. უზნაძის ორგანის მიხედვით, განწყობა წარმოადგენს მთლიანპიროვნე-ბისეულ მდგომარეობას, რომელიც განსაზღვრავს ქცევის თვისებურებებს კონ-კრეტულ სიტუაციაში.

განწყობა წარმოადგენს მზადყოფნის მდგომარეობას რეაგირების გარკვეუ-ლი ფორმის მიმართ [12, 34].

განწყობა, წინ უსწრებს რა ქცევას დროში, წარმოადგენს მიზანდასახული მოქმედების სტრუქტურის განუყოფელ კომპონენტს [13, 6]. მასში ასახულია მოთხოვნილება და მოთხოვნილების შესაბამისი გარემო [8, 35].

ზემომოყვანილიდან გამომდინარეობს, რომ მიგრაციული განწყობა წარ-მოადგენს ინდივიდის (სუბიექტის, პიროვნების) მზადყოფნას ფსიქოფიზიკური

* ცოცხალი ორგანიზმის ბუნებრივ მდგომარეობას აქტივობა წარმოადგენს. მასში თავს „იჩენს მისწრაფება ამა თუ იმ სის აქტივობისადმი“. ის საჭიროებს მოქმედებას თვისთვავად. ცოცხალ ადამიანს ყოველთვის უჩნდება მოთხოვნილება ამ თუ იმ მიმართებით ფუნქციობისა. ამ სახის მოთხოვნილებას ფუნქციურს უწინდებენ (დ. უზნაძე).

აქტივობისათვის, მიმართულს მიგრაციული მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაკენ.

„... განწყობა ორი მარტო მოთხოვნილების და ორი მარტო ობიექტური სიტუაციის არსებობის საფუძველზე წარმოიშობა: იმისათვის, რომ იგი აღმოცენდეს როგორც განწყობა განსაზღვრული აქტივობის მიმართ, აუცილებელია, რომ მისი დაკმაყოფილების პირობების შემცველი სიტუაცია და მისი დაკმაყოფილების მოთხოვნილება ურთიერთს დაემთხვენენ“ [4, 59].

მიგრაციული განწყობის წარმოქმნისათვის აუცილებელია, რომ მიგრაციული მოთხოვნილება და მისი დაკმაყოფილების სიტუაცია ერთმანეთს დაემთხვევს.

პრაქტიკულ-იმპულსური ქცევის მიგრაციულ განწყობას საფუძვლად უდევს მიგრაციული მოთხოვნილება გამოწვეული სუბსტანციური მოთხოვნილებით.

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ პრაქტიკული ქცევის მიგრაციული განწყობა დამახასიათებელი იყო აღმიანებისათვის (ინდივიდუალური) კაცობრიობის განვითარების საწყის ეტაპზე.

თეორიული ქცევის მიგრაციულ განწყობას საფუძვლად უდევს მიგრაციული მოთხოვნილება გამოწვეული თეორიული მოთხოვნილებით.

თეორიული ქცევის მიგრაციული განწყობა კაცობრიობის განვითარების შემდგომი საფეხურისათვისაა დამახასიათებელი.

როგორც აღნიშნეთ, სუბსტანციურ და თეორიულ მოთხოვნილებას ერთ-მანეთისაგან განასხვავებს ობიექტივაცია.

ობიექტივაცია — სპეციფიკური აღამიანური აქტივობაა. ის სოციალური ბუნების ნაყოფს წარმოადგენს [12, 74].

ობიექტივაციის აქტის დროს ირლევა ერთიანობა ინდივიდსა და გარემოს შორის. ამ დროს ინდივიდი აქტივობის მთლიანობიდან გამოიყოფა, უპირის-პირდება გარემოს და გადაიქცევა აქტივობის განმახორციელებელ სუბიექტად. სუბიექტი იწყებს სინამდვილის, როგორც ობიექტის განხილვასა და შეცნობას [8, 46].

ობიექტივაციის მაშინ აქვს ადგილი, როდესაც აღამიანი შესაბამისი განწყობის წარმოშობის დროს თეორიული მსჯელობის საგნად გახდის მოვლენის შემადგენელ რომელიმე ობიექტს. რომელიმე წინააღმდეგობის ან გადასაჭრელი საკითხის წარმოშობის შემთხვევაში აღმიანი, მისი თავიდან აცილების მიზნით, ობიექტივაციის აქტს მიმართავს. ის ასეთ შემთხვევაში კი არ განაგრძნობს მოქმედებას, არამედ დროებით შექმნადება, გაიაზრებს შექმნილ მდგრმარეობას, მსჯელობის საგნად აქცევს მას და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავს ისეთ ქცევას, რომელიც ამ მსჯელობის შედეგად იქნება დადგენილი. აღამიანს ასეთ დროს ექმნება წარმოდგენა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ობიექტივირებული წარმოდგენა.

აღამიანი წარმოშობილი განწყობის ხელმძღვანელობით ღებულობს აქტივობის სურათს. თუ ასეთ შემთხვევაში მას რამე წინააღმდეგობა (გადასაჭრელი საკითხი) ხდება, იგი დროებით წყვეტს აქტივობას და ახდენს ობიექტივაციის აქტს. მას ექმნება ამ წინააღმდეგობის დაძლევის მოთხოვნილება. რომელიც მოცემულ სიტუაციაში დაკმაყოფილებისაკენ ისწრაფვის და მისი გადაწყვეტა თეორიულად ხდება. ე. ი. ადგილი აქვს აზროვნებას.

ობიექტივაციის შედეგად წარმოშობილი ასეთი აზროვნება, უპირველესად

ყოვლისა, თეორიული ამოცანის გადაწყვეტისაკენ არის მიმართული, მაგრამ მომართული ბოლოოდ ის მაინც პრაქტიკულ ლონისძიებას ემსახურება.

როგორც კი გადაწყვეტია თეორიული ამოცანა, სუბიექტი იწყებს პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტას. იწყება აქტივობა, რომელიც მიმართულია შედევის პრაქტიკული განხორციელებისაკენ. ამ დროს კი წარმოიქმნება ამ აქტივობის შესატყვისი განწყობა, რომელიც შემდგომში ნებელობის დამარტინაზე აქტუალურ განწყობად იქცევა და მიმართავს ადამიანის ქცევას. ე. ი. ობიექტივაციის შედევად ადამიანს უმუშავდება ნებელობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ქცევა აზროვნების მიხედვით იყოს მიმართული [4, 166].

შესაძლებელია მიგრაციული ქცევა გამოწვეული იყოს თავისი თავის დაცვის მიზნით. ზოგიერთ შემთხვევაში მიგრაციული ქცევა შეიძლება იძულებით იყოს გამოწვეული. იძულებით გამოწვეული ქცევა განწყობის თეორიაში ცნობილია, როგორც გარდამავალი (შუალედური) სახის ქცევა იმპულსურიდან ნებელობით აქტივობამდე.

მიგრაციული ქცევა ობიექტივაციის გარეშე რომ მიმდინარეობდეს და თეორიული განწყობის ჩეალიზაციას არ წარმოადგენდეს, ადამიანს ძალიან გაუკირდებოდა გარემოში ორიენტირება. უფრო მეტიც, თეორიული განწყობის გარეშე, ადამიანის მიგრაციულ ქცევას, უმრავლეს შემთხვევაში, სასურველი შედეგი არ მოჰყვებოდა.

რანაირი ხასიათისაც არ უნდა იყოს მიგრაციული მოთხოვნილება, მისი დაკავშირებული პროცესში ადამიანი ყოველთვის მსჯელობს, განიხილავს იმ შესაძლო მიმოქმედებს, რომლითაც ან საღაც შესაძლებელია მისი მოთხოვნილების დაკავშირებით და მხოლოდ შემდგომში მიმართავს არჩეულ მიგრაციულ ქცევას. ყოვლად წარმოუდგენელია, რომ საღლეისოდ ადამიანმა, თუ რამე ისეთი მოთხოვნილების დაკავშირების დაკავშირებას ცდილობს, რომელიც მის ახლო მდებარე გარემოში არ ხერხდება, დაიწყოს უაზრო ხეტიალი ამ მოთხოვნილების დაკავშირებისათვის.

მართალია, თეორიულ განწყობასა და პრაქტიკულ განწყობას შორის დიდა განსხვავებაა, მაგრამ საბოლოოდ ისიც მიმართულია ადამიანის ვიტალური მოთხოვნილებების დაკავშირებისაკენ, იმ განსხვავებით, რომ თეორიული განწყობის საფუძველზე განხორციელებული ქცევისას ობიექტივაცია და აზროუნება მონაწილეობენ.

არსებობს განწყობისა და მის საფუძველზე განხორციელებული ქცევის მესამე სახეობა, რომელიც განსხვავდება, როგორც იმპულსური ქცევის განწყობისაგან, ისევე თეორიული ქცევის განწყობისაგან. ასეთს მიეკუთვნება სოციალური ქცევის განწყობა, რომლის ფორმირება და მოქმედება ფსიქიკის მესამე დონისათვისაა დამახასიათებელი.

მაგრამ ვიდრე სოციალური ქცევის განწყობას განვიხილავდთ, მოკლედ შევეხებით ადამიანის აქტივობასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს.

ზემოთ ნაჩენები იყო, რომ მიგრაციული განწყობის საფუძველს მოთხოვნილება წარმოადგენს. მაგრამ შესაძლებელია, აგრეთვე, რომ მიგრაციული განწყობა არა მოთხოვნილების, არამედ მისწრაფების საფუძველზე მიმდინარეობდეს.

მოთხოვნილება დანაკლისის საფუძველზე აღმოცენებული მდგომარეობაა, რომელიც ადამიანს გარევეული საგნების მიმართულებით ან საგნებისაგან განრიცებისაკენ უბიძგებს. მისგან განსხვავებით, მისწრაფები ადამიანს უჩნდე-

ბა არა დანაკლისის საფუძველზე, არამედ იმიტომ, რომ მას ადრე ურთიერთობა ჰქონდა გარკვეულ საგნებთან და მოვლენებთან. როგორც მოთხოვნილებები, ისევე მისწრაფებებიც გარკვეული საგნის მოხმარების ტენდენციას შეიცვალა. ისინი შესაბამისი სიტუაციის შემთხვევაში, გარკვეული ქცევის განწყობას ქმნიან, რომელსაც შემდგომში სათანადო ქცევა მოჰყვება. მისწრაფებები ადამიანს გამოცდილების საფუძველზე უყალიბდება, ისინი შეძენილ ტენდენციებს წარმოადგენენ. მათი შინაარს განპირობებულია იმ სოციალური გარემოთის, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს. მისწრაფებები ადამიანზე ისე მოქმედებენ, როგორც ცნობიერი განცდები. ისინი გარკვეული ღირებულებისადმი ტენდენციაზე მიუთითებენ. ადამიანები აცნობიერებენ, როგორც თვის მისწრაფებებს, ისევე იმ საგნებსა და მოვლენებს, რომელთა ურთიერთობაშიც შეიძლება ამ მისწრაფებების დაქმაყოფილება. ასეთი გზით ადამიანებს ექმნებათ მიზნები და მიზანთა სისტემა. მიზანთა სისტემის ჩამოყალიბებისას ადამიანი ანგარიშს უწევს როგორც მოთხოვნილება-მისწრაფებას, ისევე საკუთარ შესაძლებლობას, ფაზიური და სოციალური გარემოს თვისებურებებს; თვალისწინებს სოციალურ მოთხოვნებს, იმ ღირებულებებს, რომლებზეც ჯგუფია ორიენტირებული [2, 276—300].

„სოციალურ ღირებულებათა ფორმირება ჯგუფის მოთხოვნილებით, მასში გაბატონებული ნორმების ზემოქმედების საფუძველზე ხდება“ [2, 299].

ღირებულებათა შექმნა ბევრად არის დამოკიდებული იმ პირველად ჯგუფზე, სადაც მიმღინარეობდა პიროვნების სოციალიზაცია. პირველადი ჯგუფი ხშირად ადამიანისათვის სამაგალითო ხდება. ერთ-ერთ ასეთ სამაგალითო ჯგუფს ოჯახი წარმოადგენს. ყველა ის სოციალური ჯგუფი, რომელშიც ადამიანის უხდება ცხოვრება, გავლენას ახდენს მის ღირებულებით სისტემაზე [8, 73].

ღირებულებითი სისტემის ფორმირებაზე გავლენას ახდენს როგორც ის სოციალური გარემო, სადაც ადამიანი იმყოფება, ისევე მისი შინაგანი ბუნება.

სოციალური ღირებულებები ერთმანეთთან მშენდონდ არიან დაყავშირებული. ადამიანისათვის ღირებულებას წარმოადგენს სოციალური გარემო, ადამიანთა ის ჯგუფი, სადაც ის ცხოვრობს ან სადაც უნდა, რომ ცხოვროს, მდგომარეობა ჯგუფში, ერთ, ოჯახი, კოდნა და სხვა. მთადამი ორიენტაციის გამო ადამიანი განიცდის მისწრაფებას ამ ღირებულებებისადმი. „ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბების საფუძველზე ადამიანი პიროვნებად იქცევა. პიროვნების მიერ განხორციელებული ქცევა ამ ღირებულებათა მოპოვებას ემსახურება. ამ ღირებულებათა შექმნა-მოპოვება ამავე დროს საზოგადოების მოთხოვნების შესრულებას ნიშნავს“ [2, 298, 299, 306].

მიგრაციული ქცევის შესწავლისას გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც მისწრაფებები და მიზნები, ისევე ის ღირებულებები, რომლისკენაც ორიენტირებულია ადამიანი. მათი გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი უნდა იყოს როგორც მისწრაფებები და მიზნები, ისევე ის ღირებულებები, რომლისკენაც ორიენტირებულია ადამიანი. მათი გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი ხდება

* „სოციალურ გარემოში იყულისხმება როგორც ადამიანები და ადამიანური ურთიერთობანი, რომელშიც სუბიექტია ჩართული, ისე ადამიანების მექანიზმით გარემო შექმნილი ან მათი აქტივობით ტრანსფორმირებული გარემო. ისევემა, რომ ადამიანისათვის გარემო უდიდეს თვისებრივ ცელიებას განიცდის მაშინ, როდესაც მის შემაღებელ ნაწილად სხვა ადამიანები იქცევიან. სოციალური გარემო უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანის ქცევასა და მისი ფსიქიკის ორგანიზაციაზე“. (შ. 6 დ. ი რ ა მ ე ი ლ ი. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. თბილისი, 1975, გვ. 90).

ადამიანის, როგორც პიროვნების მიგრაციული განწყობის ფორმირებისა და შემთხვევაში მიერ განხორციელებული მიგრაციული ქცევის თავისებურებების გამოვლენა-გავება.

ადამიანი, როგორც პიროვნება, სოციალური განწყობის საფუძველზე მართავს სოციალურ ქცევას.

პიროვნების შეუძლია ისეთი ქცევის განხორციელება, რომელიც მის უშუალო მოთხოვნილებებს არ ემსახურება. ხშირად ასეთი ქცევა მისი უშუალო მოთხოვნილებებისა და საკონბრივი იმპულსების მოქმედებას წინააღმდეგაც კი არის მიმართული. ქცევა, რომელიც სოციალური განწყობის საფუძველზე მიმდინარეობს, ხშირად მიმართულია იმ მოთხოვნილებათა დაკავილებისაკენ, რომლებიც ადამიანს შეიძლება მომავალში გაუჩნდეს. ასეთი ქცევა ზოვჭერ სხვისი მოთხოვნილების დაკავილებას ითვალისწინებს [2, 106—107].

სოციალური განწყობის ფორმირება მიმდინარეობს ვიტალური მოთხოვნილებების, ფიზიკური გარემოსა და სოციალური მოთხოვნების ერთობლივი ზემოქმედების საფუძველზე [9, 119].

უდავოა, რომ საღლეისოდ, მიგრაციული განწყობა და მის საფუძველზე განხორციელებული მიგრაციული ქცევა სოციალური დონისაა.

საღლეისოდ მიგრაციული ქცევა სოციალურად ღირებული ობიექტებისკენაა ოჩიენტირებული. ბევრ შემთხვევაში მიგრაციული ქცევა ითვალისწინებს იმ მოთხოვნილებათა დაკავილების, რომელიც ადამიანს შეიძლება მომავალში გაუჩნდეს.

ადამიანი სოციალურ გარემოში იმყოფება და ანგარიშს უწევს სოციალურ მოთხოვნებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანი ანგარიშს უწევს სოციალურ მოთხოვნებს არა მარტო სოციალური გარემოს ზეგალენით, არამედ თავისი შინაგანი ტენდენციების გავლენითაც, რომლებიც იაზულებენ მას ურთიერთკავშირში შეერთეს სხვა ადამიანებთან, დამყაროს გარევეული დამოკიდებულება სოციალურ გარემოსთან [9, 114].

ადამიანის ქცევაზე არსებით გავლენას ახდენს თანხმობის ან უთანხმოების რეაქცია, რომელსაც გამოხატავენ სწავა ადამიანები მის ქცევაზე. სხვების მიერ გამოხატული თანხმობა აძლიერებს, უთანხმოება კი ასუსტებს ადამიანის მიერ შესრულებული ქცევის ეფექტურობას. ეს ეუჯერტი იარსებებს დამოუკიდებლივ იმისა, გაცნობიერებული ექნება თუ რა ადამიანს თანხმობა-უთანხმოების ჩე-აქცია [9].

თანხმობა-უთანხმოების რეაქციას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მიგრაციულ ქცევაზე. ამიტომ მიგრაციული განწყობისა და ქცევის შესწავლისას მას სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს.

მიგრაციულ ქცევას შეიძლება აწარმოებდეს როგორც ერთი ადამიანი (მაშინ ის ინდივიდუალური იქნება), ასევე ადამიანთა ერთობლიობა დაკავშირებული ერთმანეთთან რაიმე ბიოსოციალური ნიშნით (მაშინ ის ჯგუფური იქნება). შესაძლებელია ისეთი მდგომარეობაც, რომ მიგრაციულ ქცევას ახორციელებდეს ერთმანეთთან რაიმე ნიშნით დაკავშირებული მრავალი ჯგუფი (ასეთ შემთხვევაში ის მასობრივი იქნება).

სულ ერთია, რა დროის მიგრაციული ქცევაც არ უნდა განვიხილოთ (დაწყებული პალეოლითიდან დღემდე) შევამჩნევთ, რომ მას არა მარტო ერთი ადამიანი, არამედ ჯგუფი ან რამდენიმე ჯგუფის ერთობლიობაც აწარმოებდა.

ჭგუფური და მასობრივი მიგრაციული ქცევა განპირობებულია აღამიანთა საერთო ინტერესებით, ერთაირი მოთხოვნილებებით ან საერთო ლირებულებებით.

ბევრ შემთხვევაში აღამიანების მიგრაციული მოთხოვნილებების, მისწრაფებების და კამაყოფილება უფრო ხელსაყრელი იქნება მათვის, თუ ისინი გაერთიანდებიან და ერთობლივად განახორციელებენ მიგრაციულ ქცევას.

შესაძლებელია ისეთი კითარებაც, რომ რომელიმე მიკროგაუფის (მაგ.: ოჯახი) წევრს გადაწყვეტილი აქვს მიგრაციული ქცევის განხორციელება და მიგრაციულ ქცევაში მთელი მიკრო ჭგუფი ჩართოს. შესაძლებელია ამგვარი, გაცილებით ფართო მასშტაბის მოვლენა.

როგორც ზემოთ დაეკინახეთ, შესაძლებელია მიგრაციულ ქცევას ერთდროულად რამდენიმე აღამიანი ან ჭგუფებიც კი ახორციელებონენ. ასეთ დროს კი თავს იჩენს გარკვეული ფსიქოლოგიური ხსიათის კანონზომიერებანი, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს. ზოგიერთ მათვანს ქვემოთ მოკლეზ განვიხილავთ.

ერთ-ერთ ასეთ ფსიქოლოგიური ხსიათის კანონზომიერებას აღამიანთა თანაარსებობა და თანააქტივობა წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, აღამიანთა თანაარსებობა და თანააქტივობა ხელს უწყობს აღამიანის ქცევის ნაყოფიერების გაზრდას და გაადვილებას. თანაარსებობისა და თანააქტივობის ეფექტები „ბიოსოციალურ“ ფენომენებს წარმოიდგინენ. ისინი აღამიანის ფუნქციურ მოთხოვნილებებზე მოქმედებნ ან იწვევებნ მისი ფუნქციური აქტივობის გაძლიერებას. ამის გამო აღამიანის თხილიზიური აქტივობა უფრო ინტენსიური და ინირგიული ხდება. თანაარსებობისა და თანააქტივობის ეფექტები ეხმარება აღამიანებს გარემოსთან შეგუებაში, თავისი შენაგანი შესაძლებლობების ორგანიზირებაში გარკვეული მოთხოვნილებების დაგენარაციულების პროცესისას. ამავე დროს ისინი ხელს უწყობენ სოციალური ურთიერთობის განმრავილებას [2, 132—148].

მიგრაციული ქცევა, რომელსაც ერთდროულად რამდენიმე აღამიანი ახორციელებს უფრო გაადვილებულია. მიგრაციის შედეგად რამდენიმე აღამიანი უფრო ადვილად იგუება ახალ გარემოს. საერთოდ ჭგუფური მიგრაციული ქცევა უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს, ვიდრე ინდივიდუალური.

ამგარენად, თანაარსებობისა და თანააქტივობის ეფექტი გალენას ახდენს მიგრაციულ ქცევაზე, იწვევს რა მის თანამონაწილე აღამიანებში ფუნქციური აქტივობის გაძლიერებას და ზრდის ქცევის ეფექტურობას.

მიგრაციულ ქცევაზე გავლენას ახდენს სოციალური გავლენის ისეთი სახეები, როგორიცაა მიბაძვა და კონფორმულობა.

მიბაძვა დადგებით ზემოქმედებას ახდენს აღამიანის შეგოგბის პროცესზე. მისი დახმარებით აღამიანი სწრაფად ეუფლება სიტუაციის შესატყვის ქცევას, სწავლობს გარემოს და თავისებურებებს და მათ საფუძველზე გარემოში ორიენტირებას იადვილებს [2, 156].

კონფორმულობა აღამიანის შემთანხმებლობას, მისი დამთმობლობის თვისებას გამოხატავს. ის გავლენას ახდენს აღამიანების მსჯელობაზე, მათ ქცევაზე. კონფორმულობა უმრავლესობის აზრისა და ქცევისადმი აღამიანების დაქვემდებარებას იწვევს [2, 162].

მიბაძვა და კონფორმულობა სოციალური გავლენის იმ სახეებს მიეკუთვნება, რომლებზედაც ბევრადა დამოკიდებული მიგრაციული ქცევა. ისინი არა

მარტო მიგრანტთა მიგრაციული ქცევის განხორციელების გაადვილებას იწვევენ, არამედ ხელს უწყობენ მიგრაციის საწყის ადგილს დარჩენილ ადამიანებში მიგრაციული განწყობის ფორმირებას.

მიგრაციული ქცევის განხორციელების შემდეგ ადამიანმა შეიძლება დაიკმაყოფილა გარევეული მოთხოვნილებები, დასახული ამოცანა. ის იწყებს ახალ გარმოში ცხოვრებას. მაგრამ მის მიერ განხორციელებული მიგრაციული ქცევის „ნაყოფიერებას“ მარტო ის გარემოება არ განსაზღვრავს, თუ რამდენად კმაყოფილია ადამიანი მიგრაციული ქცევის შედევით. ადამიანზე ის გარემოებაც მოქმედებს, თუ როგორ აფასებენ ამ ქცევას სხვა ადამიანები.

ცნობილია, რომ „სხვა ადამიანის დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება გარევეულ მიმართულებას აძლევს ინდივიდის ქცევას, ადლიერებს ან ასუსტებს მას“ [2, 172]. ეს მოვლენა სოციალური განმტკიცების სახელითაა ცნობილი.

სოციალური განმტკიცების ფაქტს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს მიგრაციული ქცევის შესწავლისას.

ჯგუფური მიგრაციული ქცევისას, ერთ-ერთ დამახასიათებელ ადამიანთა ურთიერთქმედების ფორმას თანამშრომლობა წარმოადგენს. ის ორგანიზებულ სახეს აძლევს ჯგუფურ მიგრაციულ ქცევას.

ჯგუფური მიგრაციული ქცევისას ადამიანები, მისი უკეთესად განხორციელების მიზნით, იწყებენ ერთმანეთთან თანამშრომლობას.

თანამშრომლობაში მონაწილე ადამიანები აქტივობის ერთიან სისტემად აქცევიან. მათ ერთიანი მიზანი გააჩნიათ და გარევეული ამოცანის გადაწყვეტას ემსახურებიან. ასეთ შემთხვევაში თანამშრომლობაში მონაწილე ადამიანებისა-გან მოითხოვება ისეთი სახის ორგანიზება, რომელიც საერთო ამოცანის მიმართ ჯგუფის მიზანშეწონილ, ერთიანი ქცევის რეალიზაციას უზრუნველყოფს [2, 189].

მიგრაციულ ქცევაზე გავლენას ახდენს კომუნიკაციის პროცესი.

ახალი გარემოდან მიგრანტები გარევეულ ინფორმაცის აწყვდიან ძეველ ვარემოში მყოფ ადამიანებს. მიწოდებული ინფორმაციის ხასიათიდან გამომდინარე შესაძლებელია მიგრაციული ქცევისადმი დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულების აღმოცენება, რომელსაც შესაბამისად მოჰყვება მიგრაციული ქცევის ან გაძლიერება ან შესუსტება.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ თანარსებობა და თანაქტივობა, მიბაძვა და სხვა ფენომენები ეხმარება ადამიანს გარემო პირობებთან შეგვებაში (ადაპტაციაში). განხილული ფენომენები ადამიანთა ურთიერთქმედების პროცესში იჩენ თავს. გარემოსადმი მათი ადაპტაციაც ამ ურთიერთქმედებიდან გამომდინარეობს. მაგრამ ადამიანის გარემო პირობებისადმი ადაპტაცია არა მარტი ადამიანთა ურთიერთქმედების ფორმით არის განპირობებული. ადამიანის გარემოსადმი ადაპტაცია ბევრადაა დამოკიდებული მის შინაგან ბუნებაზე, ხაირათზე, მისი ფიქსირებული განწყობის ძირითად თვისებებზე.

მიგრაციული ქცევის შესწავლისას ადაპტაციის საყითხი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

მიგრაციული ქცევის მიმდინარეობა ბევრად არის დამოკიდებული ადამიანის ადაპტაციის უნარზე, ხარისხზე.

ცნობილია, რომ ადამიანის ბუნება ვლინდება გარემოსთან ადაპტაციის

პროცესში. დიდი მნიშვნელობა აქვს აღატაციის მექანიზმის არსის დადგენას, რომელიც მრავალმხრივად აისახება ქცევაში [11, 48].

განწყობა წარმოადგენს პიროვნების გარემო პირობებთან აღატაციის მექანიზმს. განწყობა ასახვს ინდივიდის გარემო პირობებთან შეგუების სიძნელე-სა და სიადვილეს [11, 43, 48].

ფიქსირებული განწყობის მეთოდით შესაძლებელია აღმანის გარემოსთან აღატაციის სხვადასხვა მხარის გამოკვლევა. განწყობის მაღალი აგზნებადობა მიგვითოთებს იმაზე, რომ აღმანის ძლიერად მოქმედებს ფიქსაციის ფაქტორი, რაც ართულებს ასეთი აღმანის გარემო პირობებთან აღატაციას. დინა-მიკური განწყობა დამახსაითებელია იმ აღმანებისათვის, რომელიც ადვი-ლად სძლევენ ფიქსაციის ფაქტორს და ადვილად იმუშავებენ ისეთ განწყობას, რომელიც შეესტუკისება ახალ შეცვლილ პირობებს. ისინი მიმართავენ გარე-მო პირობების აღეკატურ ქცევას. ასეთ აღმანების ახასიათებს აღატაციის მაღალი უნარი. სტატიკური განწყობის აღმანები დიდი დროის განმავლობაში იმყოფებიან ფიქსირებული განწყობის გავლენის ქვეშ; მათ უჭირთ შეცვლილ ახალ გარემო პირობებში შესაბამისი აღეკატური განწყობის შემუშავება [11, 41—43].

ფიქსირებული განწყობის ძირითადი ოვისებები: დინამიკურობა, სტატიკუ-რობა, სტაბილობა, კონსტანტურობა. ვარიალურობა ბევრ შემთხვევაში ხან-გრძლივი დროის მანძილზე არსებითად უცვლელი რჩება [3, 46]. აქედან გამო-მდინარე, შეიძლება ითვეას, რომ აღმანის გარემო პირობებთან აღატაციის უნარი ბევრ შემთხვევაში უცვლელი რჩება ხანგრძლივი დროის მანძილზე.

ამგარად, ფიქსირებული განწყობის მეთოდით მიგრანტთა გამოკვლევა, გა-რემო პირობებთან მათი აღატაციის სიძნელისა და სიადვილის გამოვლენის საშუალებას იძლევა. ამიტომ, ფიქსირებული განწყობის მეთოდი სათანადოდ უნდა იყოს გამოყენებული მიგრაციული ქცევის და განსაკუთრებით მიგრან-ტთა აღატაციის საკითხის შესწავლისას.

პიროვნება თავისი მოთხოვნილების დაქმაყოფილების პროცესში წარ-მოადგენს არა მარტო არსებას, რომელსაც გააჩნია აზროვნება და ნებელობა. ამავე დროს მისი აზროვნება და ნებელობა, მისი ქცევის ყველა მხარე ვლინ-დება წარსულში ფიქსირებული თვისებების კრილში. აღმანის წარსულს, მი-სი ფიქსირებული განწყობების წრესა და სიძლიერეს დიდი მნიშვნელობა გა-აჩნია აღმანის ქცევის თვისებურებების გაეგბისათვის [11, 14—15].

ცხოვრების მანძილზე აღმანის უმუშავდება მრავალი ფიქსირებული გან-წყობა, რომელთა შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც გააჩნიათ განსაკუთრე-ბული პიროვნული ღირებულება. ასეთი მაღალი პიროვნული ღირებულების მქონე განწყობები ცნობილია, როგორც დისპოზიციური. მათთვის დამახსაი-თებელია აღილი აღმოცენება. მაღალი ღირებულების ფიქსირებული განწყო-ბები აღამანის ქცევის საფუძველს წარმოადგენს; ისინი განსაზღვრავენ საზო-გადოებრივ საქმიანობას, დამოკიდებულებას ობიექტური გარემოსადმი და თა-ვის თავისადმი, როგორც საზოგადოების წევრისადმი [10, 32—33].

ფიქსირებული დასპოზიციური განწყობების ცოდნა საშუალებას გვაძლევს წინასწარ, აქტუალური სიტუაციის წარმოქმნადე, გავარკვით პიროვნების ტენდენციები და ორიგინტაციები, მისი თავისებურებები და შესაძლებლობები და ქცევის რა სახეა მოსალოდნელი აღმანისაგან მომავალში, ამა თუ იმ სი-ტუაციაში [9, 112].

დისპოზიციური განწყობების ცოდნა საშუალებას იძლევა წინასწარ გაცემული კვით მოსალოდნელი მიგრაციული ქცევა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სადღეისთვის მიგრაციული განწყობა სოციალური დონის განწყობას წარმოადგენს. მიტომ მის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია გამოკითხვის საფუძველზე.

ასეთ დროს კი მიგრაციული განწყობის გამოკვლევა სოციალურ ფსიქოლოგიური მეთოდების გარდა სოციოლოგიური მეთოდების საფუძველზედაცაა შესაძლებელი, რომელიც სპეციალურ კვლევას მოითხოვს და ამდენად მას შემდგომში განვიხილავთ.

Г. Е. ЦУЛАДЗЕ

МЕТОДОЛОГИЧЕСКИЕ ВОПРОСЫ ИЗУЧЕНИЯ МИГРАЦИОННОГО ПОВЕДЕНИЯ

Резюме

В отличие от традиционной методологии изучение миграционного поведения рассматривается в статье с позиции теории установки Д. Н. Узнадзе.

Теория установки применяется при формулировании таких основных понятий, как миграционная потребность, миграционная установка и т. д. и для объяснения миграционного поведения.

Рассматривается миграционное поведение различных уровней, свойственное для разных этапов развития человечества. На него оказывают влияние такие закономерности, как реакция согласия — несогласия, конформность, процесс коммуникации и т. д. и оно во многом обусловлено ими.

В статье высказывается мнение, что степень адаптации мигрантов кроме указанных феноменов должна быть обусловлена общепсихологическими свойствами установки мигрантов; правомерность этого предположения можно проверить методом фиксированной установки.

ЛІЧНІСТНА ТАЧКА

1. ენგულსი ფ. ოჯახის, კერძო ხაკუტების და სახელმწიფოს წრმოშობა, თბ., 1938.
2. ნადირა გვილი შ. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975.
3. ნორა კიდე კლ. პიროვნების ხასიათის ცვლილების დინამიკა ნორმალურსა და პათოლოგიურ შემთხვევებში, თბ., 1961.
4. უზაბე დ. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძველები, თბ., 1977.
5. წულაძე გ. ზოგიერთი საკითხი სოციალური დემოგრაფიიდან. „მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1979, № 3.
6. Зубанов В. Понятие и состав факторов миграции. В кн. Социальные факторы и особенности миграции населения ССР. М., 1978.
7. Миграция сельского населения. М., 1970; Проблемы миграции населения и трудовых ресурсов. М., 1970; Зайончковская Ж. А. Новоселы в городах. М., 1972; Город и мактниковая миграция населения. Минск, 1973; Оникиенко В. В.,

- Поновкин В. А. Комплексное исследование миграционных процессов. М., 1973; Рибаковский Л. Л. Региональный анализ миграции. М., 1973; Статистика миграции населения. М., 1973; Лармин О. В. Методологические проблемы социологического исследования трудовых ресурсов. Новосибирск, 1974; Миграционная подвижность населения в СССР. М., 1974; Матлин И. С. Моделирование размещения населения. М., 1975; Староверов В. И. Социально-демографические проблемы деревни. М., 1975; Переведенцев В. И. Методы изучения миграции населения. М., 1975; Топилин А. В. Территориальное перераспределение трудовых ресурсов в СССР. М., 1975; Социальные проблемы миграции. М., 1976; Основы теории народонаселения. М., 1977; Социальные факторы и особенности миграции населения СССР. М., 1978; Таборисская И. М. Маятниковая миграция населения. М., 1979; Джашвили В. Ш. Урбанизация Грузии. Тбилиси, 1978; გ ვ ა შ ვ ა ლ ი ვ ა . ხ ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ს ს ჩ მ ი ს ა ხ ლ ე ლ უ მ ბ ი ს ა ლ ფ ა რ მ თ ე ბ ი ს ს ა ქ ი თ ხ ე ბ ი ს . თ ბ . , 1973; დ ა ც ა დ ი ა კ . ხ ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს მ თ ი ს მ ი ს ა ხ ლ ე ლ უ მ ბ ი ს თ ა ნ ა მ ე ფ რ უ ლ ე მ ი გ რ ა ც ი ა , თ ბ . , 1977 დ ა ს ხ ე ბ ი ს .
